

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თემურ ავალიანი

**მოტივირებისა და ეკვივალენტობის
პრობლემები არამონათმსავე ენებში**
(ქართული და რუსული ფიგონიმიის მაგალითზე)

10. 02. 07.

შედარებითი და გიპოლოგიური
ენათმეცნიერება

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

*სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი გიორგი წიბახაშვილი*

2002 წელი

შესავალი	3
თავი I. ქართული და რუსული ფიგონიმების მოგივირების შესახებ	11
§ 1. მოგივირების თეორია და მისი ადგილი ლინგვისტიკაში	1
§ 2. ფიგონიმია სიგყვის მოგივირების ასპექტში	2
თავი II. მცენარეთა მოგივირებული ნომინაციის პრინციპების	
შეპირისპირებითი ანალიზი ქართულსა და რუსულში	
§ 1. მცენარეთა მოგივირებული ნომინაციის თეორიის	
ძირითადი ცნებები	
§ 2. ქართული და რუსული ფიგონიმების კვალიფიკაციური ანუ	
სომატური მოგივირება	
§ 2.1. მცენარის ან მისი ორგანოს ფორმის მიხედვით მოგივირებული	
ქართული და რუსული ფიგონიმები	
§ 2.2. მცენარის ან მისი ორგანოს ფერის მიხედვით მოგივირებული	
ქართული და რუსული ფიგონიმები	
§ 2.3. მცენარის ან მისი ორგანოს ზომის ან რაოდენობის მიხედვით	
მოგივირებული ქართული და რუსული ფიგონიმები	
§ 2.4. მცენარის ან მისი ორგანოს გედაპირის მდგომარეობით	
მოგივირებული ქართული და რუსული ფიგონიმები	
§ 2.5. მცენარის ორგანოს სიმკვრივეზე მითითებით მოგივირებული	
ქართული და რუსული ფიგონიმები	
§ 2.6. სხვა გარეგნული ნიშან-თვისებებით მოგივირებული ქართული	
და რუსული ფიგონიმები	
§ 2.7. მცენარის შინაგანი თვისებებით მოგივირებული ქართული	
და რუსული ფიგონიმები	
§ 2.8. ქართული და რუსული ფიგონიმების ეთოლოგიური მოგივირება	
§ 3. ქართული და რუსული ფიგონიმების მიმართებითი მოგივირება	9
§ 4. ქართულ და რუსულ ფიგონიმთა პირობითი მოგივირება	10

თავი III. ქართულ და რუსულ ფიგონიმთა ეკვივალენტობა და მცენარის

ენობრივი ხედვა	113
§ 1. ფიგონიმ-ეკვივალენტები და მცენარის გარეგნული ნიშან-თვისებების საერთო ენობრივი ხედვა	115
§ 2. ფიგონიმ-ეკვივალენტები და მცენარის შინაგან-თვისებათა საერთო ენობრივი ხედვა	128
დასკვნები	135
გამოყენებული ლიტერატურა	139
ნაშრომში გამოყენებულ შემოკლებათა სია	158

მეცნიერულ-გენიკურმა პროგრესმა დიდი ხანია დასვა დღის წესრიგში ცალკეულ ენათა თვითმყოფადობისა და თავისთავადობის შენარჩუნებასთან დაკავშირებული პრობლემები, რომლებიც სულ უფრო მეტ სიმწვავეს იძენენ თანამედროვე ეკონომიკური ინტეგრაციისა და გლობალიზაციის გენდენციების ფონზე. დღითიდღე ძლიერდება ჩვენს ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში უცხო, ძნელად გასაგები სიგყვების ნიაღვარივით შემოდინება. ეს პრობლემა არახალია, ძველია. მის ირგვლივ ბევრი დაიწერა და მომავალშიც დაიწერება, რადგანაც დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მისი დღის წესრიგიდან მოხსნა ვერ მოხერხდება, თუმცა არცაა საჭირო. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია რუსი ენათმეცნიერის ნ. ზაბინკოვას სიგყვები: „იქმნება პარადოქსული მოვლენა: ცნობილი რუსი ბოგანიკოსები ცდილობენ სამამულო, რუსული წარმოშობის გერმინების მაქსიმალურად დამკვიდრებას, ბოგანიკური გერმინოლოგია კი საპირისპირო მიმართულებით ვითარდება“ (Забинкова, 1966, 389) (აქაც და შემდგომშიც ციგატები რუსულ და სხვა უცხო ენაზე მითითებული ლიგურაგურიდან ჩვენი თარგმნილია. თ. ა.). მაშასადამე, თვით ისეთ ძლიერ და დიდ ენასაც კი, როგორც რუსულია, თურმე აწუხებს უცხოენოვანი გერმინოლოგიის შემოგევა. მაშინ რაღა მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ე.წ. „პაგარა ენები“, არაღა შექმნილი მდგომარეობის მიზეზი ობიექტურია, ეს ვახლავთ გერმინოზმარების პროცესი, რომელიც, როგორც ეგყობა, სულ უფრო ძლიერად მიისწრაფვის ინტერნაციონალიზაციისაკენ.

ცალკეულ ენათა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება-დაცვის სულ უფრო მზარდ აქტუალობაზე მიგვანიშნებს ის ფაქტიც, რომ ძირეულად შეიცვალა 21-ე საუკუნის ენათმეცნიერების განვითარების მიმართულება. წინ წამოიწია ენის ანთროპოცენტრულობის იდეა, ანუ ვ. მასლოვას სიგყვებით რომ ვთქვათ, მკვლევართა ინტერესი შემეცნების ობიექტიდან სუბიექტზე გადაირთო: „შეისწავლება ადამიანი ენაში და ენა ადამიანში“ (Маслова, 2001, 6). ისევ დაღვა დღის წესრიგში გარე სამყაროს ამა თუ იმ „ენისეული სურათის“ (იგივე „ველთბილდის“) შესახებ ვ. ფონ-ჰუმბოლდტისა

და ჰუმბოლდტიანელთა შეხედულებანი და ისინი ახალი ასწლეულის ლინგვისტიკის თეორიულ საფუძვლად იქცა: „21 საუკუნის ლინგვისტიკა აქტიურად ამუშავებს მიმართულებას, რომელიც ენას განიხილავს როგორც არა უბრალოდ შემეცნებისა და კომუნიკაციისა იარაღს, არამედ როგორც ერის კულტურულ კოდს. ენისადმი ასეთი მიდგომის საფუძვლები ჩაყრილი იქნა ვ. ჰუმბოლდტის, ა. პოგებნიასა და სხვათა ნაშრომებით (Маслова, 2001, 3). ამასვე აღნიშნავს ცნობილი ქართველი ენათმეცნიერი თ. გამყრელიძეც: „ენა მარტო ურთიერთობის საშუალება კი არა არის, არამედ მთელი ხალხის მსოფლმხედველობის, მისი კულტურის განუყოფელი ნაწილია. ენა ეროვნული თვითდამკვიდრების საშუალებაა“ (გამყრელიძე, 1990). ამ შეხედულებათა თანახმად „ყველა ენა გარკვეული „მსოფლალქმის“, სამყაროს გარკვეული „ხედვის“ მაგარებლად გვევლინება, ანუ იგი არის ხატი გარე თუ შიდა სამყაროს სპეციფიკური – ენის შემქმნელი ერის თვალთახედვის გამომხატველი სეგმენტაციისა“ (ნიშნიანიძე, 1983, 141). მაშასადამე, „ენა სინამდვილის ფოტოგრაფირება და ასლი არ არის, ყოველი ენა სხვადასხვაგვარი გადაღებაა სინამდვილისა“ (რამიშვილი 1978, 109). საგანთა და მოვლენათა ნომინაციის დონეზე ეს ნიშნავს ყურადღების გამახვილებას არამარტო ნომინაციის ობიექტზე, არამედ სუბიექტზეც, ე.ი. სიგყვა განიხილება როგორც საგნის (მოვლენის, პროცესის და ა.შ.) სუბიექტისეული „ხედვა“, „საზრისი“. გავიხსენოთ ვ. ფონ-ჰუმბოლდტის სიგყვები: „სიგყვა არის არა ეკვივალენტი საგნისა, არამედ საზრისია მასზე“ (ციტირებულია წიგნიდან: რამიშვილი, 1978, 161)

გარემომცველი სამყაროს სუბიექტისეული „ენობრივი ხედვა“ უშუალოდ აისახება მოგივირებული ნომინაციის პროცესზე, იგი ვლინდება სიგყვის „გამჭვირვალე შინაფორმაში“ მოგივირების ნიშნის სახით. ამიგომაც სიგყვის შინაფორმა, ვფიქრობთ, სრულიად სამართლიანადაა მიჩნეული მისი მნიშვნელობის ერთ-ერთ აქტუალურ ნაციონალურ კომპონენტად (იხ.: Хомерики, 1986, 55, Мечковская, 1996, 55), რასთანაც უშუალო კავშირშია ისეთი უაღრესად საინტერესო და აქტუალური პრობლემის წინა პლანზე

წამოწევა, როგორცაა გარემომცველი სამყაროს ფრაგმენტია მოგივირებული ნომინაციის განხილვა კონკრეტული ენისა თუ ენების ეროვნული თვითმყოფადობისა და თავისთავადობის გამოვლინების ასპექტში. სწორედ აქედან გამომდინარეობს ჩვენი სადისერგაციო ნაშრომის ძირითადი მიზანის - მცენარეთა სახელწოდებების ანუ ფიგონიმების მაგალითზე ორი არამონათესავე მაგრამ ამავე დროს საუკუნეების მანძილზე მჭიდრო ერთ-ერთკონტაქტში მყოფი ენის - ქართული და რუსული ენების მოგივირებული ნომინაციის სისტემების შეპირისპირებითი ანალიზი მათში ეთნოენობრივი და საერთო, ზოგადენობრივი ფაქტორების გამოვლენის მიზნით, აგრეთვე ფიგონიმთა ეკვივალენტობის პრობლემის განხილვა ალსანიშნი მცენარის „ენობრივი ხელვის“ კონტექსტში.

რაც შეეხება კვლევის კონკრეტულ ამოცანებს, ისინი შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

1) ქართული და რუსული ენები უძველესი და უმდიდრესი ენებია, რომელთა ლექსიკამაც როგორც სამეცყველო, ისე მეცნიერულ დონეზე დეტალურად ასახა გარემომცველი სამყარო, მათ შორის მცენარეთა სამყაროც. ეს ასახვა განმსჭვალულია კარგად ჩამოყალიბებული კანონზომიერების გრძნობით, ამიგომაც კარგად ექვემდებარება მეცნიერულ ანალიზსა და კლასიფიკაციას. აქედან გამომდინარე, ჩვენი კვლევის ერთ-ერთი მიმართულებაა მოცემულ ენებში მცენარეთა მოგივირებული ნომინაციის სისტემების ზოგადი შეპირისპირებითი აღწერა, რაც ჰგულისხმობს მოგივირებული ნომინაციის პრინციპთა შეპირისპირებით ანალიზს მოგივირების ნიშნების მითითებით (ამ შემთხვევაში ანალიზის ობიექტია არა ერთი და იგივე მცენარის მოგივირებული სახელწოდებანი, არამედ ზოგადად მოგივირებული ნომინაციის პრინციპები);

2) მცენარეთა სამყაროს საერთო ენობრივი ხელვის პოზიციიდან ერთი და იგივე მცენარის ქართული და რუსული მოგივირებული სახელწოდებების ანალიზი ეკვივალენტობის ასპექტში;

3) მცენარეთა მოგივირებული ნომინაციის პრინციპების ენობრივი

ვაშობაგვის ხერხებისა და საშუალებების შეპირისპირებითი ანალიზი;

4) მცენარეთა მოგივირებული ნომინაციის ასპექტში ქართული და რუსული ენების მრავალსაუკუნოვანი ურთიერთკონტაქტების შედეგების შეძლებისდაგვარად გამოვლენა;

5) მასალის ანალიზმა მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ შესაძლებელია მცენარეთა სახელწოდებების ქართულ-რუსული მოგივაციური ლექსიკონის შედგენა, რაზედაც ჩვენ უკვე ვმუშაობთ.

თემის *აქტუალობის* შესახებ მემოთაღნიშნულს დავამატებდით იმას, რომ მოგივირებული ნომინაციის პრობლემატიკას ყოველთვის ეჭირა მნიშვნელოვანი ადგილი ნომინაციის თეორიაში, რაც განპირობებულია თავად სახელდების პროცესის რთული და მრავალმხრივი ბუნებით – ლინგვისტურ ფაქტორებთან ერთად (ნომინაციის ენობრივი გექნიკა) მასში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ექსტრალინგვისტურ ფაქტორებსაც (ენობრივი კოლექტივის ტრადიციები, კულტურა, ფსიქოლოგია, ცხოვრების წესი, გეოგრაფიული გარემო და ა.შ. ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც ქმნის სახელმძღვანელო ხალხის ეროვნულ სახეს), რომლებიც უშუალოდ განსაზღვრავენ მოგივირების ნიშნის შერჩევას. ამ კონტექსტში ენის კონკრეტული თემატური ჯგუფის კვლევა კი საერთოდ ენის ონომასიოლოგიური თვალსაზრისით კვლევის ერთ-ერთი საინტერესო და აქტუალური მიმართულებაა, რაზედაც სამართლიანად მიგვითითებს არაერთი ლინგვისტი (იხ.: Гак, 1977, Голанова, 1989 და სხვ.).

რაც შეეხება ჩვენს წინაშე დასმული კონკრეტული მიზნისა და ამოცანების *შეპირისპირებით* ასპექტში განხილვას, ამ მხრივ ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ გ. უიუკბაევას თვალსაზრისს: „სიტყვის მოგივირება ენათა გიპოლოგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმი“ (Уюкбаева, 1983, 25). ამასვე აღნიშნავს ნ. ნიშნიანიძეც: „მოცემული ენის სემანტიკური სტრუქტურა, მისი შემოქმედი ერის „მსოფლაქმა“ მით უფრო სრულად გამოვლინდება, რაც უფრო მეტ ენას ვუდარებთ მას. ენები თითქოს სარკეა, რომელზეც საკვლევი ენის თავისებურებანი აირეკლება (ნიშნიანიძე, 1983,

142). მისივე აზრით, „ონომასიოლოგიური მიდგომა შედარებით ახალია და ამ მიმართულებით (ე.ი. შეპირისპირებით ასპექტში – თ.ა.) კვლევა მხოლოდ დაწყების სტადიაშია“ (ნიშნინიძე, 1983, 144).

შეპირისპირების *ობიექტად* უშუალოდ ქართული და რუსული ენების შერჩევა განაპირობა შემდეგმა ფაქტორებმა.

ა) ქართული და რუსული ენები არამონათესავე ენებია და მცენარეთა სამყაროს „ენობრივი აღქმის“ პოზიციიდან მეტად საინტერესო სურათს იძლევიან. მოცემული თვალსაზრისით ამ ორი ენის ფიგონიმია შეპირისპირებით ასპექტში არ შესწავლილა;

ბ) ლექსიკის კონკრეტული თემატური ჯგუფების ონომასიოლოგიური თვალსაზრისით შესწავლის ასპექტში საბჭოთა პერიოდიდან რუსულ ენათმეცნიერებას გაცილებით მდიდარი მემკვიდრეობა აქვს, ვიდრე ქართულს. იგივე შეიძლება ითქვას სიგყვის მოტივირების პრობლემის შესწავლაზეც (ამ საკითხზე უფრო ვრცლად ნაშრომის პირველ თავში ვისაუბრებთ). ქართულ ენათმეცნიერებაში ამ მიმართულებით ერთგვარი ხარვეზია, რასაც სამართლიანად შენიშნავს პ. ცხადაია: „ქართული ონომასტიკური ლიგერაგურა არც თუ ისე მდიდარია. განმაზოგადოებელი ხასიათის ნაშრომები თითქმის არ მოგვეპოვება“ (ცხადაია, 1988, 9). ვფიქრობთ, ამ ხარვეზის შევსებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს წინამდებარე ნაშრომშიც, ვინაიდან იგი არის არსებული გამოცდილების გაზიარების ერთ-ერთი გზაც.

გ) ქართულ და რუსულ ფიგონიმიას, უპირველეს ყოვლისა მეცნიერულს, მნიშვნელოვანი საერთო წყარო აქვს მცენარეთა საერთაშორისო ბერძნულ-ლათინური ნომენკლატურის სახით. ამასთან, ეს ორი ენა მჭიდრო ურთიერთკონტაქტშია, მათ შორის იმ პერიოდშიც, როცა ხდებოდა მეცნიერული ბოტანიკური ნომენკლატურის ფორმირება-უნიფიცირება. ამიტომაც როგორც მოტივირებული ნომინაციის, ისე ენათაშორისი ეკვივალენტობის თვალსაზრისით ქართული ფიგონიმის სწორედ რუსულთან შეპირისპირება უნდა იყოს გაცილებით ნაყოფიერი, ვიდრე რომელიმე სხვა ენასთან (რა

142). მისივე აზრით, „ონომასიოლოგიური მიდგომა შედარებით ახალია და ამ მიმართულებით (ე.ი. შეპირისპირებით ასპექტში – თ.ა.) კვლევა მხოლოდ დაწყების სტადიაშია“ (ნიშნიანიძე, 1983, 144).

შეპირისპირების *ობიექტად* უშუალოდ ქართული და რუსული ენების შერჩევა განაპირობა შემდეგმა ფაქტორებმა.

ა) ქართული და რუსული ენები არამონათესავე ენებია და მცენარეთა სამყაროს „ენობრივი აღქმის“ პოზიციიდან მეტად საინტერესო სურათს აძლევიათ. მოცემული თვალსაზრისით ამ ორი ენის ფიგონიმია შეპირისპირებით ასპექტში არ შესწავლილა;

ბ) ლექსიკის კონკრეტული თემატური ჯგუფების ონომასიოლოგიური თვალსაზრისით შესწავლის ასპექტში საბჭოთა პერიოდიდან რუსულ ენათმეცნიერებას გაცილებით მდიდარი მემკვიდრეობა აქვს, ვიდრე ქართულს. იგივე შეიძლება ითქვას სიგყვის მოგივირების პრობლემის შესწავლაზეც (ამ საკითხზე უფრო ვრცლად ნაშრომის პირველ თავში ვისაუბრებთ). ქართულ ენათმეცნიერებაში ამ მიმართულებით ერთგვარი ხარვეზია, რასაც სამართლიანად შენიშნავს პ. ცხადაია: „ქართული ონომასტიკური ლიტერატურა არც თუ ისე მდიდარია. განმაზოგადოებელი ხასიათის ნაშრომები თითქმის არ მოგვეპოვება“ (ცხადაია, 1988, 9). ვფიქრობთ, ამ ხარვეზის შევსებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს წინამდებარე ნაშრომშიც, ვინაიდან იგი არის არსებული გამოცდილების გაზიარების ერთ-ერთი გზაც.

გ) ქართულ და რუსულ ფიგონიმიას, უპირველეს ყოვლისა მეცნიერულს, მნიშვნელოვანი საერთო წყარო აქვს მცენარეთა საერთაშორისო ბერძნულ-ლათინური ნომენკლატურის სახით. ამასთან, ეს ორი ენა მჭიდროდ ურთიერთკონტაქტშია, მათ შორის იმ პერიოდშიც, როცა ხდებოდა მეცნიერული ბოტანიკური ნომენკლატურის ფორმირება-უნიფიცირება. ამიტომაც როგორც მოგივირებული ნომინაციის, ისე ენათაშორისი ეკვივალენტობის თვალსაზრისით ქართული ფიგონიმის სწორედ რუსულთან შეპირისპირება უნდა იყოს გაცილებით ნაყოფიერი, ვიდრე რომელიმე სხვა ენასთან (რა

თქმა უნდა, შეძლებისდაგვარად სხვა ენების, უპირველეს ყოვლისა, ბერძნულ-ლათინური ნომენკლატურის გათვალისწინებით).

ჩვენი კვლევის *ობიექტია* ბუნების ლექსიკის ერთ-ერთი ჯგუფი – *ფიგონიმია*, ე.ი. მცენარეთა (ხეების, ბუჩქების, ბალახების, სოკოების) სახელწოდებანი, ოღონდაც არა მთლიანი ფიგონიმია, არამედ მისი კონკრეტული ნაწილი – მოგივირებული სახელწოდებანი. ამ მიმართულებით ჩვენი არჩევანი განაპირობა იმან, რომ ნებისმიერი ენის ფიგონიმია ბუნების ლექსიკის სხვა თემაგურ ჯგუფებთან ერთად გაცილებით ძლიერად ავლენს სახელმძღვანელოების „ენობრივ მსოფლხედვას“ და ამდენად გაცილებით მეგადაა საინტერესო მოგივირებული ნომინაციის თვალსაზრისით, ვიდრე ენის ლექსიკის სხვა თემაგური ჯგუფები. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ხალხური ფიგონიმია, რომელიც ენის ფიგონიმიის მეორე შემადგენელ ნაწილთან – მეცნიერულ ფიგონიმიასთან ერთად, რომლის ერთ-ერთი წყაროც საერთაშორისო ბერძნულ-ლათინური ნომენკლატურაცაა, საინტერესო სურათს იძლევა ერთის მხრივ, ეთნოენობრივი და საერთოენობრივი ფაქტორების ურთიერთმიმართების თვალსაზრისითა და, მეორეს მხრივ, ფიგონიმია ენათაშორისი ეკვივალენტობის თვალსაზრისითაც.

საკვლევი მასალის ძირითად წყაროდ აღებული გვაქვს ალ. მაყაშვილის „ბოგანიკური ლექსიკონის“ ბოლო, 1991 წლის გამოცემა, (იხ. მაყაშვილი, 1991) რომელშიც თავმოყრილია 2500-მდე ქართული მეცნიერული ფიგონიმი რუსული და ლათინური ეკვივალენტებით, აგრეთვე 2000-მდე ქართული ხალხური ფიგონიმი. ქართული და რუსული მოგივირებული ფიგონიმებისა და მათი მოგივაციური მნიშვნელობების დასადგენად გამოყენებული გვაქვს აგრეთვე როგორც ქართული ისე რუსული ენების განმარტებითი და ენციკლოპედიური ლექსიკონები, ბოგანიკური ლიტერატურა, დიალექტური ლექსიკონები, ბოგანიკური და საბუნებისმეტყველო ლექსიკონები, ეტიმოლოგიური ლექსიკონები, ლათინური ენის განმარტებითი და მცენარეთა ლათინური სახელწოდებების ეტიმოლოგიური ლექსიკონები და სხვა სახის სპეციალური, ეთნოგრაფიული და ა.შ. ნაშრომები,

რომელთა ჩამონათვალიც ბიბლიოგრაფიაში გვაქვს მოცემული.

აქვე ხაზგასასმელია ისიც, რომ გერმინს „ფიგონიმი“ ბევრი ლინგვისტი მხოლოდ ვიწრო გაგებით იყენებს. ასე მაგალითად, პ. ცხადია ონომასტიკურ გერმინთა განმარტებით ლექსიკონში წერს: „ფიგონიმი“ ზოგჯერ გულისხმობენ სამოგადო სახელს, კერძოდ ბოგანიკურ ნომენს (მუხა, რცხილა, წიფლა), რაც შეცდომაა“ (ცხადია, 1988, 123).

ვერ გავიზიარებთ ასეთ კატეგორიულ მტკიცებას, რის საფუძველსაც ვაძლევს მცენარეთა სახელწოდებების შესწავლისადმი მიძღვნილი მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი როგორც ლინგვისტური, ისე ბოგანიკური ლიგერატურა, რომელშიც არა თუ ზოგჯერ, არამედ თითქმის ყველგან გერმინში „ფიგონიმი“ სწორედ ბოგანიკური ნომენი მოიაზრება. აქედან გამომდინარე, ალბათ უფრო მართებული იქნებოდა თუ ვიგყოფით, რომ თანამედროვე ლინგვისტურ ლიგერატურაში მოცემული გერმინი მოიაზრება ვიწრო და ფართო გაგებით, შესაბამისად, ვღებულობთ რა ჩვენს საკვლევ ობიექტად მცენარეთა (ხეების, ბუჩქების, ბალახების, სოკოების) მოგივირებულ სახელწოდებებს, მითითებულ გერმინს ვიყენებთ სწორედ ფართო გაგებით.

ნაშრომის *პრაქტიკული ღირებულება* გამოიხატება იმაში, რომ მასში მოცემული კვლევის შედეგები და დასკვნები შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც ახალი განმარტებითი, ენციკლოპედიური თუ ორენოვანი ლექსიკონების შედგენისას, ასე ძველი ლექსიკონების რედაქტირებისას, იმდენად რამდენადაც საკვლევი მასალის მნიშვნელოვანი ნაწილი ასახულია როგორც ენციკლოპედიებში, ისე საენათმეცნიერო ლექსიკონებში.

საკვლევი მასალის საფუძველზე (მცენარეთა მოგივირებული სახელწოდებანი და მათი მოგივირებული მნიშვნელობები) შესაძლებელი იქნებოდა მცენარეთა სახელწოდებების ორენოვანი მოგივირებული ლექსიკონის შედგენაც, რომლის ანალოგიც ჯერ-ჯერობით არ მოგვეპოვება. მას დიდი სარგებლობის მოგანა შეუძლია როგორც მოსწავლე ახალგაზრდობისათვის, ისე ბოგანიკის სპეციალისტებისთვის და აგრეთვე ენის შინაგანი ლექსიკური

შესაძლებლობების გამომზეურებისათვისაც. როგორც გ. რილიუკი წერს, „სახელწოდებათა სწორი ახსნა მასწავლებლის ერთ-ერთი მოვალეობაა. თითოეულმა მასწავლებელმა ძალიან კარგად იცის, თუ რა დიდი ინტერესით ისმენენ ბავშვები სახელწოდებათა წარმოშობის შესახებ თხრობას“ (Рылюк, 1998, 4).

თავი I

ქართული და რუსული ფილოლოგიის მოტივიზაციის შესახებ (პრობლემატიკა და აკადემიკოსული სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული მიმოხილვა)

§ 1. მოტივაციის თეორია და მისი ადგილი ლინგვისტიკაში

სიგყვის მოტივირების კატეგორიის სხვადასხვა კონცეფციები, როგორც ცნობილია, ეძველესი დროიდან იღებს სათავეს, თუმცა მოტივირებული და უმოტივიციო სიგყვის ცნება ენათმეცნიერებაში შემოიგანა ფერდინანდ დე სოსიურმა. იგი საუბრობს ენობრივი ნიშნის მოტივირებაზე, რომელშიც გულისხმობს მის ისეთ თვისებებს, როგორიცაა ნებისმიერობა ანუ პირობითობა და შეფარდებითი მოტივირება (Сосиор, 1977, 165; ჩიქობავა, 1983, 93-96; 98-104). ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს სიგყვის მოტივირების არსისა თუ მიზანშეწონილების შესახებ შეხედულებათა დაწვრილებითი ანალიზი, მითუმეტეს რომ ასეთი ანალიზი ბევრ ლინგვისტს აქვს მოცემული (იხ.: ჩიქობავა, 1983; ჭრელაშვილი, 1990; Блинова, 1989, Княк, 1988). ვიგყვით მხოლოდ იმას, რომ სიგყვის მოტივირების თეორიას დღემდე ვერ მოეძებნა უეჭვო ადგილი ლინგვისტიკის სხვა დარგებს შორის.

ზახელისა და აღსანიშნის ურთიერთმიმართების თაობაზე კამათობდნენ ჯერ კიდევ კონფუცის, ლევისტებისა და დაოსის მიმართულების ფილოსოფოსები და მათი სკოლები. ვერ უვლიან გვერდს ამ პრობლემას ბხარგრიხარის ძველინდური გრამატიკული სკოლის წარმომადგენლებიც (V-VI სს. ჩვ. წ. აღ.), რომლებიც თვლიან, რომ აზრი თავიდანვე ჩაქსოვილია სიგყვაში, ვინაიდან იგი სხვა არაფერია, თუ არა მსოფლიო სულიერი სუბსტანციის, იგივე ბრახმანის მიერ სიგყვად ქცეული საგანი თუ მოვლენა.

აღნიშნულ პრობლემას დიდ ყურადღებას უთმობდნენ ძველ საბერძნეთშიც, სადაც სიგყვის წარმოშობის თეორიები – ე.წ. „თესეი“ და „ფუსეი“ თეორიები, როგორც ცნობილია, ასწლეულების მანძილზე განიხილებოდა. პლატონის დიალოგების, არისტოტელეს, დემოკრიტეს, ეპიკურესა და მათი მოწაფეების თხზულებების მთავარი თემა სწორედ სახელწოდებათა არსისა და ბუნების გააზრებაა. ანტიკური ხანის ბერძენ ფილოსოფოსთა ნააზრევი კარგადაა გამოკვეთილი ცნობილ დიალოგში „კრატილოსი“, რომელშიც

პლატონი სოკრატეს პირით ამტკიცებს, რომ სიგყვას მნიშვნელობასა და ზმოვან გარსთან ერთად კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მხარე გააჩნია, რომელსაც ავგორი „სიგყვის იდეას“, „სიგყვის სახეს“ უწოდებს.

პრობლემის გაამრებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს არაბული სამყაროს ფილოსოფოსებმაც, ხოლო XVII საუკუნის დასაწყისიდან ინგერესის ეპიცენგრმა ევროპაში გადმონაცვლა, რასაც შედეგად მოჰყვა შინაფორმისადმი შოტელიუსის ანალიტიკური და ლეიბნიცის სინთეზური მიდგომების ჩამოყალიბება.

ასე შეიქმნა მყარი საფუძველი შინაფორმის შესახებ ვ. ფონ-ჰუმბოლდტის, გ. პაულის, ე. სეპირის, ბ. უორფის, ა. პოტენიასა და სხვათა ფუნდამენტური ნაშრომებისა, რომელთა შორისაც განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ვ. ფონ-ჰუმბოლდტის შეხედულებანი, ვინაიდან ისინი სავსებით სამართლიანად ითვლება ლინგვისტიკაში შინაფორმის კონცეფციის ფუძემდებელ დებულებებად, თუმცა, როგორც გ. რამიშვილი აღნიშნავს, ჰუმბოლდტს შინაფორმის დეფინიცია არ მოუცია, თანაც იგი მსჯელობს არა სიგყვის, არამედ ენის შინაფორმაზე (რამიშვილი, 1978, 4). ჩვენ სრულიად ვეთანხმებით გ. კიაკის აზრს იმის შესახებ, რომ შინაფორმისადმი ასეთი მიდგომა ერთი წუთითაც არ უგულვებელყოფს ენის ისეთი ცალკეული ფრაგმენტების შინაფორმების არსებობას, როგორცაა შესიგყვება თუ სიგყვა: „შეადგენს რა სამყაროს „ენობრივი წაკითხვის“ როგორც მოგადენობრივ ისე ინდივიდუალურ სპეციფიკას, ენის შინაფორმა უეჭველად უნდა შედგებოდეს ცალკეულ სამშენებლო ბლოკებისაგან, აგურებისაგან, ელემენტებისაგან. ამ პირობითი იერარქიის დასაწყისი მარტივი სიგყვის შინაფორმაა“ (Кияк, 1988, II). და მართლაც, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ჰუმბოლდტისეული თემისი – „სიგყვა არის არა ეკვივალენტი საგნისა, არამედ საბრისია მასზე“ (ციტირებულია წიგნიდან: რამიშვილი, 1978, 161), სიგყვის შინაფორმას ეხება და მას წარმოგვიდგენს როგორც აღსანიშნი ობიექტის სუბიექტისეული „ენობრივი ხედვის“, ინტერპრეტაციის გამოვლინებას.

აღნიშნული პრობლემის კვლევას მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა

საბჭოთა ენათმეცნიერებაშიც, სადაც სიგყვის მოტივირების კვლევამ არაერთი საინტერესო მიმართულება გამოკვეთა, რომელთა შორისაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანია სახელდების პროცესში სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების დიალექტური ურთიერთკავშირის ანალიზი. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა პრობლემის არამარტო ზოგად ასპექტში კვლევას, არამედ მის შესწავლას სახელმძღვანელო ერის როგორც ენობრივი კოლექტივის, გრაფიციებთან, ფსიქოლოგიასთან, კულტურასთან და ა.შ. ურთიერთკავშირში. ერთი სიგყვით, ისევ წამოიწია წინა პლანზე ცნობილი ჰუმბოლდტისეული თემისები: „ენათა სხვაობა არის სხვაობა არა ბგერალობისა და ნიშნებისა, არამედ „მსოფლხედვისა“, „ენა სინამდვილის ფოტოგრაფირება და ასლი არ არის, ყოველი ენა სხვადასხვაგვარი გადაღებაა სინამდვილისა და ამდენად, არცერთ ენაში არ არის განხორციელებული იდეალი სამყაროს აღქვაცურული აღქმისა“ (ციტირებულია წიგნიდან: რამიშვილი, 1978, 109, 144). სწორედ ამ კონტექსტში იქნა დასმული პრობლემა ცალკეულ ენათა თვითმყოფადობის გამოვლენისა უშუალოდ სახელდების მექანიზმში, რის შესახებაც საბჭოთა პერიოდის ცნობილი რუსი ენათმეცნიერი ვ. გაკი წერს: „იმ ნიშნის გამოყოფაში, რომელიც სახელწოდების საფუძვლად იქცევა, დიდ როლს თამაშობს აღსანიშნი ობიექტისადმი სახელმძღვანელო სუბიექტის დამოკიდებულება. ამიგომაც სახელწოდება შეიძლება მიჩნეულ იქნას მინიატიურაში ობიექტური სამყაროს სუბიექტურ სახედ“ (Гак, 1972, 124). ამ პრობლემას მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს გ. კოლშანსკიც. ეყრდნობა რა სეპირუორფის ცნობილ თემისს ენის შინაგანი (სემანტიკური) მხარის ეროვნულ-სუბიექტური ხასიათის შესახებ, გ. კოლშანსკი სახელდების სუბიექტად მოაზრებს არა კონკრეტულ ინდივიდს, ანუ ინდივიდუალურ სუბიექტს, არამედ კოლექტიურ სუბიექტს, უფრო ზუსტად, კოლექტიურ-სუბიექტურ, ეროვნულ-სუბიექტურ ფაქტორს, რომელსაც თვლის სიგყვის მოტივირების ასპექტში ენათა განსხვავებულობის საფუძვლად (იხ. Колшанский, 1975, 171-174).

სახელდების კოლექტიური სუბიექტის ცნებას კიდევ უფრო აკონკრეტებს და ამუსტებს ბ. სერებრენიკოვი: „ნებისმიერი სიახლე ინიციატივას

მოითხოვს. შეუძლებელია, ეს ინიციატივა ერთდროულად განხდეს საზოგადოების ერთბაშად ყველა წევრში და ამასთანავე იყოს ერთნაირი ყველა სათვის. ნებისმიერ სიახლეს თავდაპირველად ქმნის ინდივიდი, რის შემდეგაც მისი ბედი უკვე საზოგადოებაზეა დამოკიდებული: იგი ან იღებს ამ სიახლეს, ან უარყოფს“ (Серебряников, 1977, 153-154). ერთი სიტყვით, სახელმძღვანელოების კოლექტიურ, უფრო ზუსტად, ეროვნულ-კოლექტიურ სუბიექტში, ბუნებრივია, არ იგულისხმება მთლიანი საზოგადოება, მთელი ერი ერთად აღებული. სახელმძღვანელო გვევლინება ცალკეული ინდივიდი ან თუნდაც ინდივიდთა ჯგუფი, მაგრამ, იმდენად რამდენადაც ნებისმიერი ინდივიდი ამა თუ იმ ენობრივი კოლექტივის ანუ ერის პაგარა ნაწილიცაა და, შესაბამისად, ამ ერის გრადიციების, ფსიქოლოგიის, ცხოვრების წესის და ა.შ. მაგარებული (გავიხსენოთ ინდივიდის პიროვნებად ჩამოყალიბების ჰუმბოლდტიური სამკომპონენტური ფორმულა: ინდივიდი – ერი – კაცობრიობა), ლაპარაკია სახელმძღვანელოების არა ინდივიდუალურ-სუბიექტურ ფაქტორზე, არამედ კოლექტიურ-სუბიექტურ, ეროვნულ-სუბიექტურ ფაქტორზე.

სახელმძღვანელოების სუბიექტური და ობიექტური მხარეების კვლევამ საბჭოთა ენათმეცნიერებაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი წამოსწია წინ: *შენიერული, ანუ ე.წ. „ხელოვნური“ ნომინაციისა და ხალხური ანუ „ბუნებრივი“ ნომინაციის ერთმანეთისაგან გამიჯვნის აუცილებლობა*. საკითხი სადისკუსიოდ გამოიგანა ნ. გოლევი, რომელიც, აანალიზებს რა ნომინაციის თეორიაში ერთ-ერთ ფუნდამენტურ ნაშრომს-ი. გოროპცევის „რუსული ონომასიოლოგიის ნარკვევებს“ (იხ. Торопцев, 1970), წერს, რომ ნაშრომის ავტორი თავის დებულებებს აგებს ძირითადად უახლესი პერიოდის ნეოლოგიზმების საფუძველზე, რომელთა უმრავლესობაც ტექნიკის ამა თუ იმ დარგის ტერმინებია. მათი სახელდება გოვებს ხელოვნური აქტის შთაბეჭდილებას, რაც ასე არ არის, მაგალითად, ბუნების ლექსიკის სფეროში, სადაც სახელდება განიხილება როგორც სპონგანური, უნებური, ბუნებრივი ენობრივი პროცესი. ლექსიკის ამ სფეროში სახელდება ნ. გოლევი „ბუნებრივს“ უწოდებს, რომელსაც მიჯნავს ე.წ. „ხელოვნური“

სახელდებისაგან. შესაბამისად ერთმანეთისაგან მიჯნავს ხალხურ და მეცნიერულ მოტივაციას (იხ. Голев, 1974, 88-89).

აღნიშნული პრობლემა უფრო სიღრმისეულადაა განხილული ვ. კოპოჩევა საკანდიდატო დისერტაციაში (იხ. Копочева 1986), რომელშიც კიდევ უფრო დაკონკრეტებულია განსხვავებანი ნომინაციის ამ ორ ნაირსახეობას შორის.

საბჭოთა პერიოდის ენათმეცნიერებაში სიგყვის მოტივირებისა და, საერთოდ, მოტივირებული ნომინაციის პრობლემატიკას კიდევ ბევრი სერიოზული ნაშრომი მიეძღვნა. მათ შორის არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ვ. კოლანოვას მონოგრაფიას „როგორ წარმოიქმნება სახელწოდებები“ (იხ. Коланова, 1989), რომელშიც სამეცნიერო-პოპულარულ ენაზეა ახსნილი სახელდების არსი, მოცემულია სახელდების ძირითადი ხერხების დახასიათება, საუბარია იმაზე, თუ რატომ აქვს ერთსა და იმავე საგანს სხვადასხვა ენებში სხვადასხვა სახელწოდება და ა.შ.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია აგრეთვე შრომების კრებულები: „ნომინაციის ხერხები თანამედროვე რუსულ ენაში“ (იხ. Способы..., 1982) და „ენობრივი ნომინაცია“ (ზოგადი საკითხები)“ (იხ. Языковая номинация, 1977). მათში თავმოყრილია ნომინაციისა და, კერძოდ, მოტივირებული ნომინაციის შესახებ ისეთი ცნობილი ლინგვისტების ნაშრომები, როგორებიც არიან ა. უფიმცევა, ე. აზნაუროვა, ბ. სერებრენიკოვი, ვ. თელია, გ. კოლშანსკი, ა. ჟურავლიოვი, ო. ერმაკოვა, ლ. კაპანაძე, ნ. არუთიუნოვა, ვ. გაკი, ა. სტეფანოვი და სხვები.

სიგყვის მოტივირების ცალკეული საკითხებია განხილული აგრეთვე შრომების კრებულში „ლექსიკური და სიგყვაწარმოებითი მოტივაციის პრობლემები“ (ბარნაული, 1986).

თავისი სიგყვა თქვა უშუალოდ ქართულმა ენათმეცნიერებამაც, სადაც უპირველეს ყოვლისა აღნიშვნის ღირსია ცნობილი ჰუმბოლდტოლოგის ვ. რამიშვილის „ენის ენერგეტული თეორიის საკითხები“ (იხ. რამიშვილი, 1978), რომელშიც ჰუმბოლდტის შეხედულებათა ფონზე მეტად საინტერესო

სოდაა გაანალიზებული ენისა და სიტყვის შინაფორმასთან დაკავშირებული პრობლემატიკა.

საკითხის ზოგადთეორიულ ასპექტში განხილვის თვალსაზრისით აღსანიშნავია ბ. ფოჩხუას შრომები, კერძოდ „ქართული ენის იდეოგრაფიული ლექსიკონი“ (ფოჩხუა, 1987), რომლის შესავალშიც ავტორი დიდ ყურადღებას უთმობს ქართული ენის ლექსიკის ონომასიოლოგიური თვალსაზრისით შესწავლის აუცილებლობას, თუმცა იგი წერს: „მიზანშეწონილია ვილაპარაკოთ არა ონომასიოლოგიის, როგორც ლექსიკის შესასწავლი ცალკე დარგის შესახებ, არამედ ლექსიკის ონომასიოლოგიური შესწავლის, ლექსიკაში ონომასიოლოგიური ასპექტის შესახებ“ (ფოჩხუა, 1987, 17). ქართული ენის ლექსიკის შესწავლის აღნიშნულ ასპექტს მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ალ. ლლონგიც, რომელსაც თავისი წიგნის „ქართულ ლექსიკოლოგიის საფუძვლები“ (ლლონგი, 1988) ერთ-ერთ თავში – „ონომაგოლოგია“ – სწორედ ამ კუთხითა აქვს განხილული ქართული ენის ლექსიკის ორი მნიშვნელოვანი ნაწილი – ანთროპონიმია და გოპო-ნიმია. უშუალოდ მოგივაციის თვალსაზრისით მეგად საინგერესო პარაგრაფი – „დენოგაგითა ნომინაცია, ვირტუალური გოპონიმიაში“, რომელშიც მნიშვნელოვანი მოსაზრებებია გამოთქმული. აღსანიშნავია აგრეთვე ნ. ნიშნიანიძის შრომებიც, კერძოდ მისი „ენათა დიფერენციალური კლასიფიკაციის ონომასიოლოგიური მეთოდი და მისი განხორციელების ცდა ჰორფოლოგიაში“ (ნიშნიანიძე, 1983). მნიშვნელოვანია აგრეთვე ბ. ჯორბენაძის „საკუთარი სახელი ენის საერთო ლექსიკაში“ (ჯორბენაძე, 1975) და მისივე „ენა და კულტურა“ (ჯორბენაძე, 1997). ამ უკანასკნელში საკითხი სოციოლინგვისტური თვალსაზრისითაა გაანალიზებული.

სამეცნიერო-პოპულარული თვალსაზრისით საინგერესოა შ. ძიძიგურის „საენათმეცნიერო საუბრები“ (ძიძიგური, 1982) და მ. ჭუმბურიძის „რა აქვია შენ“ (ჭუმბურიძე, 1982).

ცალკე აღნიშვნის ღირსია ე. ვარძელაშვილის უაღრესად საინგერესო მონოგრაფია „მეგაფორული ნომინაციები რუსულ ენაში“ (Вардзелашვილი, 2001)

და შივისე სალოქტორო დისერტაცია „სამყაროს მეტაფორული სურათი რუსულ ენაში“ (Вардзелашვილი, 2002), რომლებშიც საინტერესოდ და ორიგინალურადაა განალიზებული მოგივირებული ნომინაციის ისეთი მნიშვნელოვანი და აუტენტური პრობლემა, როგორცაა მეტაფორული ნომინაცია.

უშუალოდ თუ არაპირდაპირ სიგყვის მოგივირების თეორიის საკითხები განხილულია აგრეთვე ცალკეულ ნაშრომებში, რომლებიც მიძღვნილია გოპონიმიკის, დარგობრივი ტერმინოსისგემებისა თუ ქართული ენის ლექსიკის სხვადასხვა თემატური ჯგუფის კვლევისადმი. ისინი გამოქვეყნებულია კრებულებში. „ონომასტიკა“ და „ქართველური ონომასტიკა“, „მაცნეში“, ენიმკის „მოამბესა“ და სხვა საენათმეცნიერო ჟურნალებში, აგრეთვე სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების შრომების კრებულებში. მათ შორის შეიძლება გამოვყოთ ნ. დარსაველიძის „შხამსაწინააღმდეგო ჭეხვის აღმნიშვნელი ქართული ტერმინების წარმომავლობისათვის“ (დარსაველიძე, 1977, 64-76); ზ. თანდილაძის „ლეგენდა სოფელ ვერნებზე“ (თანდილაძე, 1978, 56-67) ვ. დედაბრიშვილის „ბუნების დაცვის საკითხები ხალხურ ყოფასა და ლიტერატურაში“ (დედაბრიშვილი, 1980, 97-108). არ შეიძლება არ გამოიყოს აგრეთვე პ. ცხადაიას „კოლხური გოპონიმების მოგივირების საკითხისათვის“ (ცხადაია, 1987); რ. ჩხენკელის „ქართული სამშენებლო ლექსიკა როგორც სამეცნიერო ტერმინოლოგიის საფუძველი“ (ჩხენკელი, 1988), ა. ხომერიკის „სამედიცინო ტერმინოლოგიის სემანტიკური ანალიზი რუსულ და ქართულ ენებში“ (Хомერიки, 1986) და სხვ. მნიშვნელოვან შესაძენად შეიძლება ჩაითვალოს პ. ცხადაიას „ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი“ (ცხადაია, 1988), რომელშიც მოგივაციის თეორიის უამრავი ტერმინია დაზუსტებული და განმარტებული. მოგივაციური ნომინაციის პოზიციებიდან არანაკლებ საინტერესოა აგრეთვე ა. თაყაიშვილის „ქართული ფრაზეოლოგიის საკითხი“ (თაყაიშვილი, 1961), ვ. კლიმოვის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ (კლიმოვი, 1964) და უამრავი სხვა. ერთი სიგყვით, ბოლო სამი ათეული წლის განმავლობაში ქართველმა ლინგვისტებმა ამ მიმართულებით შესამჩნევ

წარმატებებს მიაღწიეს, თუმცა არ ვიქნებით სამართლიანი, თუ არ შევნიშნავთ, რომ თუნდაც ამავე პერიოდში მოგივაციის, ისევე როგორც საერთოდ ონომასიოლოგიის რთული პრობლემების შესწავლა – ანალიზის საქმეში უშუალოდ რუსულ ენათმეცნიერებაში გაცილებით მეტი გაკეთდა. ამის დამადასტურებელია თუნდაც ის, რომ ამ მიმართულებით იგივე 80-იანი წლების მიწურულს, როცა რუსულ ენათმეცნიერებას ხელთა აქვს უამრავი არამარტო კონკრეტული მასალის შემსწავლელი, არამედ თეორიული განმაზოგადოებელი ხასიათის მონოგრაფია (იხ. Меркулова, 1967; Торопцев, 1970; Блинова, 1989; Кияк, 1988 და სხვ.), პ. ცხადაია წერს: „ქართული ონომასტიკური ლიგერატურა არც თუ ისე მდიდარია, განმაზოგადოებელი ხასიათის ნაშრომები თითქმის არ მოგვეპოვება“ (ცხადაია, 1988, 9). მაუბარია, უპირველეს ყოვლისა, მოგივირებული ნომინაციის პრობლე- მებზე. თ.ა.). ამასვე აღნიშნავს ნ. ნიშნიანიძეც: „ონომასიოლოგიური მიდგომა შედარებით ახალია და ამ მიმართულებით კვლევა ჯერ მხოლოდ დაწყების სტადიაშია“ (ნიშნიანიძე, 1983, 144).

გასათვალისწინებელია აგრეთვე დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, განსაკუთრებით გერმანიაში მიღწეული წარმატებებიც. ამ მხრივ ცალკე აღნიშვნის ღირსია ნაშრომები, რომლებშიც აქცენტი კეთდება პრობლემის სოციოლინგვისტური კუთხით გააზრებაზე, ანუ სიგყვის შინაფორმის როლზე უნისა და კულტურის ურთიერთმიმართებაში. (იხ. Хаимс, 1968, ჯორბენაძე, 1996, Мечковская, 1995, Маслова, 2001).

ერთი სიგყვით, ინგერესი სიგყვის მოგივაციისადმი იმდენად აშკარაა და ამ პრობლემისადმი მიძღვნილი მრავალრიცხოვანი ნაშრომები იმდენად მრავალფეროვანი, რომ თავისთავად გაჩნდა კითხვა – ლინგვისტიკის რომელ ნაწილში უნდა ხდებოდეს მოგივაციის მოვლენის განხილვა, ანუ ლინგვისტურ დისციპლინათა შორის სად არის მოგივაციის ადგილი. თუ გრადიციულ გრამატიკას მოვიშველიებთ, სიგყვის მოგივირების პრობლემები ყველაზე ახლოს დგას ლექსიკა – ლექსიკოლოგიასთან. ასეთ შემთხვევაშიც ჩნდება მეორე კითხვა – ხომ არ შედის ეს პრობლემები ეტიმოლოგიის კომპეტენ-

ჩვენ სრულიად ვიზიარებთ იმ აზრს, რომ მოგივაციის პრობლემებს სწავლობდეს ცალკე დარგი, რომელიც მართალია განვითარდა ეტიმოლოგიაში, მაგრამ ნამდვილად დადგა დრო, როცა საჭიროა მისი დამოუკიდებელი დარგად ჩამოყალიბება. ეს აზრი თითქმის სამი ათეული წელია მუსირებს, და მთელი ამ ხნის განმავლობაში აღნიშნული პრობლემის შემსწავლელ ახალ მიმართულებას სახელიც მოეძებნა – მოგივოლოგია. აი რას წერს გასული საუკუნის 70-იან წლებში მ. გინათულინი: „მოგივოლოგია ეტიმოლოგიის ის ნაწილია, რომლის ამოცანაცაა სახელდების მომენტში სიგნატი და სიგნატი კავშირის, აგრეთვე ენის განვითარების გარკვეულ ეტაპზე სიგნატის მოგივირების ხარისხის შესწავლა“ (Гинатулин, 1973, 12). ამ აზრს ავითარებს გ. უიუკბაევა: „მოგივოლოგიის ეტიმოლოგიისაგან განცალკევება დიდ პერსპექტივას უხსნის მოგივაციის გიპოლოგიურ შესწავლას“ (Чокнаева, 1983, 7). მოგივოლოგიის როგორც სიგნატის მოგივაციის თეორიის შემსწავლელი დამოუკიდებელი ლინგვისტური დისციპლინის ამოცანებს კიდევ უფრო ამუსტებს დ. სეგაროვი: „სახელწოდებასა და აღსანიშნ ობიექტს შორის კავშირის გიპოლოგიური შესწავლა შესაძლებელია მოგივოლოგიისა და ეტიმოლოგიის ერთმანეთისაგან გამიჯნვის შედეგად. ამ ლინგვისტური დისციპლინის კომპეტენციაში შედის ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მოგივირების ხარისხისა და მდგომარეობის გამოვლენა, აგრეთვე იმ მოგივის განსაზღვრა, რომლის მიხედვითაც შერქმეული აქვს სახელი ობიექტს, სხვადასხვა ენებში მოგივაციის სისტემურობის გათვალისწინება და ა.შ. (Сегаров, 1984, 14).

ამასთან, როგორც ქართული, ისე რუსული ენის თუნდაც უახლესი სახელმძღვანელოების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მოგივოლოგიის ცალკე დისციპლინად ჩამოყალიბების თაობაზე იგივე აზრის გამეორება მოგივდება, რომელიც გამოთქვა ო. ბლინოვამ ^{თითქმის} რომელი ათეული წლის წინ: „მოვი დრო და სიგნატის მოგივაციის მოვლენა შეტანილი იქნება სასწავლო სახელმძღვანელოებში და მართლაც დაიჭერს მათში თავის ღირსეულ ადგილს. ჯერ მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ სახელმძღვანელოებში

მოციქულის თეორიის მხოლოდ ცალკეულ გერმინებსა და საკითხებს
ჭაბუჭებით“ (Блинова, 1989, 7).

მიგვაჩნია, რომ მართლაც დადგა დრო, როცა მოგივოლოგიამ,
როგორც ზოგადმა, ისე შეპირისპირებითმა, უეჭველად უნდა დაიჭიროს
თავისი კუთვნილი ადგილი სხვა ლინგვისტურ დისციპლინებს შორის,
შეიქმნას და დაამკვიდროს საკუთარი გერმინოლოგია და გასცეს მეცნიერუ-
ლად დასაბუთებული პასუხი მრავალ კითხვას, რომელთა გაგების გარეშეც
ურ მივაღწევთ მეცნიერულ სიცხადეს. ძალაუვნებურად გვახსენდება
კობილი სპეციალისტის, პროფ. პანგელეიმონ ბერაძის გამძაფრებული
კმათი იმის თაობაზე, თუ რაგომ ვერ იხსნება ბერძნული ენის ლექსიკური
მხალთ ერთი ბალახის სახელწოდება – Asphodelos. როდესაც სამეცნიერო
კონფერენციაზე მან ხმამაღლა განაცხადა, რომ ბერძნულმა შეიძლება ჯერ
კდეც ორი ათასი წლის წინ საქართველოდან წაიღო ეს სამკურნალო
ბალახიცა და მისი ქართული სახელწოდებაცო („ასფოთოლა“), ევროპელმა
შელევეარებმა ეჭვი შეიგანეს ამ მოსაზრებაში. ზოგმა გაკვირვებაც კი
გამოთქვა, როგორ შეიძლებოდა ძველ ბერძნულს ქართულისაგან ესეხსა
რამეო. ანალოგიური საკითხი უამრავია როგორც ფიგონიმიკაში, ასე
გოპონიკაში, ონომასტიკასა და ენის ლექსიკის დარგობრივ გერმინოსის-
ტემებში. სწორედ მოგივოლოგიამ უნდა მოუყაროს მათ თავი და სწორედ
მის კომპეტენციაში უნდა მოექცეს მათზე მეცნიერულად დასაბუთებული
პასუხების გაცემა. პასუხებისა, რომელთა დიდი ნაწილიც იქნებ გვაქვს
კდეც, მაგრამ ისინი დაკარგული მარგალიტებივითაა მიმოხეული გოპონი-
ტიკის, ონომასტიკის, დარგობრივი გერმინოსისტემებისა და ენის ლექსიკის
სხვა ჯგუფების ამა თუ იმ თვალსაზრისით, უპირატესად კი სტრუქტურულ-
სემანტიკური თვალსაზრისით კვლევისადმი მიძღვნილი ნაშრომების ცალკე-
ულ ნაწილებში, რის გამოც გაძნელებულია საჭიროების შემთხვევაში მათი
მოძველიება თუ ახლებურად გაარზება. ვფიქრობთ, ქართულ ენათმეცნიე-
რებაში საკითხი უნდა დაისვას კომპლექსურად – არა მხოლოდ მოგივო-
ლოგიის, არამედ საერთოდ ნომინაციის ერთიანი თეორიის შესახებ, რაც

თავისთავად გადაწყვეტს როგორც მოგივოლოგიის, ისე ონომასიოლოგიის კუთვნილი ადგილის პრობლემას. როგორც წინამდებარე ნაშრომი, ასევე სამომავლოდ მცენარეთა ქართულ-რუსული მოგივაციური ლექსიკონის შედგენაც, ვფიქრობთ, თავის მოკრძალებულ წვლილს შეიგანს ამ ამოცანის გადაჭრაში, იმდენად რამდენადაც ჩვენი კვლევის საგანია არა მთლიანი ფიგონიმიის კომპლექსური ანალიზი, არამედ სწორედ მოგივოლოგიის ერთი კონკრეტული მიმართულება – მცენარეთა მოგივირებული სახელები, უფრო მუსგად – ორი არამონათესავე ენის ფიგონიმიის მოგივირებული ნაწილი შეპირისპირებით, აღსანიშნი მცენარის „ენობრივი ხედვისა“ და ფიგონიმთა ენათაშორისი ეკვივალენტობის ასპექტში.

§ 2. ფიგონიმთა სიტყვის მოტივირების ასპექტში

მცენარეთა სამყარო ადამიანის უმთავრესი თანამგზავრია უხსოვარი დროიდან, ამიგომაც ნებისმიერი ენის ფიგონიმიის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ხალხური ნომინაციის პროდუქტია და მისი ლინგვისტური ანალიზი შეგად საინტერესო სურათს იძლევა. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული როგორც ქართულ, ასევე რუსულ ენათმეცნიერებაში.

მოგივირების თვალსაზრისით ქართული ფიგონიმიის შესწავლისათვის მყარი და ნაყოფიერი ნიადაგია შექმნილი მცენარეთა სამყაროს ამსახველი მდიდარი ლექსიკის სახით, რომელიც დამკვიდრებულია როგორც გეპირ, ისე წერით მეტყველებაში. ქართული ფლორის ნაირფეროვანი ლექსიკა საკმარისი სისრულითაა ასახული სულხან-საბა ორბელიანის, ჩუბინაშვილების, რ. ერისთავის, ი. ბაგრატიონის, ალ. მაყაშვილის, ბ. ფონხუასა და სხვათა ლექსიკონებში, აგრეთვე ქართული ენის თანამედროვე განმარტებით და დიალექტურ ლექსიკონებში.

უშუალოდ ბოგანიკური ლექსიკონის შედგენის პირველი ცდა ეკუთვნის რ. ერისთავს (ერისთავი, 1884), ხოლო მცენარეთა სახელების პირველი

რული ლექსიკონი შეადგინა ალ. მაყაშვილმა, რომლის მესამე გამოცემაც
წელს გამოვიდა.

აღნიშნული ლექსიკა მეგნაკლები სისრულითაა ასახული, ხოლო მისი
გარკვეული ნაწილი მოგივირების თავლსაზრისით განმარტებული ვახუშტი
მეტრაგიონის („აღწერა სამეფოსა საქართველოსა“), ი. ბაგონიშვილის
„მასობა“. თბ., 1948), ზ. ყანჩაველის („ბოგანიკა“. თბ., 1927), ნ. კეცხოვე-
ლის („საქართველოს მცენარეულობის ძირითადი ტიპები“. თბ., 1934) და
მეთათა ნაშრომებში, აგრეთვე კულტურულ, შემოგანილ და ენდემურ მცენა-
რეთა უამრავ ცნობარში. (ყოველივე ამის შესახებ იხ. ალ. ღლონგი 1983,
21-254). მთელი ეს ლიტერატურა ფიგონიმთა მოგივირების თვალსაზრისით
საინტერესოა არა მარტო იმიტომ, რომ მასში თავმოყრილია ჩვენი
საკვლევი მასალა, არამედ იმიტომაც, რომ მოცემულია უამრავი ფიგონიმის
ფიზიოლოგია, მოგივაცია თუ სხვა სახის ანალიზი.

რაც შეეხება უშუალოდ ენათმეცნიერული თვალსაზრისით ქართული
ფიგონიმის შესწავლას, ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავია ნ. მარის
„მცენარეთა იაფეგური სახელწოდებები“, რომელშიც იგი წერს: „ფლორის
შესახებ მეცნიერების გაფურჩქნისა და ბაგონობის საუკუნეშიც კი ფილო-
ლოგთა მრავალრიცხოვან ოჯახში იშვიათად წამოგივცივდება ხოლმე
მცენარეთა სამყაროსა და მისი კულტურისადმი ინტერესი“ (Mapp 1915, 769)
ღინჯვისტი დიდი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ „მასალა უსაზღვროა,
მკვლევარი მცირე“ (Mapp, 1915, 770).

აღსანიშნავია აგრეთვე ივ. ჯავახიშვილის „საქართველოს ეკონომი-
კური ისტორია“ (ჯავახიშვილი, 1986), რომელშიც დიდი ქართველი მეცნიე-
რის მიერ დასმულ უამრავ პრობლემათა შორის მცენარეთა სახელწო-
დებების ლინგვისტური თვალსაზრისით შესწავლის პრობლემაცაა. კერძოდ,
ვაზ-ყურძნის ჯიშების კვლევისას იგი წერს: „ვაზ-ყურძნის ჯიშების ქართუ-
ლი სახელების შესწავლა მკვლევარს საშუალებას აძლევს უპირატესად
გამოიკვლიოს, თუ რა თვისებას ან რა გარემოებას აქცევდა ყურადღებას
ქართველი მევენახე, როდესაც ვაზის გარკვეულ ჯიშს სახელს არქმევდა.

ამის გამორკვევა იმ მთავარ პრინციპსაც გაუთვალისწინებს ადამიანს, რომლითაც ხალხი ვამყურძნის ამა თუ იმ ჯიშისათვის სახელის შერჩევის დროს ხელმძღვანელობდა. საქართველოში გავრცელებული ყურძნის ჯიშების სახელები, მათი სიმრავლის მიუხედავად სრულებითაც არ არის შემთხვევითი, არამედ ყოველთვის ამა თუ იმ გარემოების მაუწყებელია“ (ჯავახიშვილი, 1986, 490).

უფრო ვრცლად და საფუძვლიანად მცენარეთა სახელწოდებების შესწავლის პრობლემა დასვა ვ. თოფურიამ ნაშრომში „მცენარეთა სახელწოდებების შესწავლისათვის ქართველურ ენებში“, რომელიც მოხსენების სახით იქნა წაკითხული ენათმეცნიერების ინსტიტუტში XVI სამეცნიერო სესიამზე 1958 წელს, ხოლო დაიბეჭდა 1973 წელს. ავტორი წერს: „ჩვენ უფროდნობით ივ. ჯავახიშვილის, ნ. კეცხოველის, ალ. მაყაშვილის და სხვათა ნაშრომებს და ვეცდებით საკითხის დასმის წესით რამდენიმე ენათმეცნიერულ პრობლემას შევვხვით იმ ვარაუდით, რომ ამ გზით მუშაობის წარმართვა მართებული იქნება“ (თოფურია, 1973, 244). პრობლემათა შორის დასმულია მცენარეთა სახელდების პრინციპების შესწავლაც, რასაც დინგვისტი დიდ ყურადღებას ანიჭებს ენისა და, კერძოდ, სახელწოდების ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით. იგი განსაკუთრებით უსვამს ხაზს ადგილობრივ, ანუ ენდემურ მცენარეთა სახელწოდებების შესწავლას: ენდემურ მცენარეს ადგილობრივ ენაზე შერქმეული სახელი აქვს, მაშინ როცა შემოგანილს იმ ენის სახელი მოჰყვება, საიდანაც ის მოდის, ან თარგმნება ადგილობრივ ენაზე. ჩვენთვის, რა თქმა უნდა, არსებითი მნიშვნელობისაა ენდემურ მცენარეთა სახელწოდებანი (თოფურია 1973, 245).

აღსანიშნავია აგრეთვე არნ. ჩიქობავას „ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი“ (ჩიქობავა, 1938) რომელშიც მოცემულია მთელი თავი მცენარეულობის სახელთა შედარებისა ქართველურ ენათა მონაცემების საფუძველზე, და გ. კლიმოვის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ (კლიმოვი, 1964), მართალია, ანალოგიური ნაშრომები, როგორც არნ. ჩიქობავა შენიშნავს „ქართველურ ენათა ისტორიული ურთიერთო-

„სოკოს გასათვალისწინებლად უფროა მნიშვნელოვანი“ (ჩიქობავა 1938, IX-X),
მათი არაერთ უაღრესად საინტერესო ცნობას ვაწყდებით ფიგონიმთა
მოტივირების თვალსაზრისითაც.

ფიგონიმთა ერთი ჯგუფის მოტივირების თაობაზე საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული ქ. ლომთათიძეს, რომელიც აანალიზებს რა — „სოკოს“ დაბოლოებიან სოკოს სახელებს, მათ „მამილო“, „დედილო“-ს ფილოლოგიურად ემოციურ-მოფერებით სიგყვებად თვლის და წერს: „სოკოს ტონისას (ისევე როგორც რაიმე დაკარგული ნიეთის ძებნისას ჭია-ჭიას ან უმა-ეშმას რომ მიმართავენ, „მაპოვნინეო“) ადამიანი სოკოს მოფერებითი, სააღერსო სიგყვით მიმართავდა, რომ მძებნელს იგი გამოსჩენოდა. ასე მიმართავდა იგი, პირველ რიგში, საჭმელ სოკოს“ (ლომთათიძე, 1982, 88).

ასევე საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული მოცემულ ასპექტში ალ. ჭინჭარაულს; აანალიზებს რა, მაგალითად, „ვიროხა“ სიგყვის ფილოლოგიას, ბოლონიმის გამოყენების შემთხვევებს განიხილავს არა მარტო საკთრივ ბოლონიმის სტრუქტურაში, არამედ „ვირიპიგნა“-ს გიპის ფიგონიმთა სტრუქტურაშიც (იხ.: ჭინჭარაული, 1977, 170-175).

ფიგონიმთა მოტივირების ცალკეულ საკითხებს ეხება აგრეთვე მ. ირემაშვილიც, რომელსაც გამოკვლეული აქვს უპირატესად სამკურნალო მცენარეთა სახელწოდებები (იხ.: Иремашвили, 1984, Иремашвили, 1985, Иремашвили, 1987).

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ აგრეთვე ნაშრომებს, რომლებშიც ცალკეული კავკასიური ენების მცენარეთა სახელწოდებების მოტივირების პრობლემებია განხილული, კერძოდ, ესენია ი. ალიროევის (Алироев, 1975), ჟ. ოზდოევას (Оздоева, 1975), რ. ტემიროვასა (Темирова, 1975) და სხვათა ნაშრომები, რომლებსაც უფრო დაწვრილებით საკვლევი მასალის განხილვისას მივუბრუნდებით.

რაც შეეხება რუსული ენის ფიგონიმის კვლევას მოტივირებული ნომინატივის ასპექტში, განსაკუთრებით და ხაზგასმით უნდა აღინიშნოს გომსკელ ლინგვისტთა მიერ ამ საქმეში შეგანილი ფასდაუდებელი წვლილი, რომლის

საფუძველზე, ჩვენი აზრით, მათ სრულიად სამართლიანად და დამსახურებულად შეიძლება ვუწოდოთ ფიგონიმთა და არა მარტო ფიგონიმთა, არამედ საერთოდ საგვყვის მოგივირების პრობლემათა შემსწავლელი ლინგვისტური სკოლა, რომელსაც წარმოადგენენ ვ. მერკულოვა, თ. ბლინოვა, ვ. კოპოჩევა, თ. სოლოფოვა, ვ. არიანოვა და სხვები. მათი მეცნიერული მემკვიდრეობიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია თ. ბლინოვას არაერთი ნაშრომი, უპირველეს ყოვლისა, მისი ვრცელი მონოგრაფია „ენობრივ ერთეულთა მოგივირების მოუღენა რუსულ ენაში“ (Блинова, 1989), რომელშიც თავმოყრილია და სარმისეულად გაანალიზებული სიგყვის მოგივირების პრობლემის ირგვლივ აღმოჩენილი მეცნიერული გამოცდილება და გამოთქმულია უამრავი საინტერესო მოსაზრება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგი სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს საგვყვის მოგივირების ზოგადი თეორიის ერთ-ერთ ფუძემდებლურ ნაშრომად.

აღნიშვნის ღირსია აგრეთვე ვ. მერკულოვას მონოგრაფია „მცენარეთა სახელწოდებების რუსული ნომენკლატურის ნარკვევები (სოკოები, კენკროვნები, მალახები)“, რომელიც მისივე სადოქტორო დისერტაციის საფუძველზეა გამოქვეყნებული. ნაშრომში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ფიგონიმთა მოგივირების ნიშანთა გამოვლენასა და იმის დასაბუთებას, თუ რაოდენ საინტერესო სურათს ქმნის მოგივირების თვალსაზრისით ბუნების ლექსიკა.

სწორედ გომსკელთა დამსახურებად უნდა ჩაითვალოს მეცნიერული და ხალხური ნომინაციის, ანუ „ხელოვნური“ და „ბუნებრივი“ ნომინაციის ცნებათა ერთმანეთისაგან მკაფიო გამიჯვნაც, რასაც ისახავს მიზნად ვ. კოპოჩევას ნაშრომი „ხელოვნური“ და „ბუნებრივი“ სახელდების ურთიერთმიმართება (მცენარეთა სახელწოდებების მაგალითზე)“, (იხ.: Копочева, 1986) და მისივე „ხალხური და მეცნიერული ბოგანიკური ნომენკლატურის შესახებ“ (Копочева, 1987). ავტორი კატეგორიულად არ ეთანხმება მგკიცებას იმის თაობაზე, რომ თითქოს ხალხური ფიგონიმთა არ ექვემდებარება არანაირ კლასიფიკაციას და ამიტომაც არა აქვს მკაცრად განსაზღვრული სტრუქტურა. იგი ასაბუთებს ხალხურ ფიგონიმთა კლასიფიკაციის მეცნიერულისაგან განსხვავებულ, სპეციფიკურ ხასიათს, კერძოდ, იგი ვეთავაზობს მცენარეთა ხალხური სახელწოდებების

კლასიფიკაციის თავისებურ, მეტად ორიგინალურ პრინციპებს – ე.წ. „ნომინატიურ-სახეობითი ველისა“ («НОМИНАТИВНО-ВИДОВОЕ ПОЛЕ») და „ღრუბლის“ («ГУБКА») პრინციპებს. პირველში მოიაზრებს ერთი და იგივე სახელწოდების დარქმევას გენეტიკურად მონათესავე მცენარეებისათვის, ხოლო მეორეში – ასევე ერთი და იგივე სახელწოდების დარქმევას სრულიად სხვადასხვა, გენეტიკურად მონათესავე მცენარეებისათვის. ორივე შემთხვევაში ნომინაციის საფუძველია მცენარეთა გვარ-სახეობითი ანუ მეცნიერული კლასიფიკაცია, არამედ მცენარის რომელიმე თვალში საცემი ნიშან-თვისება, რაც მეტად საინტერესო უნდა იყოს ქმნის ერთი და იგივე მცენარის „ენობრივი ხედვის“ თვალსაზრისით, მაგრამ ამ საკითხს ჩვენ ცოცხა მოგვიანებით, კერძოდ, წინამდებარე ნაშრომის II თავში უფრო დაწვრილებით მიუხილავთ.

ფიგონიმთა მოგივირებული ნომინაციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ფრუთვე გომსკელ ლინგვისტთა მიერ დიალექტური და ლიტერატურული ფიგონიმის ერთმანეთისაგან გამიჯნვაც, რისი ლოგიკური გაგრძელებაცაა უდრესად საინტერესო და მდიდარი რუსული დიალექტური ფიგონიმის საფუძვლიანი კვლევა. ამ მიზანს ემსახურება გომსკის სკოლის ერთ-ერთი წარმომადგენლის ვ. არიანოვას ნაშრომები (იხ. Арьянова 1987, Арьянова, 1989 და სხვ.). მათში ავტორი გვთავაზობს განმარტებით ლექსიკონებში ლიტერატურული და დიალექტური ფიგონიმების ერთმანეთისაგან განსხვავების კრიტერიუმებს, ხოლო მოგივაციას განიხილავს როგორც ლექსიკური კავშირების ერთ-ერთ სახეს (იხ. Арьянова, 1989, 10-11).

გომსკელ ლინგვისტთა მეცნიერულ მემკვიდრეობაში, ჩვენი აზრით, უამრავი ადგილი უჭირავს ნაშრომს „მცენარეთა სახელწოდებების დიალექტური მოგივაციური ლექსიკონი“, რომელსაც დართული აქვს „მცენარეთა სახელწოდებების სიხშირული მოგივაციური ლექსიკონი“. როგორც ლექსიკონის რედაქტორი ო. ბლინოვა შენიშნავს, ეს გახლავთ მსგავსი ლექსიკონის შედგენის პირველი ცდა, და იმედს გამოთქვამს, რომ იგი ბიძგს მისცემს ამ მიმართულებით კვლევის კიდევ უფრო გააქტიურებას (Мотивационный ..., 1983, 3).

რუსული დიალექტური ფიგონიმიის კონკრეტულ ჯგუფს – მიკონიმებს ანუ სოკოების სახელწოდებებს განიხილავს თავის სადისერტაციო ნაშრომში ვ. ნეფედოვა (იხ. Нефедова, 1977), რომელშიც მოტივირებული ნომინაციის თვალსაზრისით საინგერესოა არხანგელსკის კილოებში სოკოების სახელწოდებათა საერთო და ინდივიდუალური სემანტიკური ნიშნების ავგორისეული კლასიფიკაცია და განხილვა.

რუსული მიკოლოგიური ლექსიკის კვლევას ეძღვნება მ. ბორისოვას ნაშრომიც (იხ. Борисова, 1989). ჩვენს საკვლევ პრობლემატიკას ავგორი ეძება ერთ-ერთ თავში, რომელშიც გაანალიზებულია საკვები და საკვებად უარვისი სოკოების ნომინაციის პრინციპები.

რთული სიგყვებითა და ფრაზეოლოგიური კონსტრუქციებით გამოხატულ რუსულ ფიგონიმებს განიხილავს გ. მარსაკოვაც (Марсакова, 1974). ჩვენთვის ინტერესით საინგერესოა ნაშრომის ერთ-ერთი ქვეთავი, რომელშიც ავგორის განხილვის ობიექტია ცხოველთა ამა თუ იმ ორგანოზე მცენარის ორგანოს შემსგავსებით მოტივირებული ფიგონიმები, ამიგომაც უფრო დაწვრილებით ამ საკითხს ქვემოთ განვიხილავთ.

რუსული ლიტერატურული და დიალექტური ფიგონიმიის სტრუქტურული და სემანტიკური მოტივაციის პრობლემებს განიხილავენ თავიანთი საკანდიდატო დისერტაციების ცალკეულ ნაწილებში აგრეთვე მ. შარაშოვა (Шарашова, 1968), ე. ბობროვა (Боброва, 1979) და ვ. ნიკიშაევა (Никишаева, 1974), რომელთა ნაშრომებსაც უფრო კონკრეტულად ასევე საკვლევ მასალის ანალიზისას შევხებით.

ფიგონიმთა მოტივირებული ნომინაციის პრობლემები განხილულია აგრეთვე შეპირისპირებით ასპექტშიც. ამ მიმართულებით კვლევის ძირითად მიზანებს მკაფიოდ განსაზღვრავს ო. სოლოგუბი: „ცალკეულ ნომინაციურ სისტემათა სახელდების პრინციპების შეპირისპირებით – გიპოლოგიური კვლევა საშუალებას იძლევა გაკეთდეს ამ პრინციპთა ზოგადი კლასიფიკაცია“ (Сологуб, 1987 (1), 2). ამ მიმართულების ნაშრომთა შორის პირველ რიგში აღსანიშნავია ე. უიკბაევას ზემოთ უკვე მითითებული ნაშრომი, რომელშიც ავგორი მიზნად

ინგლისური, რუსული და ყაზახური ენების ფიგონიმიის მაგალითზე მოციფირებული ნომინაციის პრინციპთა გიპოლოგიურ ანალიზს. იგი გამოჰყოფს მცენარეთა მოციფირებული ნომინაციის 14 პრინციპს და გამოთქვამს ვარაუდს, რომ დიდი უმრავლესობის უნივერსალურობის შესახებ: „მოციფაციაში ინვარიანტი შეიძლება ჩაითვალოს მოცემული ლექსიკური სისტემის მოციფებათა კომპლექტი, რომელთა კონკრეტული გამოხატვა ისეთივე მრავალფეროვანი და უსრულლოა, როგორცაა თავად ენა“ (Уюкбаева, 1983, 23).

რუსული ფიგონიმიის კონკრეტულ ნაწილს – მიკონიმიას შეპირისპირებით ასპექტში განიხილავს მ. ბორისოვა (Борисова, 1989), რომელიც წერს: „გიპოლოგიური ლექსიკის შედარებით ასპექტში განხილვამ საშუალება მოგვცა უმოკვევლინა რუსული და სხვა აღმოსავლეთსლავური ენებისათვის დამახასიათებელი სოკოების სახელწოდებების ფორმირების ბევრი საერთო სემანტიკური და სიგევაწარმოებითი პროცესი. ამ ენებში სოკოების ნომინაცია ეყრდნობა ისეთ მრავალფეროვან ნიშნებს, როგორცაა ფერი, გემო, ფორმა, სტრუქტურა, გავრცელების არეალი, ხეების სახეობებთან კავშირი, კვებისათვის ვარგისიანობა და უარვისობა“ (Борисова, 1989, 21).

რუსული ამპელეოგრაფიული ლექსიკის (ყურძნის ჯიშების სახელების) მოციფირების ნიშნებს ბულგარულ, რუმინულ, უზბეკურ, თურქმენულ, გაჯიკურ, ფართულ, სომხურ, ნაწილობრივ – ფრანგულ, ინგლისურ და გერმანულ ენებთან შეპირისპირებით განიხილავს თავისი საკანდიდატო დისერტაციის ერთ-ერთ თავში რ. ივანოვა (Иванова, 1973), ბუნებრივია, საკანდიდატო დისერტაციის შიგნით ერთი თავის ფარგლებში ამ მოცულობის მასალის სიღრმისეული განხილვა შეუძლებელია, რისი პრეგენზია ავგორს არცაა აქვს, თუმცა ამ ანალიზის საფუძველზე მას საკმაოდ საინტერესო ზოგადი ხასიათის დასკვნები გამოაქვს (იხ. Иванова, 1973, 21-22).

მცენარეთა სამყაროს „ენობრივი ხედვისა“ და ენათაშორისი ეკვივალენტობის ურთიერთკავშირის პრობლემებს ეხება თავის საკანდიდატო დისერტაციაში გ. მარსაკოვა, რომელიც წერს: „პრაქტიკა მცენარის კონკრეტულ ნიშანთვისებებს გვიჩვენებს. ისინი სხვადასხვა ენების სახელწოდებებშია ასახული.

როგორც ამიგომ სხვადასხვა ენებში სტრუქტურულ-სემანტიკური თვალსაზრისით ერთნაირი სახელწოდებების არსებობა აიხსნება არამარტო ენათა ურთიერთგავლენითა თუ გენეტიკური სიახლოვით, არამედ „საერთო ენობრივი ბუღითაც“ (Марсакова, 1974, 12).

ამრიგად, როგორც ჩვენი საკვლევი პრობლემატიკის ირგვლივ არსებული ლინგვისტიკური კრიტიკული ანალიზი გვიჩვენებს, გარესამყაროს ფრაგმენტთა მოცივრებულ ნომინაციის ზოგადენობრივი და განსაკუთრებით ეთნოენობრივი სემანტიკური მომენტებისა და გენდენციების გამოვლენის მიზნით ქართული, რუსული და სხვა ენების მაგალითზე ბევრი რამაა გაკეთებული. მაგრამ აღნიშნული პრობლემატიკა არა თუ არ კარგავს თავის აქტუალობას, არამედ კიდევ უფრო მეტ სიმწვავეს იძენს არსებული რეალობის ფონზე. ეს რეალობა კი საკმაოდ მძიმეა. როგორც გერმანელი ენათმეცნიერი კრისტიან ლემანი წერს, უბრალოდ შეფასებით მსოფლიოს 6000-მდე ენიდან XXI საუკუნის ბოლოსათვის თურმე გადარჩება მხოლოდ 10 % (Леман, 1996, 181), ყოველწლიურად კვდება თითქმის 10-ზე მეტი ენა (Мечковская, 2001), გაჩნდა ენების „წითელი წიგნები“ (Красная Книга, 1994) და ა.შ.

ვფიქრობთ, ამ ფონზე სასიცოცხლოდ აუცილებელია თითოეული ენის უდარჩენისა და თვითმყოფადობის შენარჩუნების მიმართულებით ლინგვისტიკურ კვლევაში არსებული ნებისმიერი ხარვეზის ამოვსება.

მეგაფორული „ფერითი“ ფიგონიმების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს სახელწოდებები, რომელთა შინაფორმებშიც გადმოცემულია მცენარის რომელიმე ორგანოს მოწითალო-მოყვითალო ფერი, ანუ წითელი და ყვითელი ფერების გამა, ოღონდ ყვითელის დომინირებით. ქართული ფიგონიმისათვის ეს არის ფერი – ოქროს: ოქროქულა, ოქროშვრია, ოქროშინდა, ოქროწკეპლა, ოქროწვერა, ოქროცოცხა, ოქროვაშლა, ოქროვერცვა და სხვ., კვერცხის გულისა – კვერცხისგულა, სოკოკვერცხა; მზისა – ირმისგუჩა, ირმისბაწარა, ირემა სოკო; მზისა – მზეყვაილა, მზურა; კომშისა – კომშა მსხალი; ცეცხლისა – თავცეცხლა; კრაბანისა – კრაბანა; ქათმის ქონისა – ქათმისქონა; მიწისა – მიწაყარა; რუსულში – ოქროს – золотоцвет, золотой дождь, золотыячник, золотая печать; ცეცხლის – горчицвет; მზის – солнцевцвет; მელიისა – лисички; სპილენძის – медноцвет და სხვ. მივმართოთ მაგალითებს:

ქათმისქონა – „ერთგვარი მსხალია, მოყვითალო, აქვს ბუსუსებიანი მკარ-პაგარა ფოთლები, რომლებიც ცხიმწასმულივით ბზინავენ“ (გაჩეჩილაძე, 1956, 141).

მიწაყარა – „სოკოა, ქანგმიწისფერი, მოყვითალო-მოყავისფრო ქული“ (ხიდაშელი, 1990, 19).

კრამანა – „ბალახია, მოწითალო, კრამანის (მწერია) მსგავსი ყვავილები“ (მენტეშაშვილი, 1943, 94).

Лисички – «От всех грибов отличается ярким яично-жёлтым цветом, шляпка и ножка бывают светло-жёлтые» (Лихачёв, 1986, 176) და სხვა;

Горицвет – «Названо по ярко горящему цвету его красных и жёлтых цветков» (Марсакова, 1974, 68).

Златоцвет – «Растение с золотистыми цветками» (Никишаева, 1974, 130)

ამ ჯგუფის მეგაფორული „ფერითი“ ფიგონიმების ცალკე ქვეჯგუფად შეიძლება გამოიყოს სახელწოდებები, რომელთა შინაფორმებშიც წითელი ფერების ისეთი გამაა ასახული, რომელშიც დომინირებს წითელი ფერი. ამ ასპექტში აღსანიშნავია ისეთი ქართული ფიგონიმები, როგორცაა: *ღვინო, ღვინო, ხორციფერა, მგრედისფეხა, მარწყვი* და სხვ.

მგრედისფეხა – „რაგომ უნდა დაერქმია ქართველ ხალხს ამ ყურძნის მონათვის ასეთი სახელი და რა შეიძლება ჰქონდეს საერთო მგრედის ფეხსა და ვაშლს? მგრედის ფერი მოწითალოა. დასაფიქრებელია, რომ ამ ვაშლის მგვენის მგრედის სწორედ ამნაირადევა შეფერადებული და ამიგომ უნდა ჰქონდეს ეს მონათვის სახელი შერქმეული“ (ჯავახიშვილი, 1986, 502).

ღვინო – „სოკოა ერთგვარი, ღვინისფერ-მოწითალოა“ (ქეკელი, 1986).

წითელი ფერი კი ლალის, სისხლისა და ჭიაფერის ფერია: *ლალა, ღვინისხლა, ჭიაფერა* – ქართულში და *кровохлѣнка* – რუსულში.

ლალა – „დიდი ლალისფერი ყვავილები აქვს. ლალა ამ მცენარეს ყვავილების შეფერადების გამო დაერქვა“ (მაყაშვილი, 1962, 54).

ორივე ენაში საინტერესოა წარმოდგენილი თეთრის, შავისა და მწვანე შავ-თეთრის მეგაფორული ასახვაც. თეთრი ფერი – ეს არის ფერი *თეთრის – ცხვარა, ცხვარიო, гриб-баран, баранчики, барашки*, ვერცხლის – *თეთრებლა, серебряное дерево* (ორივე *leucodendron argentaum*-ის კალკაა), შავის – *ლებედა*, ნაცრის – *ნაცარა, ნაცარა ლობიო, ნაცარქათამა*. შავი ფერი – ყვავის ფერია – *ყვავეყვამალი, вороний глаз*.

ნაცარქათამა, ქათამნაცარა – „მორიგეობით განლაგებული ფოთლები მარად ფქვილისებრი ნაფიფქითაა დაფარული“ (ქსე VII, 339).

ყვავეყვამალი – „ბუჩქია ან პაგარა ხე, მისი მწიფე ნაყოფი შავია და ლაქა ფერი დაჰკრავს“ (ქსე, X, 636).

Лебеда – «Лебеда названа белой за светлые листья, как-будто мукой обсыпанные» (Меркулова, 1967, 137).

Баранчики – «В основе образа лежит представление о чём-то белом и пушистом» (Меркулова, 1967, 137).

საინტერესო ასოციაციებთანაა დაკავშირებული ფერთა სიმკვრივის, რაოდენობის ხატონად წარმოდგენაც, რასაც მნიშვნელოვანი როლი უჭირავს ქართულ „ფერთ“ ფიგონიმიაში:

გუგულის კაბა – „მისი ფოთლები აჭრელებულია ისე, რომ გუგულის მუხლოვან საფარველს მოგვაგონებს“ (მაყაშვილი, 1962, 62).

კალმახა სოკო – „ნაცრისფერი, ნაცრისფერ-მოყავისფრო ან მორუხო მწერის ქუდიანი სოკოა“ (ხიდაშელი, 1990, 13).

კაჭკაჭა ლობიო – „კაჭკაჭა თეთრ შავლაქიანს მარცვლის შეფერილობასა გულისხმობს“ (ჯავახიშვილი, 1986, 62).

ჩიგისკვერცხა ლობიო – „რაკი ჩიგის კვერცხი მართლაც წითლად დაწინწკლული კაქის ფერისა არის, ამიტომ მარცვლის სწორედ ასეთი შეფერადება უნდა იქნას ჩიგისკვერცხას ძირითად მნიშვნელობად მიჩნეული“ (ჯავახიშვილი, 1986, 62).

თავჯედილა – „სოკოა. ქუდის ფერთა გონების სიმრავლე ახასიათებს: მოყვითალო-მურა, ჭუჭყიან-ზეთისხილისებრი, მოშაო-მურა-მომწვანო“ (ხიდაშელი, 1990, 51).

უაღრესად საინტერესო და ორიგინალური პრინციპითაა მოგივირებული ფიგონიმი *‘ჯორა ყურძენი’* – „არც შავია, არც წითელი, შუანა ფერი აქვს“ (მასალეები, 1978, 122). ჯორი ხომ ვირის და ცხენის ნაჯვარია, თანაც და არც ერთია და არც მეორე.

მოგივირების ნიშნის ენობრივი გამოხატვის თვალსაზრისით აღსანიშნავია:

1. სტანდარტული ორწევრიანი კონსტრუქციების უკილურესად მცირე ფუნქციონირებითი წილი. ასეთია: ქართულში – *კალა ვაშლი, კალმახა სოკო, ქორის სოკო* და რუსულში – *серебрянное дерево*.

2. ენობრივი ეკონომიის კანონის წამყვანი როლი, რისი შედეგაცაა ენობრივ-შესიგყვებათა კომპრესია შემდეგი სიგყვაწარმოებითი ხერხებით:

ა) შესიგყვების შეკვეცა გვარეობითი კომპონენტის ამოვარდნით და დარჩენილი სახეობითი კომპონენტის სუბსტანტივაცია – სუფიქსაციის გზით:

– ა – *კალმახა, კვერცხისგულა, ლალა, ცხვარა, ჯორა, მბეყვავილა, მურა, თქროქულა, თქრობეჭელა*.

– იო – *მგრედო, ცხვარიო, ღვინო* (იხ. ლომთათიძე, 1982, 81)

– ნიკ; -ნიც(ა) – *золотысячник, мучник, мучница*.

ბ) შესიგყვების შეკვეცა გვარეობითი კომპონენტის ამოვარდნით და დარჩენილი სახეობითი კომპონენტის მიერ ომონიმის საფუძველზე ახალი მნიშვნელობის შექმნით, ამ გზით მოგივირებულია: ქართულში – *კრამანა*

და რუსულში – *баранчики, лисички, барашки, золотая печать, вороний*

гриб (მდრ.: гриб-баран).

§ 2.3. მცენარეთა ნომინაცია ზომისა ან რაოდენობის მიხედვით. ანუ

მცენარის (მისი ორგანოს) ზომის ან რაოდენობის მიხედვით
მოტივირებული ქართული და რუსული ფიტონიმები

ფიტონიმის შინაფორმაში მცენარის ან მისი ორგანოს ზომა ორივე

განსაკუთრებით ასევე ორი ხერხით აისახება – პირდაპირი და გადატანითი, ანუ

შუალოდ და მეგაფორულად. უშუალოდ ასახვის ენობრივი საშუალებებია

სტანდარტული ორწევრიანი სახელწოდებები, რომელთა სახეობითი

კომპონენტიც არის ბელსართავი სახელები: დიდი, პაგარა, მსხვილი, წვრილი, მაღალი, გრძელი. ამ პრინციპით მოგივირებულია: *წვრილფოთოლა*

კახვი, მსხვილფოთოლა ქასმინი, მსხვილი გოგრა, მაღალი მოცივი და სხვ. ქართულში და *липа мелколистая, жасмин крупноцветный* და სხვ. რუსულში. გვხვდება აგრეთვე გვარეობითი კომპონენტის ამოვარდნის

ზღვრად მიღებული ერთკომპონენტიანი სუფიქსური წარმონაქმნები: *ლდეულა*, *მხარგრძელი* და სხვ. ქართულში და *мелколепестник*, *мелкокошотка* და სხვ. რუსულში. მათი უმრავლესობა კალკირებულია ან *მარგზნილი*, ამიგომ მოგივაციის თვალსაზრისით დიდ ინტერესს არ წარმოადგენენ. ამ ასპექტში გაცილებით საინტერესოა მოცემული მოგივაციური ქვეჯგუფის ასოციაციური ფიგონიმები.

ფიგონიმის შინაფორმაში მცენარის ან მისი ორგანოს ზომის ზეგაფორულად გადმოცემის ხერხების შესახებ მიგვითითებს თეოფრასტე: „კერძულ ენაში მცენარის სახელწოდებაზე სიგყვების – ‘ცხენი’, ‘ხარი’ შესაგება ცვლის ზედსართავ სახელს – ‘დიდი’ (Феофраст, 1954, 546). მაშასადამე, ცხოველისა თუ ფრინველის სახელების გამოყენება შეიძლება უზარმაზარად არა მარგო ფორმითა და ფერით მსგავსებას, არამედ ზომასაც. კერძოდ, ამ გზით მცენარის ან მისი ორგანოს დიდი ზომები გადმოცემულია ზემოთქვემო სახელწოდებების შინაფორმებში:

ბულა ვაშლი – „დიდი წითელი ვაშლია, გირვანქა გამოვა ზოგიერთი“ (მარაშიძე, 1938, II).

კამეჩა ვაშლი – „დიდია, თითო გირვანქაზე მეტი გამოვა“ (მასალები, 1978, 42).

ღორქლიავი – „ქლიავის ჯიშია, მსხვილი, გრძელი, მოყვითალო“ (მენტეშაშვილი, 1943, 201).

ღორა კვახი – „ზოგი თითქმის ოთხი-ხუთი კილოგრამი გამოვა“ (მასალები, 1978, 30).

Arctium (ოროვანდი) „От ‘Arctus’ – ‘медведь’, вероятно по величине листа“ (Каден, 1975, 25). რუსულში ამ პრინციპით, შესაძლებელია, მოგივირებული იყოს *конские бобы*, *конский каштан*. თუმცა მცენარეთა დაწერილობაში შესაბამის მოგივაციურ მნიშვნელობაზე მინიშნების უქონლობის გამო ამის კატეგორიულად მტკიცება ძნელია, მითუმეტეს, რომ: *конский каштан* – «эти каштаны несъедобны. Подчёркивая это, растения называли каштанами конскими в отличие от съедобного каштана» (Шпилея, 1985, 97).

ფიგონიმის შინაფორმაში 'დიღის' ან 'მსხვილის' მნიშვნელობას უძღვება გადმოგვეცემდეს აგრეთვე ისეთი სიტყვები, როგორცაა 'გოდორი', 'კუნძი' და სხვ.

გოდორმარწყვა – „გოდორმარწყვა ჰქვია, მომსხო რო არი“ (მოწინიძე, 1974, 102).

კაციტავა – „მსხლის ჯიშია ერთგვარი, დიდ მსხალს ისხამს“ (ბერობაშვილი, 1986, 244).

კომმა მსხალი – „ზამთრის მსხალია, კომშივით მსხვილი, ყვითელი და ცხელი“ (ბერობაშვილი, 1986, 245).

კუნდა – „ვაზის ჯიშია, მსხვილი, შეკუნძული მგევანი იცის“ (მასალევი, 1986, 121).

რაც შეეხება მცირე ზომაზე ანალოგიური ხერხით მითითებას, ამ კუთხეში აღსანიშნავია სახელწოდებები:

ბაღლინჯო – „შავი ყურძნის ჯიშია, წვრილი მარცვლები იცის“ (მარტიროსოვი, 1956, 175).

გკიპა ლობიო – „ლობოს ჯიშია, კუტი, წვრილი, უხეირო ლობიოდ უწოდება“ (მენთეშაშვილი, 1943, 174). (მოცემულ ორ შემთხვევაში, როგორც უკვე ვთქვით, საზგასმულია მცენარისადმი ადამიანის უარყოფითი დამოკიდებულებაც, ხანსადაძვე 'გკიპა', 'ბაღლინჯო' = 'წვრილი' + 'უხეირო').

ჩიგავაშლა – „ეკლიანი ბუჩქია, ისხამს წვრილ წვნიან ნაყოფს“ (ქეგლ, 1986, 533).

ჩიგამსხალი – „მსხლის ჯიშია, ისხამს წვრილ მრგვალ ნაყოფს“ (ქეგლ, 1986, 533).

ჩიგაკომმა – „აქვს წვრილი კენკროვანი ნაყოფი, იჭმევა“ (ქეგლ, 1986, 53).

ჩიგის ცერცველა – „ბალახია, წვრილი მარცვლები აქვს პარკებში, იჭმენ“ (ბერობაშვილი, 1986, 476).

კვახკვერცხა – „გოგრის ერთი ჯიშია, პაგარა, კვერცხისოდენა“ (მოწინიძე, 1974, 193).

რუსულშიც არის ანალოგიური სტრუქტურის სახელწოდებები: овечья ~~овсяница~~, птичий горец и др., მაგრამ ვინაიდან ვერც ერთი მათგანის ~~ფუნქციონირებაში~~ ვერ ვხვდებით მითითებას მოგივირების კონკრეტულ ~~სახეობაზე~~, მათ მხოლოდ ვარაუდით მივაკუთვნებთ მოცემულ მოგივაციურ ~~სახეებს~~.

რაც შეეხება მცენარის ამა თუ იმ *ორგანოთა რაოდენობის* დასახელებით ~~ფუნქციონირებაში~~ მოგივირებას, აქაც ჩვეულებრივ ორი ქვეჯგუფის გამოყოფა ~~შეუძლებელია~~. სახელწოდებათა ერთი ნაწილი მოგივირებულია მცენარის ~~ორგანოთა~~ კონკრეტული რაოდენობის უშუალო დასახელებით. ამ პრინციპით მოგივირებულია: სამყურა, *ორფოთოლა*, *ორკბილა* და სხვ. ქართულში, ~~двулистник~~, *двузернянка*, *трилистник* და სხვ. რუსულში და Bidens (*ორკბილა*), Trifolium ('სამფოთოლა'), Zygophyllum ('წყვილფოთოლა') და სხვ. ~~ლათინურში~~.

სახელწოდებათა მეორე ნაწილი კი მოგივირებულია ორგანოთა ~~ფუნქციონირებაში~~ უნუსაბღვრელ რაოდენობაზე, ე.ი. ზოგადად სიმრავლეზე მითითებით, ~~როგორც~~ *მრავალძარღვა*, *ასფურცელა*, *ცხრაგყავა* და სხვ. ქართულში, ~~тысячелистник~~, *тысячелистник*, *тысячеголов* და სხვ. რუსულში.

ცხრაგყავა – „იმიტომ შეურქმევიათ, რომ ხნიერ გოგზე ჰკიდა ~~საფრქვეზე~~ ამძვრალი კანი (ტყავი). ერთი რიგი სანამ მოსცილდება, მეორე ~~საფრქვეს~~ დანაპრალებას და აძრობას. „ცხრა“ კი ძველ ქართულში მრავლის ~~უამომხაგველი~~ იყო“ (მაყაშვილი, 1957, 98). ამ მხრივ საინტერესოა ერთი ~~რუსული~~ სახელწოდების მოგივაცია, კერძოდ:

Девясил – «Название, в котором отразилось магия числа девять» ~~(მერკულოვა, 1967, 104).~~

§ 2.4. მცენარის ორგანოს ზედაპირის ელემენტარობაზე მითითებით - 26 მოტივირებული ქართული და რუსული ფიტონიამები

ორგანოს ლორწოვან, ნესტიან, ფისოვან და ა.შ. მდგომარეობაზე მინიმ-

მოცივირებულია ფიგონიმები:

ქათმის ქონა, ქონჭხალი – „ერთგვარი მხალია, მოყვითალო, ფოთლები ცხიმწასმულივით ბზინავენ“ (გახეხილაძე, 1976, 141).

Жирнянка, жирнолистка – «У листьев на верхней стороне имеются многочисленные головчатые железки, выделяющие липкую слизь» (Новак, 1987, 448).

Смолёвка – «Растение с клейким выделением на стебле» (Никишаева, 1974, 89).

Мокруха – «Гриб, молодое плодовое тело которого покрыто слизистой оболочкой» (Новак, 1987, 43). ანალოგიურია: *ცვილის ხე, ცვილიანა, ცვილის ბურო, ვისოვანა* – ქართულში, *росянка, мокрица, росичка* – რუსულში და *Sparganium* ('жирнянка'), *Drosera* ('росянка') და სხვ ლათინურში.

პრიალა, გლუვ, შეღინღულ ან დანაოჭებულ ზედაპირზე მითითებით მოცივირებულია:

ბამბამყვალა – „მაყვლის ერთ-ერთი სახე, ფოთლები ქვემო მხრიდან შერუხო-თეთრი ბუსუსებითაა დაფარული“ (ღლონგი, 1974, 54).

ხავერდა – „ყუავილნი, ფერად მოყვითალონი, დაფარულნი არიან ზრდად ნაზითა და მრქელითა ხაოთი, რომელიც უმსგავსების ხავერდსა“ (მაგრაგიონი, 1986, 30).

მუხა – „კრკოს ხესაცა მუხა ეწოდება, რამეთუ იგიცა დამუხვილ არს“. *ქუხვა, მომუხხვა, დამუხვა* – წვრილად დახეთქვა, დამუხვილი – დახეთქილი“ (სულხან-საბა, 1966, გ. 1) (ლაპარაკია მუხის დახეთქილ ქერქზე – თ.ა.).

Гладыш – «Шляпка гриба плоско-выпуклая» (БСЭ, 9. (VI), 59).

Сморчок – «В основе названия лежит представления о чём-то морщённом, смятом, что отражает столь оригинальную форму гриба, покрытую бороздами и складками» (Меркулова, 1967, 169).

ანალოგიურია აგრეთვე: *ხავერდულა, აბრეშუმა* – ქართულში და *моховик, мохунка, моховка* – რუსულში. ასოციაციური სახელწოდებებიდან უარესად საინტერესოა: *ხარისფაშვა* და *мать-и-мачеха*.

პარისფაშვა - ერთგვარი საჭმელი სოკოა, ქულის ზედაპირი
საფუძვლიანი აქვს (ფაშვის ზედაპირსა ჰგავს“ (ქეგელ, VIII).

Мать-и-мачеха - «Одна сторона листа опушена, другая - голая. Если
опушенную часть приложить к щеке, она греет, как мать, противоположная же,
голая волосков, всегда холодная. Она холодит как мачеха» (Скорород, 1936,
111) (ამ სახელწოდებას შეფასებითი მოტივაციის განხილვისას კვლავ
საფუძვლით).

§ 2.5. მცენარის ორბანოს სიმკვრივეზე ამითითებით მოტივირებული
ქართული და რუსული ფიტონიამები

უკობელი - „მისი მერქანი წმინდა აგებულებისაა, მაგარი, მიწაში
მოთავსებული მკვრივდება და არ ღებება“ (გაგულიშვილი, 1941, 60).

ძელქვა - „მისი სახელი მიღებულია ორი ქართული სიტყვის ძელისა
და ქვის შეერთებით და მისი მერქნის სიმკვრივესა და გამძლეობას
გამორბგავს. სახელწოდება სხვა ენებზე არ ითარგმნება და მოიხსენიებენ
მხოლოდ ჩვენ ვეძახით“ (დარჩიაშვილი, 1987, 68).

ცომა - „ქლიავის ჯიშია, სხვილი, რგვალი, დამწიფებისას ცომივით
რბილი“ (ჯანაშვილი, 1913, 101).

ფქვილა სოკო, ფქვილით - „მუქი ყვითელი ფერისაა, ფქვილივით
მუქდება“ (სახოკია, 1985, 222).

ქვაეაშლა - „წითელი ვაშლია, ენკენისთვეში შემოდის, მაგარია“
(შახალაბიძე, 1978, 54).

Мучница - «Мякоть плода мучнистая, не зря его называют мучницей»
(Ивченко, 1972, 64).

§ 2.6. სხვა ბარბნული ნიშან-თვისებებით მოტივირებული
ქართული და რუსული ფიტონიამები

განხილული მოტივაციური ქვეჯგუფების გარდა გვხვდება ერთეული

შეუბნებები მცენარის სხვადასხვა გარეგნული ნიშან-თვისების საფუძველზე ფიგონიმის მოგვირებისა, კერძოდ:

ჯავრცხილა – „აქვს დაჯაგული განი, რაც მის სახელწოდებას უდამწვენით განსაზღვრავს“ (მირზაშვილი, 1948, II, 16-17).

გულყრუ – „ხეა, რომელსაც ფხვიერი მასით ამოვსებული გული აქვს“ (ლონგი, 1974, I, 213).

Шиповник – «Её недаром называют шиповником: острые и прочные шипы способны причинять серьёзные неприятности неосторожному человеку или животному» (Сало, 1975, 170).

Лиственница – «Из-за способности сбрасывать ежегодно хвою лиственница получила своё название» (Ивченко, 1968, 12).

მოგვირების მნიშვნელობის ენობრივი გამოხატვის ხერხები იგივეა, რაც ფორმით და ფერით მოგვირებულ ფიგონიმებში. კერძოდ, მოცემული ნიშნები მოგვირების ჯგუფის (ზომა და რაოდენობა, ზედაპირის ფორმარეობა, ორგანოს სიმკვრივე) ფიგონიმიაში პროლუქტიულობის მხედვით პირველი ადგილი უჭირავს ორწევრიან შესიგყვებათა კომპლექსიას გვარეობითი კომპონენტის ამოვარდნითა და დარჩენილი ნიშნებითი კომპონენტის სუბსტანციაცია – სუფიქსაციის გზით:

– ა – დიდგულა, კუნძა, ჩიგავაშლა, სამყურა, ხარისფაშვა და სხვ.

– იო – ფქვილიო

– ნიკ; -к(ა); -იკ; -უხ(ა); -იუ(ა) – мелколепестник, смолёвка, мокруха,

лиственница და სხვ.

ამ სტრუქტურის სახელწოდებები საერთო რაოდენობის დაახლოებით 70%-ს შეადგენს.

პროლუქტიულობით მეორე ადგილი უჭირავს სტანდარტულ ორწევრიან ფიგონიმ-შესიგყვებებს ან რთულ სიგყვებს, რომლებიც შესიგყვებათა კომპონენტების უბრალოდ შეერთებითაა მიღებული (დაახლოებით 20 %), მათია:

წერილფოთოლა ცაცხვი, მსხვილი გოგრა, მაღალი მოცვი, კამეჩა
ქალი, ღორა კვახი, ღორქლიავი, ჯაგრცხილა და სხვ. ქართულში და *липа
лиственничная, жасмин крупноцветный* და სხვ. რუსულში.

მესამე ადგილზეა შესიგყვებათა გვარობითი კომპონენტის
მოუარღნითა სახეობითი კომპონენტის უაფიქსო სუბსტანცივაციის ან
მოწინამის გზით მიღებული სახელწოდებები (10 %).

- ბაღლინჯო, მხარგრძელი, ულპობელი, ძელქვა, გულყრუ, *сморчок,
маха-и-мачеха* და სხვ.

როგორც ქართულში, ისე რუსულში განხილული სამი მოგივაციური
შეჯავიდან კალკირებულ სახელწოდებათა ხვედრითი წილი მაღალია
მაღოდ მცენარის ორგანოთა რაოდენობის საფუძველზე მოგივირებულ
ფიგონიმებში. Трилистник - Trifolium, парнолистник - Zygothyllum,
многолистник - millefolium, многоножка - Polipodium, ორკბილა - Bidens,
ორფოთოლა - Zygothyllum და სხვ. სხვა ქვეჯავებში კალკირების შედეგად
შეჯავალენტთა შინაფორმების დამთხვევას ადგილი აქვს ერთეულ
შემთხვევებში, მაშასადამე უმრავლეს შემთხვევაში საერთო გენდენციები
ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია.

§ 2.7. ნომინაცია მცენარის შინაგანი თვისებების საფუძველზე

ანუ მცენარის შინაგანი თვისებებით მოტივირებული
ქართული და რუსული ფიტონიმები

როგორც ქართულში, ისე რუსულში სომატურ ფიგონიმთა მეორე
შემხველოვან ნაწილს შეადგენს მცენარის შინაგანი თვისებებით მოგივირე-
ბული სახელწოდებები, რომლებიც თავის მხრივ სამ ქვეჯავად შეიძლება
დაჯვოთ:

1. აღსანიშნი მცენარის ან მისი ორგანოს გემოს საფუძველზე
მოგივირებული ფიგონიმები;
2. აღსანიშნი მცენარის ან მისი ორგანოს სუნის მიხედვით მოგივირე-
ბული ფიგონიმები;

3. ალსანიშნი მცენარის შემადგენელი კომპონენტების მიხედვით მოგი-
წარებული ფიგონიმები;

განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე.

როგორც წინა მოგივაციურ ქვეჯგუფებში, ფიგონიმის შინაფორმაში
მცენარის ან მისი ორგანოს გემო აქაც ორი გზით გადმოცემა – პირდაპირი და
დადაგანითი. პირდაპირი გზით გემოზე მითითება ხდება ფიგონიმის სტრუქტურაში
შემაბამისი სიგყვების ჩართვით კერძოდ ესენია *მწარე, მლაშე, მეავე* და *გკბილი*
ქართულში და *горький, кислый, сладкий* – რუსულში. მლაშე გემოს რუსული
ფიგონიმია პირდაპირი გზით ვერ გადმოგვცემს. ამ სიგყვის რუსული ეკვივალენტი
сладкий პირდაპირი გზებით ითარგმნება როგორც 'მარილიანი', ანუ 'მარილის
გემოსი', მაშასადამე იგი გადაგანითია.

მწარე გემო უშუალოდ ასახულია ფიგონიმებში: *მწარე ბალი, მწარე*
კაბლი, მწარე კვახი, მწარე ლიმონი, მწარია, მწარა, სოკომწარა,
მარმწარა, ბალამწარა – ქართულში და *горький апельсин, горькушка,*
горчак, горчица – რუსულში.

სოკომწარა – „ამ სოკოს გამოცნობა ადვილია მეგად ცხარე გემოთი“
(მელაშელი 1987, 40).

ბალამწარა – „ცყის ბალის ჯიშია, წვრილი, მწარე“ (მასალები 1978, 32).

Горчица – „Растение с семенами горького вкуса, из которых
составливают приправу“ (Никишаева, 1974, 96).

დადაგანითი მნიშვნელობით ფიგონიმიაში 'მწარე' – ეს არის პილპილის
გემო – *სოკოპილპილა, პიმპილა, პიმპილო* – ქართულში და *гречиха перечная,*
орех перечный – რუსულში.

პილპილა – „უმი მწარეა, შემწვარი – გემრიელი“ (შარაშიძე, 1938, 61).

პიმპილო – „მოშავო – მორუხო მწარე სოკო“ (ძოწენიძე, 1974, 302).

სახეზე გვაქვს 'მწარე'-ს მნიშვნელობით 'ნივრის' გამოყენებაც, თუმცა
ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ფიგონიმის მოგივირებას არა მარტო გემოს,
არამედ სუნის მიხედვითაც:

ნივრის-დედა – „ფოთლებსა და ღეროს თუ დავსრესთ, ნივრის გემო და სუნის ექნებათ“ (ხიდაშელი, 1987, 40).

სანელბებელა (чесночник) – „სოკოს ახასიათებს ნივრის ძლიერი სუნი და გემო“ (ნახუცრიშვილი, 1964, 54).

(სანელბებელა – чесночник და ნივრის - დედა - чесночница წყვილები ერთობრივი ხედვის“ თვალსაზრისით გაანალიზებული გვაქვს მე-3 თავში თ.ა.).

ტკბილი გემო უშუალოდ ასახულია ფიტონიმებში: *ტკბილი ლაიმი, ტკბილი სიმინდი, ძირტკბილა* – ქართულში და *сладкий корень, сладкокорень, сладкоконожка, сладкий картофель, солодика* – რუსულში; ხოლო გადატანითი მიმზნელობით ‘ტკბილი’-ეს არის გემო თაფლის, კანფეტის, ქიშმიშის, შაქრის:

ქიშმიშა(ი) ყურძენი – „მწიფობისას მეტად მწვანე ფერი აქვს, მკვახე გემონება, მაგრამ პირში რომ ჩაიღებ, ქიშმიშივით ტკბილია“ (ჯანაშვილი, 1913, 99).

კამპეგა(ი) მსხალი – „სხლის ჯიშია, ზაფხულში მწიფდება, ძლიერ ტკბილია“ (როსტიაშვილი, 1976, 108).

სხალთაფლა – „სხალთაფლა ძლიერ ტკბილ მსხლებს შეარქვეს“ (ბრეგაძე, 1974, 37).

თაფლა-სხალი – „სიმწიფის დროს ძლიერ ყვითლდება, მხოლოდ სიტკბოთი თაფლივით არის“ (მასალები, 1978, 41).

მლაშე გემოს შინაფორმაში ასახვით მოგივირებელია ქართულში *მლაშე მსხალი* და რუსულში *солянка* (ეს უკანასკნელი ლათინურ ‘*solsola*’-ს კალკაა).

მლაშე მსხალი – „ამ მსხალს სახელწოდება ‘მლაშე’ შერქმეული აქვს იმის გამო, რომ ნაყოფი სასიამოვნოდ მომლაშო გემოსია“ (ბრეგაძე 1971, 47).

Солянка – „Русское название, как и латинское *solsola*, связано с солёногорьким вкусом листьев растения“ (Минц, 1962, 41).

მეკვე გემოს საფუძველზე მოგივირებელია: *მეკვე ლაიმი, მეკველა, მეკუნა, მეკალო* – ქართულში და *кислица, кислушка, кислец, кислый лайм*

რუსულში, *მეკუნა* - „ბალახსა ამას გემო აქუს საამოდ მეკე“ (ბაგრატიონი, 1986, 99).

Кислица – „Травянистое растение с листьями кислого вкуса“ (Новак, 1987, 226).

Кислушка – „Низкое дерево с розоватыми и кисло-тёрпкими вяжущими листьями“ (Новак, 1987, 226).

მოცემული მოგივაციური პრინციპის ენობრივი გამოხატვის საშუალებები იყენებენ, რაც წინა შემთხვევებში, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ორკომპონენტიანი ფიგონიმ-შესიგყვების წილი ოდნავ მეტია, ვიდრე კომპრესიისა. (დაახლოებით 1/3). თუმცა ამ კონსტრუქციის 13 სახელწოდებიდან კალკირებულია მხოლოდ ოთხი (ორივე ენის ერთად აღებული მონაცემების მიხედვით). მაშასადამე, სტანდარტული ორწევრიანი ფიგონიმ-შესიგყვების გენების ორივე ენაში ამ შემთხვევაშიც ეთნოენობრივ ნიადაგშია საძიებელი.

კომპრესიის გზებიც იგივეა, რაც წინა შემთხვევებში, კერძოდ:

1) გვარობითი კომპონენტის ამოვარდნა და სახეობითი კომპონენტის სუბსტანტივაცია სუფიქსაციის გზით: *მწარ-ა; მწარ-ია; პიმპილ-ა; პიმპილ-ო* – ქართულში; *солод-ик(а), горьч-ак, сол-янк(а), кисл-ушк(а), кисл-ец, кисл-аш(а)* და სხვ. რუსულში.

2) შესიგყვების ერთ რთული სიგყვად შეერთება: *ბალამწარა, სოკოპიმპილა, სოკომწარა* და სხვ.

არანაკლებ საინტერესო სურათს იძლევა ფიგონიმთა მოგივირება აღსანიშნი მცენარის *სუნის* მიხედვით. ეს მოგივაციური ქვეჯგუფი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ადგილი აქვს სახელდების აქტში პრაგმატული მომენტების გამოვლინებას. რაზეც ჩვენ ცალკე ქვეთავში, კერძოდ, შეფასებითი მოგივაციის განხილვისას გვექნება დაწვრილებით საუბარი. აქ აღვნიშნავთ იმას, რომ მოცემული მოგივაციური ქვეჯგუფის ფიგონიმები ორივე ენაში სამ ჯგუფად შეიძლება დავყოთ, კერძოდ:

ა) ფიგონიმები, რომელთა შინაფორმებშიც უბრალოდ დაფიქსირებულია ესა თუ ის სუნი. ესენია: *საკმელა, ნიერის-დედა* – ქართულში *лимонник*,

вечерник, ладанник, ландыш და სხვ. – რუსულში.

საკმელა – „თეთრყურძიანი ვაზის ჯიში იყო, ყურძენსაც და ღვინოსაც საკმელის სუნი ასდიოდა“ (ჯანაშვილი, 1913, 99).

Лимонник – «При растирании листьев, коры и корней растения ощущается запах лимона. Вот почему и лиана была названа лимонником» (Сало 1975, 78).

ბ) ფიგონიმები, რომელთა შინაფორმებიც ახდენენ არა კონკრეტული სუნის ფიქსაციას, არამედ ასახავენ ადამიანის დადებით დამოკიდებულებას ამ სუნისადმი და შესაბამისად, მთლიანად მცენარისადმი, რისთვისაც ფიგონიმის ერთ-ერთ კომპონენტად გამოყენებულია სიგყვები 'სურნელოვანი' 'душистый' ან მათგან სუფიქსაციის გზით მიღებული ახალი სიგყვები. ამ პრინციპით მოგივირებულია: *სულიანი მსხალი, სუნელა, სურნელოვანი ჭეთის ხე, ორსუნელა* – ქართულში და *душистая нехворощь, душистый калос, душистый горошек, душица, душики, анис ароматный* – რუსულში.

სუნელა – „ვაშლის ჯიშია, სურნელოვანი. მას მოკრეფენ და ოთახში დააწყობენ, კარგი სუნი აქვსო“ (ძოწენიძე, 1974, 363).

Душица – «Растение обладает сильным приятным запахом» (Сало, 1975, 225).

გ) ადამიანისათვის არასასიამოვნო სუნით მოგივირებული ფიგონიმები მოგივირების თვალსაზრისით გაცილებით საინტერესო და მრავალფეროვან ხურათს ქმნიან. სახეზე გვაქვს ამა თუ იმ სუნისადმი უარყოფითი დამოკიდებულების გამოხატვის როგორც პირდაპირი ხერხი, ისე გადაგანითი. ორივე შემთხვევაში ფიგონიმი ან მისი სახეობითი კომპონენტი ნაწარმოებია უარყოფითი სტილისტური შეფერილობის მქონე სიგყვებით, როგორცაა: *მყრალი (ხემყრალი, ყრალა-ყრალა, მყრალი)*, აქოთებული (*ქოთია ხე*), ფსელი (*თხიფსელი, ძალლაფსელა*) და სხვ. ქართულში და *вонючий (василистник вонючий)*, смрадный (*смородина*) – რუსულში.

ხემყრალი – „ძაან ფინთი სუნი ასდის, ხელს რო მაავლეფ, სუ ავიყროლეფს ხელეფსა“ (ბერომაშვილი, 1986, 516).

თხიფსელა – ნ. როსტიაშვილის აზრით, „ხეა... მისგან სახრეს არ აკეთებენ, რადგან თუ დაარტყეს საქონელს, მოშარდვა გაუჭირდება და შეწუხდებაო, იგყვიან“ (როსტიაშვილი, 1976, 105). ვფიქრობთ, სიგყვა 'ხელების' გამოყენება ფიგონიმის შედგენელობაში სულ სხვა საფუძვლითაა მოტივირებული, კერძოდ, უსიამოვნო სუნით. აღნიშნული სიგყვის ამ ემოციური შეფერილობაზე მითითებას არაერთგზის ვხვდებით, კერძოდ: «Сорвите лист болиголова, запах один из неприятных, в литературе он сравнивается с запахом мышиной мочи» (Сало, 1975, 199), აგრეთვე: «Листья и цветы будры (котовника) имеют неприятный запах, отдающий кошачьей мочой» (Шпиленя, 1985, 48).

ენობრივი გამოხატვის საშუალებებიდან ყველაზე პროლუქტიულია კომპრესია სხვადასხვა სიგყვაწარმოებითი საშუალებების მეშვეობით (დაახლ. 60 %). ესენია:

– ა: *საკმელა, მყრალა, თხიფსელა, მყრალა-მყრალა;*

– თ: *მყრალო, თყრალო;*

მო-ე: მომყრალუე;

– ნიკ; -იц(ა); -ინ(ა): ლიმონიკი, ჩესნოკი, ლადანიკი, დუშიცა, სმოდინა.

დანარჩენ შემთხვევებში ადგილი აქვს სგანდარტული ორწევრიანი კონსტრუქციების გამოყენებას: *სულიანი მსხალი, ქოთია ხე, სურნელოვანი ჭეთის ხე, душистый горошек, душистая пехворошь, душистый колосок.*

კალკირებას ადგილი აქვს ერთეულ შემთხვევებში: *Osmantlus fragrans* – სურნელოვანი ჭეთის ხე – *маслина душистая*, მაშასადამე, საერთო ტენდენციების აბსოლუტური უმრავლესობა გიპოლოგიური ხასიათისაა.

ორივე ენის ფიგონიმიაში შინაგანი ნიშან-თვისებებით მოტივირებული სახელწოდებების მესამე ქვეჯგუფს შეადგენენ *მცენარის ამა თუ იმ შემადგენელი კომპონენტის მიხედვით მოტივირებული სახელწოდებები*, რომლებიც რამოდენიმე ქვეჯგუფად შეგვიძლია დავყოთ:

ა) „*თაფლოვანი*“ ფიგონიმები. მცენარის თაფლოვანობაზე მითითება რუსულსა და ლათინურში ფიგონიმის სტრუქტურაში შესაბამისად, 'მёд'

'Meli' ('თაული') სიტყვების ჩართვით ხდება. ამ პრინციპით მოტივირებულია: *медовик, медуница, медовка* – რუსულში და – *Melilotus, Melissa* ლათინურში.

Медовик – «Название характеризует клевер как медоносное растение» (Меркулова, 1967, 91).

Медуница – «Наличие этой формы во всех славянских языках позволяет восстановить для праславянского *medunica название медоносного растения» (Меркулова, 1967, 91).

Melilotus (ძიძო, Донник)– «Название в прямом переводе означает «медовый клевер»» (Меркулова, 1967, 91).

ცხადია, ქართულშიც გვაქვს 'თაული' სიტყვით მოტივირებული ფიგონიმები. *სხალთაულა, თაულა გოგრა, თაულა მსხალი* და სხვ. ოღონდ მოცემულ შემთხვევებში ეს სიტყვა სულ სხვა მოტივაციურ ფუნქციას ასრულებს, კერძოდ, მიგვითითებს ნაყოფის სიტკობზე. მცენარის თაულოვანობით მოტივირების თვალსაზრისით ქართულში აღსანიშნავია ფუტკარას დიალექტური სახელწოდება *თაულანა*, თუმცა, თუ წმინდა მცენიერული ნომინაციის თვალსაზრისით მივუდგებით, მცენარეს არც ფუტკართან და არც თაულთან არაფერი აქვს საერთო, იგი არ არის თაულოვანი, პირიქით, „კვარის ყველა სახეობა შხამიანია“ (ქსე, X, 432). ერთაღერთი, რითაც შეიძლება სახელწოდება 'ფუტკარა'-ს ახსნა, ეს ალბათ. ყვავილების ფუტკართან მსგავსებაა, ისიც – ერთ-ერთი სახეობისა: „ყვავილედს ჭანგისფერ ყვითელი ყვავილები ქმნის“ (ქსე, X, 432), ხოლო *თაულანა-ს* შესახებ ალ. მაყაშვილი დამატებით მიუთითებს სქოლიოში, რომ ასე უწოდებენ მრავალ სხვა მცენარესაც, რომელსაც გვირგვინი გრძელმილიანი აქვსო (მაყაშვილი, 1991, 70). მაშასადამე, ამ შემთხვევაში *თაულანას* მოტივირების საფუძვლად იქცა ხალხის წარმოდგენა აღნიშნული მცენარის თაულოვანებზე, და არა ნამდვილი თაულოვანობა. ეს წარმოდგენა კი, როგორც ჩანს, შექმნა იმ გარემოებამ, რომ მცენარის ყვავილები ფორმითა და ფერით წააგავს ფუტკარს. რახან მას უკვე ერქვა *ფუტკარა* და ამასთან, მის ყვავილებს აქვს გრძელმილიანი გვირგვინი, რომელშიც, ცხადია, შედის

ფუტკარი, თუნდაც დაზვერვის მიზნით, შეიქმნა შგაბეჭდილება, რომ მცენარე თაფლოვანია. ასეა თუ ისე, სახელწოდება თაფლანა მცენარის სწორედ თაფლოვანობითაა მოტივირებული და არა სხვა თვისებებით.

ბ) „რძიანი“ ფიტონიმები

ეს გახლავთ ე.წ. „რძიანი“ მცენარეების ის მოტივირებული სახელწოდებები, რომელთა შინაფორმებშიც მცენარის სწორედ ამ უმაღლეს კომპონენტზეა მითითება. თანაც აღსანიშნავია ისიც, რომ ამ უმაღლესედაში სიტყვა 'რძე' არ აღნიშნავს მარგო თეთრი ფერის სითხეს, რაზედაც მიგვანიშნებს კიდევ ქართული და რუსული ბოტანიკური ტერმინების 'რძეწვენი' – 'млечный сок' – განმარტებები:

რძეწვენი – „მცენარის სარძევე მილების უჯრედების წვენი. რძისმაგვარი ან გამჭვირვალეა, ზოგჯერ მოყვითალო-მოყავისფრო, უთიელი ან ნარინჯისფერი“ (ქსე, X, 522).

Млечный сок – «Жидкость, содержащаяся в стелбях, листьях и корнях некоторых растений» (МАС → II, 279).

სხვათაშორის ამ თვალსაზრისით საინტერესოა თავად სიტყვა 'молоко'-ს თავდაპირველი მნიშვნელობაც:

«Первичное значение слова – 'влага', 'жидкость'» (Шанский и др., 1971, 45).

ერთი სიტყვით, მოცემულ მოტივაციურ ქვეჯგუფში შეიძლება ვერთიანდეს არა მარგო ის ფიტონიმები, რომლებიც მოტივირებულნი არიან სიტყვით 'რძე' ('молоко' – 'Lactis'), არამედ სხვადასხვა სახის სითხის აღმნიშვნელი სიტყვებითაც. ამ პრინციპით მოტივირებულია: *რძიანა*, *რძიარძია*, *ერძევანა*, *რძევანა*, *მერძეულე*, *რძია*, *სისხლა ბალახი*, *ქრისტესისხლა*, *წყალყურძენა* – ქართულში, *молочай*, *молочайник*, *млечник*, *молокан* – რუსულში, *Lactuca*, *Lactarius* – ლათინურში.

რძიანა – „მრავალწლოვანი ბალახები და ბუჩქებია, შეიცავენ რძეწვენს (აქედან სახელწოდება)“ (ქსე, X, 522).

სისხლა ბალახი, ქრისგესისხლა – „ბალახის მთელი სხეული შეიცავს ნარინჯისფერ მწარე მხამიან წვეს, რომელსაც მეჭეჭების მოსასპობად ამარობენ“ (მაყაშვილი, 1962, 85).

Млечник – «У этих грибов в мякоти плодовых тел имеются толстостенные споры с млечным соком различного цвета» (Жизнь растений, IV, 310).

Молокан – «Название дано по млечному соку, вытекающему из стеблей при сохранении» (Каден, 1975, 86).

წყალყურძენა – „ყურძნის ჯიშია, თხელი კანი აქვს, ძალიან წვნიანია“ (მერობაშვილი, 1986, 506).

გ) „*მეთოვანი*“ ფიგონიმები

ეს არის მცენარის მეთოვანობით მოგივირებული ფიგონიმები. თუკი მცენარის თაფლოვანობაზე მითითებისათვის მოგივირების საფუძვლად გამოყენებული იყო სიტყვა 'თაფლი', მეთოვანობაზე მითითება ხდება სიტყვით – 'შეთი' ('масло', 'Olea') ამ პრინციპით მოგივირებულია: *მეთის კამელია* (Камелия масличная, *Camelia oleifera*), *მეთის პალმა* (Пальма масличная, *Elaeis guineensis*), *მეთის ნემსიწვერა* (Герань розовая, *Pelargonium roseum*), *მეთის ხე*, *მეთისხილი* (Маслина, *Olea Europea*); *მეთის პერილა* (Перилла масличная, *Perilla acymoides*); *სურნელოვანი მეთის ხე* (Маслина душистая, *Olea fragrans*). მათთვის რომელიც ქართული, ისე რუსული სახელწოდებები კალკებია ან თარგმანები, ვინაიდან აღნიშნული მცენარეები არც საქართველოსთვისა და არც რუსეთისათვის არ არის ენდემური. მაშასადამე, მოგივირების მოცემული პრინციპის ერთიანობა, აქ კალკირების შედეგია, თუმცა არა ყველა შემთხვევაში, ვინაიდან ორივე ენაში ვხვდებით მოცემული პრინციპით ამსოლუგურად ეთნოენობრივ ნიადაგზე მოგივირებულ სახელწოდებებსაც, უნდა იქნებოდა *მეთის ლობიო* (აბუსალათინი) ქართულში და *маслёнок* რუსულში.

Маслёнок – «Маслёный гриб» (Никишаева, 1974, 152).

მეთისხილი – „ნაყოფი მდიდარია მაღალხარისხოვანი საჭმელი მეთებით“ (ხიდაშვილი, 1987, 51).

დ) გვხვდება აგრეთვე მცენარის სხვა სახის შემადგენელი კომპონენტებით

ფიგონიმის მოგივირების შემთხვევებიც. ასეთებია: *საპონა* – *мыльнянка*, რომლებიც ლათინური *Saponaria*-ს კალკებია და *Поташник*.

Поташник – «В подземных частях этого растения содержатся соли келия и поташи» (Никишаева, 1974, 58).

საპონა – *мыльнянка* – *Saponaria* → «В надземных частях этого растения содержится пенообразователь сапонин. От латинского слова 'sapon' – 'мыло'» (Шпиленя, 1985, 139)¹.

მოგივირების მოცემული პრინციპის ენობრივი გამოხატვის საშუალებები აღივება, რაც წინა შემთხვევებში, ოღონდ ენობრივი ეკონომიისა და მეცნიერული ნომინაციის კანონების შედეგად მიღებულ ფიგონიმთა თანაფარდობა დაახლოებით თანაბარია. კერძოდ:

1. ენობრივი ეკონომიის კანონის შედეგად მიღებულია სხვადასხვა სიგვევაწარმოებითი საშუალებებითა და ორწევრიანი სახელწოდებისაგან ერთ-ერთი კომპონენტის ამოვარდნის გზით კომპრესირებული შემდეგი სახელწოდებები: *თაფლანა*, *რძიანა*, *რძია-რძია*, *ერძევანა*, *მერძეული*, *რძია*, *ქრისტესისხლა*, *საპონა* – ქართულში და *медовик*, *медуница*, *медовка*, *молочай*, *маслина молочайник*, *млечник*, *молокан*, *поташиник* – რუსულში.

2. სგანდარგული მოდელის სახელწოდებებია: *სისხლა ბალახი*, *მეთის კამელა*, *მეთის პერილა*, *მეთის ნემსიწვერა*, *მეთის პალმა*, *მეთის ლობიო*, *მეთის ხე* – ქართულში და *камелия масличная*, *пальма масличная*. ერთგვარ შუალედურ რგოლს ქმნიან სახეობითი და გვარობითი კომპონენტების უბრალო შეერთების შედეგად მიღებული კომპოზიციები: *მეთილსხილი*, *წყალყურძენა*.

კალკირებას ადგილი აქვს ერთეულ შემთხვევებში (იხ. გემოთ), ასე რომ, მოგივირების მოცემული პრინციპის ერთიანობა არც ამ შემთხვევაშია განპირობებული ენათა ურთიერთმეგავლენით და ზოგადენობრივი ხასიათისაა. ¹

¹ შენიშვნა: რაც შეეხება ე.წ. „შხამიან“ ფიგონიმებს, მათ შეფასებითი მოგივირაციაში ვაანალიზებთ

§ 2.8. ქართული და რუსული ფიტონიმიკის

ეთოლოგიური მოტივაცია

ტერმინით 'ეთოლოგიური მოტივაცია' ჩვენ ვსარგებლობთ დ. სეგაროვის მიხედვით, რომელიც ბოლონითა მოტივაციის ანალიზისას ეყრდნობა რა ტერმინ 'ეთოლოგიის' მშიშენელობას (ცხოველთა ქცევის შემსწავლელი მეცნიერება), სასში მოისაზრებს ბოლონიმის მოტივირებას ცხოველის ცხოვრებისა და ქცევის სახის მიხედვით (იხ. Сетаров, 1984, 27). მაშასადამე, ამ პრინციპით მოტივირებულია ფიგონიმი, რომლის შინაფორმაც იძლევა ერთგვარ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ „როგორ ცხოვრობს“ ან „როგორ იქცევა“ მცენარე. ჩვენ ფართოებით ამ პრინციპით მოტივირებულ ფიგონიმთა წრეს და კითხვას „როგორ“ ვუმატებთ კითხვებს: „სად“ და „როდის“. მაშასადამე, ჩვენი გაგებით, ეთოლოგიურად მოტივირებულია ფიგონიმი, რომლის შინაფორმაც „გვკარნახობს“, თუ სად, როდის ან როგორ „იქცევა“ ან ცხოვრობს (ე.ი. იმრდება, ყვავილობს და ა.შ.) აღსანიშნი მცენარე ანუ ეს არის ფიგონიმის მოტივირება აღსანიშნი მცენარის ქცევის სახის ან ცხოვრების პირობების (დრო, ადგილი) მიხედვით. შესაბამისად, ამ მოტივაციური ჯგუფის ფიგონიმებს სამ ძირითად ჯგუფად ვყოფთ:

1. მცენარის „ქცევის“ წესისა თუ სახის მიხედვით მოტივირებული ფიგონიმები;
2. მცენარის გავრცელების, ზრდისა თუ ყვავილობის ადგილის მიხედვით მოტივირებული ფიგონიმები;
3. მცენარის აღმოცენების ან ყვავილობის დროის მიხედვით მოტივირებული ფიგონიმები.

განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე.

• „ქცევითი“ ფიგონიმები

მცენარის ქცევის სახის მიხედვით მოტივირებულ ფიგონიმებს ჩვენ პირობითად ქცევით ფიგონიმებს ვუწოდებთ და მათ თავის მხრივ შემდეგ

მოგივაციურ ქვეჯგუფებად ვყოფთ:

1. ხმის მიხედვით მოგივირებულია ფიგონიმები: *თქელაფა, თხლაფა, კრახუნა, პრუწუნა, პრაწი-პრუწი, პურტყულა, ფუხფუხა, ტკაცუნა, ხრამუნა, ხრიალა, ტკუნჩა, თქაფუნა, ლაწუნა, თქუმა, ტაყ-ტაყა, ტკეც-ტკეცა, ჭრაჭუნა, ჭრიჭინა* – ქართულში და *звонец, погremoк, скрипун, хлопнушки, кукуруза шипающаяся* – რუსულში.

ხრიალა – „ბალახია ერთგვარი, ისხამს კოლოფა ნაყოფს, თიბვის დროს თეხლი ნაყოფს სცილდება და ხრიალი გააქვს“ (ქეგელი, 1986, 583).

თქელაფა(ი) – „ვაზის ჯიშია, სუსტი კანი აქვს დაწურვისას ითქვლიფება“ (მასალები, 1978, 121).

კრახუნა – „ვაზის ჯიშია, მსხვილი, მაგარი მარცვალი იცის, პირში კრახუნობს“ (მასალები, 1978, 121).

ქანქლურა – „სახელი ესე სწოდებიეს თესლისა ბუღისა მიხედვითა, რომელიცა რა შერყეულ იქნების, გამოსცემს ხმათა ქანქლურისაებრ“ (მაგრაგიონი, 1986, 100).

Звонец – «Имеет плод в виде коробочки, издающей в движении лёгкий звон» (Никишаева, 1974, 71).

Погremoк – «Зрелые семена в коробочке при встряхивании гремят (Отсюда и название)» (Круберг, 1960, 194).

მოცემული მოგივემა პროლექტიულია ფრინველთა მოგივირებული ნომინაციის სისტემაში (იხ.: Сологуб, 1986, 141; Моисеева, 1974, 4), რაც სავსებით ლოგიკურია, ვინაიდან ფრინველის ერთ-ერთი თვალში საცემი დამახასიათებელი ნიშან-თვისება სწორედ ხმის მრავალფეროვნებაა. როგორც ვხედავთ, მოგივირების ეს პრინციპი, უცხო არ გახლავთ მცენარეთა ნომინაციის სისტემისთვისაც, მიუხედავად იმისა, რომ ხმა მცენარის ყველაზე ნაკლებად დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა, თუმცა უჩვეულო და მოულოდნელი. სწორედაც ამიტომ აღნიშნული პრინციპი უპირატესად ხალხური ნომინაციის სისტემისთვისაა დამახასიათებელი და არა მეცნიერულისთვის.

2. მცენარის ამა თუ იმ ორგანოს მრდისა თუ განვითარების წესისა და

სახის მიხედვით მოგივირებულია: *მხვევარა, ხვევნურა, გაბლანდულა, გაბმულა, შიწაფართობა, ფართობა, ხლაქნია, უკულმანაბარდი, ქვიგკეცია, ქვიგკეცა, მუხვეულია ბალახი, ხვიარა* – ქართულში და *вьюнок, вьюн, повилика, повилица, пильзунук, купава, купена, устели-камень, устели-поле, плаун* – რუსულში.

ხვიარა – „ბალახია, რომელიც შეეხვევის სხვათა მცენარეთა“ (მაგრაგიონი, 1986, 163).

Плаун – «Иногда растягивается по земле 1-3 метра, постепенно нарастая с одной стороны, она медленно отмирает с другой, т.е. имеет причудливо пользучие, как-будто плавающие стебли» (Ивченко, 1968, 55).

3. ფოთლების, გოგების, ფესვებისა და ნაყოფების განლაგებისა თუ სხვადასხვა თავისებურებათა მიხედვით მოგივირებულია: *მცვივანა, ჩაწყობილა, ჩურჩა, მჭკნარა, თავდაყირა, საკიდელა, პორწიალა, ჭორიკანა* – ქართულში და *бабьи сплетни, вишня, облепиха* – რუსულში.

მცვივანა – „ვაზის ჯიშია, მრგვალი მარცვალი აქვს დამწიფებისას სვევია“ (მენტეშაშვილი, 1943, 125).

ჭორიკანა – უთავბოლოდ ახლართულ-ჩახლართული გოგები შედარებულია ჭორებთან (თ.ა).

ჩაწყობილა – „ღეროზე ივითარებს თეთრ, თევზის ქერტლივით თითქმის ერთმანეთზე მიწყობილი ხორციან ფოთლებს“ (მიგრ. ლლონგი, 1976, 125).

ჩურჩა – „ქლიავის ჯიშია, მისი ნაყოფი მოყვითალო მოგრძობა, იჩურჩება“ (ჯანაშვილი, 1913, 101).

Облепиха – «Плоды сплошь облепляют длинные годовичные побеги, оставаясь на них всю зиму» (Ивченко, 1972, 90).

Вишня – «Название производят от древнерусского 'висна' или 'висьна' – по обвислым от тяжести плодов веткам, как бывает в урожайные годы» (Головкин, 1986, 23).

4. წყლის შესრუგვის ან დაქცევის მიხედვით მოგივირებულია: *წყალიკრეფია, წყალნაწყენი, ნამითრეფია, ნამიკრეფია, მგირალა გირიფი,*

მკირალა ფიჭვი, მაწვიმარა – ქართულში და *водосбор, водогон, ива плакучая, плакун-трава, богородицины слёзки* – რუსულში.

Водосбор (წყალკრეფია, *Aquilegia*) – «Вода (роса, капли дождя) накапливается в шпорцах цветов. Калька ластинского: - 'Aqua' – 'вода'; 'Legere' – 'собирать'» (Головкин, 1986, 42).

მცენარის მიერ ზელმეტი წყლისაგან განთავისუფლება „მცენარის კარილის“ სახელწოდება ცნობილი ბოტანიკაში (იხ. МАС III, 137), რაც მეტად მორიგინალური და საოცარი თვისებაა ისეთი ორგანიზმისათვის, როგორც მცენარეა. ამიგომაც მისი ეს თვისება ძველთაგანვე ანცვიფრებდა ადამიანს, რის გამოც მას ათასნაირ ფანტასტიკურ მოვლენას, რწმენას თუ ლეგენდასაც უკავშირებდნენ:

Плакун-трава – «Плакун-трава заставляет нечистых духов плакать» (Головкин, 1986, 117).

Богородицины слёзки – «Эта трава произошла от слёз, пролитых Богородицей за Христа» (Марсакова, 1974, 48).

5. თესლის გავრცელების სახის მიხედვით მოგივირებულება: *მგორვალა, თვითმავალა, კოგრიალა, ქარქვევა, მოვბაურა, ბუერა* – ქართულში და *перекати-поле, переступень, ветреница, шатун, покатун, одуванчик, скакун-трава, прыгун-трава, перелеска* – რუსულში.

Перекати-поле, покатун, катун – «Эти названия даются весьма многим растениям, которые засохнув, отрываются от корня и действием ветра перекачиваются с места на место» (Анненков, 1878, 75).

6. სხვა ობიექტებზე ზემოქმედების მიხედვით მოგივირებულება: *საბერველა, ბლავანა, კაგამეავანა, პირშუმბა, წიწილხოცია, ჭაპანწყვეტია, ქვატკეცია, მათრობელა, ჯღავანა სოკო, მკებენარა, ძიღგუდა, მახრხობელა, პირწმინდა* – ქართულში და *бодяк, болиголов, голололом, держи-дерево, заманиха, заразиха, резуха, телорез, свербигуз, одурь, осока, блевота, блохогон, мухомор, зверобой, ломинос* – რუსულში.

ჭაპანწყვეტია – „ბალახია, გოგები მიწაზე აქვს გართხმული, ხენის

დროს გუთანს წინააღმდეგობას უწევს (მაისურაძე, 1947, 242).

საბერველა – „ერთგვარი ბალახია, ძროხამ თუ შეჭამა, გაიბერება“ (კაიშაური, 1967, 226).

Заразиха – «... полностью оправдывает своё название. Присосавшись к корням подсолнечника и клевера, она – как заразная болезнь – может полностью уничтожить их посевы» (Цингер, 1954, 136).

Держи-дерево – «По причине колючек, задерживающих идущего мимо» (Марсакова, 1974, 35).

აქვე შეიძლება გავაერთიანოთ ე.წ. „ჯალოსნური მემოქმედების“ უნარის მქონე მცენარეთა სახელწოდებები, როგორებიცაა: *ფერისცვალა*, *ამაღლების ბალახი* – ქართულში და *колдунница*, *распутная трава*, *ключ-трава*, *чертогон*, *чертополох* – რუსულში.

ფერისცვალა – „ფერისცვალა ღღეს (6 აგვისტო ძველი სტილით) მომღურავმა სახეზე უნდა წაისვას და ფერს იცვლისო, იგყვიან“ (მენტეშაშვილი, 1943, 184).

Колдунница – «Обладает целебными свойствами (В народном представлении - колдовскими)» (Никишаева, 1974, 97).

7. ქცევის სხვა სახის თავისებურებათა მიხედვით მოგივირებულება: *მგესუმზირა*, *მზიქცევია*, *მკერვალა*, *ცახცახა*, *გაიპარა-ქლიავი*, *შეიპარა-ქლიავი*, *მიდი-მოდი*, *მძინარა*, *მჭკემარა*, *ნაცარბნევი*, *უგრეხელა*, *უკვდავა*, *ულეწელა*, *უცვეთელა*, *უხარშავა*, *უჭკნობა*, *წეპია ბალახი*, *წიწინა ფხალი* და სხვ. ქართულში და *артеллерийское растение*, *ванька-встанька*, *мухоловка*, *недотрога*, *прострел-трава*, *трясунка* და სხვ. რუსულში.

მგესუმზირა – „სწორად აღმართულ ღეროზე მხოლოდ ერთი ყვავილი აზის, რომელსაც პირი ყოველთვის მზისკენ აქვს მიმართული“ (მაყაშვილი, 1962, 82).

ქაფუნა – წყალში დასრესისას ქაფდება საპონივით“ (მაისურაძე 1947, 211).

Недотрога, *не-тронь-меня* – «Оправдывает своё название недотрога. Стоит только тронуться до созревших плодов, как они мгновенно лопаются,

семена разлетаются во все стороны» (Удивит. растения, 1989, X).

რაც შეეხება „ქცევითი“ ფიგონიმების სტრუქტურულ – მოგვიაციურ შარეს, ორივე ენის ფიგონიმისათვის დამახასიათებელი საერთო გენდენცია ამ ასპექტში გახლავთ, უპირველეს ყოვლისა, სტანდარტული მოდელის კონსტრუქციების უკიდურესად მცირე ხვედრითი წილი, ასეთია, მაგალითად, ქართულში – 120-დან მხოლოდ 13, რუსულში – 96-დან – 5. კერძოდ: *თავდაყირბ ყვავილი, მგირალა გირიფი, შრიალა ბალახი, ჩაწყობილა ბაია, ცუანა სოკო, თხლაფაი ყურძენი, кукуруза лопающаяся, роза вьющаяся, сосна плакучая, ива плакучая* და სხვ. მაშასადამე „ქცევის“ მიხედვით ფიგონიმის მოგვივირება მცენარეთა ნომინაციის ის სფეროა, სადაც მკაფიოდ არის გამოკვეთილი ენობრივი ეკონომიის კანონის უპირატესობა, რისი შედეგაც არის ერთსიგვიანი ფიგონიმების არამარტო შეუდარებლად მაღალი ხვედრითი წილი, არამედ სტრუქტურული მრავალფეროვნებაც, კერძოდ, ფორმითაც და შინაარსითაც უჩვეულო, არაგიპიური სახელების სიმრავლე, რომელთაც გმნურ სახელებს, აგრეთვე ოკაზიონალურ სახელებსაც უწოდებენ: (იხ.: Марсакова, 1974, 16; ცხადაია, 1988, 75). ასეთია: ქართულში – *მზესუმზირა, მაკოცე, მაკოცია, ვაიპარა-ქლიავი, შეიპარა-ქლიავი, მილი-მოლი* და სხვა, და რუსულში – *беруши-дерево, перекаши-поле, не-тронь-меня* და სხვ. ამას ემატება კალკირების შემთხვევათა უმნიშვნელო რაოდენობაც, რაც საბოლოო ჯამში იმის მაჩვენებელია, რომ მცენარეთა მოგვივირებული ნომინაციის აღნიშნული პრინციპი ქართული და რუსული ენებისათვის დამახასიათებელ ზოგადენობრივ კანონზომიერებათა რიცხვს განეკუთვნება და მისი ნიადაგი ორივე ენაში ეთნოენობრივია.

- „სივრცითი“ ფიგონიმები, ანუ მცენარის გავრცელების, ზრდისა და ყვავილობის ადგილის მიხედვით მოგვივირებული სახელწოდებები

„ქცევითი“ ფიგონიმებისაგან განსხვავებით აქ საპირისპირო მოვლებასთან ვვაქვს საქმე. ჯერ ერთი, ზრდის, ყვავილობისა და გავრცელების ადგილი

მცენარის ის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა, როგორც, უძველესად, ფრინველისათვის ხმა, შესაბამისად, ამ ნიშნით სახელწოდების მოგივირება მცენარეთა ნომინაციის პროლუქტიულ, თუ შეიძლება ითქვას, პირთვულ პრინციპთა რიცხვს განეკუთვნება, ასე მაგალითად, მარგო ალ. მაყაშვილის ბოტანიკურ ლექსიკონში“ ამ პრინციპით მოგივირებული 500-ზე მეტი ქართული ფიგონიმია დაფიქსირებული, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობაც კალკირებულია ან თარგმნილი უპირატესად ლათინურიდან ასეთია მაგ.: ამერიკული აგავა – *agava американская* – *Agava americana* – გიპის ორკომპონენტიანი ფიგონიმ-შესიგყვებები.

მოგივირების ნიშანთა ნაირგვარობის მიხედვით აღნიშნული ფიგონიმები სამ ძირითად მოგივაციურ ქვეჯგუფად შეიძლება დაყვით. ამ კლასიფიკაციაში პროლუქტიულობის მიხედვით პირველ ადგილს დაიჭერს ფიგონიმთა მოგივირება მცენარის სამშობლოზე მითითებით (70%-ზე მეტი). მათი აბსოლუტური უმრავლესობა გემოსხენებული ორწევრიანი ფიგონიმ-შესიგყვებებია, რომლებიც კალკირებულია უპირატესად ლათინურიდან, რასაც მოწმობს ქართულ-რუსულ კვივალენტთა სტრუქტურულ-სემანტიკური მოგივაციური იდენტურობა (*ამერიკული აგავა* – *agava американская* – *Agava americana*). თუმცა არის შემთხვევები, როცა იდენტურობის საფუძვლად შეიძლება ჩაითვალოს ქართულიდან კალკირება, ვინაიდან საქმე გვაქვს საქართველოს ენდემურ მცენარეებთან:

მესხური ესპარცეტი – *Эспарцет мекхетинский* – *Onobruchis meschetica*; *მეგრული არყი* – *Берёза менгрельская* – *Betula megrelica* და სხვ. სხვათაშორის, ამ მოდელისა და მოგივაციური მნიშვნელობის ფიგონიმებიდან ვგებულობთ, რომ საქართველოში შემოგანილ ანუ ინგროლუქციულ მცენარეთაგან პირველ ადგილზე იაპონური მცენარეები (*იაპონური აუკუბა* – *Аукуба японская* – *Aucuba japonica* და სხვ. სულ 27), შემდეგ მოდის – ამერიკული (16); ჩინური (16); ინდური (10) და ა.შ., საერთო ჯამში, როგორც ამ ფიგონიმთა მოგივაციური მნიშვნელობები გვკარნახობენ, საქართველოში ხარობს 60-ზე მეტი ქვეყნიდან ინგროლუცირებული მცენარე (ხაზს ვუსვამთ, რომ ლაპარაკია მხოლოდ აღნიშნული პრინციპით მოგივირებულ ფიგონიმებზე). საინტერესოა, რომ ქართული ფიგონიმები მოგივაციური მნიშვნე-

ლობებით – „მცენარე, რომლის სამშობლოც რუსეთია“, – არ არის კალკირებული. მისი უბრალოდ საერთო მოდელის მიხედვით შექმნილი სახელწოდებებია: *რუსული ბა* (Верба; *Salix daphnoides*); *რუსული მაყვალი* (Куманика; *Rubus nessensis*); *რუსული ღიღილო* (Синий василёк; *Centaurea cyanis*); *რუსული ქლაკვი* (Песчаный лук; *Allium fistulosum*) ციმბირული მცენარეების სახელწოდებები კი კალკირებულია: *ციმბირული ღარიქი* (Сибирская лиственница, *Larix sibirica*) და სხვ. სულ 5. სხვათაშორის, **რუსული + ფიგონიმი** მოდელის სახელწოდებები მრავალად არის ქართულ ხალხურ ფიგონიმიშიც, ასე მაგ: ალ. მაყაშვილის „ბოგანიკურ ლექსიკონში“ თავმოყრილი 24 ქართული ხალხური ფიგონიმიდან, რომელთა მოგივაციის პრინციპიცაა – „მცენარის სამშობლო“, – ამ მოდელისაა 11 სახელწოდება: *რუსული ბაღრიჯანი* (პომიდორი); *რუსული ეკალი* (გლედიჩია); *რუსული გამბახი* (ყვითელი შროშანი); *რუსული იასამანი* (ცის-ვაში) და სხვ.

როგორც აღვნიშნეთ, მოცემული მოგივაციური ქვეჯგუფის ფიგონიმები ორივე ენაში უპირატესად სგანდარგული ორწევრიანი შესიგყვებებია, თუმცა ვვხვდება არასგანდარგული მოდელის ერთსიგყვიანი სახელწოდებებიც, რომლებიც, ბუნებრივია კომპრესიის შედეგია, ესენია: *არაბულა*, *აფხაბურა*, *თათრულა*, *ალავერდა*, *ღვალურა*, *ფშაველა*, *ქიბიყურა*, *ჯავახურა* – ქართულში; *волжанка*, *гречиха*, *китайка*, *суданка*, *сухумка* – რუსულში; *Ligusticum* – ლათინურში.

Гречиха – «Растение было завезено из Греции» (Фасмер, 100).

Волжанка – «Род мелкой ивы, растущей на Волге» (Даль, 282).

Ligusticum – «Дословно: лигурийка, т.е. житель Лигурии, провинции Генуи» (Каден, 1975, 90).

მომდევნო მოგივაციურ ქვეჯგუფში ვაერთიანებთ *მცენარის მრდის*, ან *უპირატესი გავრცელების არეალის მიხედვით* მოგივირებულ ფიგონიმებს, რომელთა სგანდარგული მოდელიცაა:

მღვის (მდელოს, მინდვრის და ა.შ.) + ფიგონიმი

მაშასადამე, ეს გახლავთ მღვის, მდელოს, მინდვრის, მთის, ბაღის, კლდის, ოთახის, ჭაობის და ა.შ. მცენარეთა სახელწოდებები, რომელთა მოგივაციური

მნიშვნელობებიც აღვიღს ასახავენ. ჩვენს მიერ თავმოყრილი ამ მოგივაციური ჯგუფის 135 ქართული ფიგონიმიდან 124 სწორედ აღნიშნული სტანდარტული მოდელისაა, რომელთაგანც 60 %-ზე მეტი სტრუქტურულ-სემანტიკური მოგივაციის ფალსაზრისით რუსული ეკვივალენტების იდენტურია, რისი მიზეზიც ასევე უპრაოდეს შემთხვევაში ლათინური სახელწოდებებია, თუმცა არის შემთხვევები, როცა იდენტურობის მიზეზი ლათინური არაა: *ბალის თამბაქო* (Табак садовый, *Nicotiana affinis*); *ბალის მარწყვი* (Земляника садовая, *Fragaria virginiana*) და სხვ. აქვე ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ აღნიშნული სტანდარტული მოდელი, ბუნებრივია, უპირატესად მეცნიერული ნომინაციის სისტემისთვისაა დამახასიათებელი, თუმცა ხალხური ნომინაციის სისტემაშიც არანაკლებია პროლუქციული. ასე მაგალითად, ჩვენს მიერ ცალკე თავმოყრილი 118 ქართული ხალხური ფიგონიმიდან, რომელთა მოგივაციური მნიშვნელობაცაა „გავრცელების არეალი“, 85 სწორედ მოცემული სტანდარტული მოდელის სახელწოდებებია. ქართულში რუსულისგან განსხვავებით ვხვდებით სტანდარტულიდან არასტანდარტული მოდელისაკენ გარდამავალი მოდელის სახელწოდებებსაც, რომლებიც მიღებულია სახეობითი და გვარეობითი კომპონენტების ერთ რთულ სიგყვად შერწყმით. ესენია: *კლდისვაშლა*, *კლდისდუმა*, *მიწავაშლა*, *მიწამაყვალა*, *სილავაშლა*, *ყანიმწვანილა*, *კილგავაშლა*.

რაც შეეხება კომპრესიის შედეგად მიღებული არასტანდარტულ ერთკომპონენტიან ფიგონიმებს, მათ ორივე ენაში ვხვდებით. მათი ხვედრითი წილი აქ საკმაოდ მცირეა, თუმცა, არც თუ ისე უმნიშვნელო. ესენია: *ბოსგანა*, *გყიურა*, *კელლისპირა*, *ველურა*, *სილიო*, *ჭალია* და სხვ. ქართულში და *ბолотница*, *болотник*, *взморник*, *водяника*, *калужница*, *могильник*, *побережник*, *луговик* და სხვ. რუსულში; *Arenaria* (→‘песчанка’), *Coprinus* (→‘навозник’) – ლათინურში.

სილიო – „სოკოა ერთგვარი, იზრდება ნაშემოდგომებს სილიან ნიადაგზე“ (ძოწენიძე, 1974, 358).

Подорожник – «Растение недаром носит такое название: просёлочные дороги излюбленное место его обитания» (Сало, 1975).

და ბოლოს, „სივრცით“ ფიგონიმებს შორის ცალკე მოგივაციურ ქვეჯგუფად შეიძლება გამოიყოს ფიგონიმები, რომლებიც მოგივირებულნი არიან *მცენარის ბრდის კონკრეტული ადგილის მიხედვით*, რომელშიც შეიძლება თავის მხრივ, ორი ძირითადი მოგივემა გამოვეყოთ:

ა) *მოგივემა* – „*მცენარე, რომელიც რაღაცაზე ან რაღაცაში იბრდება*“:

აქ უკვე ორივე ენაში სახეზე გვაქვს უპირატესად გვარეობითი კომპონენტის ამოვარდნით კომპრესირებული არასტანდარტული სახელწოდებები, როგორიცაა: *არყა, წიფლით, ქოთანა* და სხვ. ქართულში და *берёзовик, грабовик, опёнок* და სხვ. რუსულში.

წიფლით – „წითელი სოკოა, წიფლისა“ (წერეთელი, 1938, 133).

Грабовик – «Произрастает не с берёзой, а с грабом» (Жизнь растений, (II), 265).

ბ) *მოგივემა* – „*მცენარე, რომელიც რაღაცის ქვეშ იბრდება*“:

აქაც იგივე სურათია, ანუ ადგილი აქვს ენობრივი ეკონომიის კანონის დომინირებას ბოგანიკური გერმინოლოგიური სიგყვაწარმოების სტანდარტულ მოდელებზე. რუსულში ამ პრინციპით მოგივირებულია ‘подснежник’-ის გიპის ფიგონიმები: *подбельник, подсвекольник, поддубовик, подсиновик, подберёзовик, подбрежник* და სხვ., რომელთა შესახებაც ვ. ნიკიშაევა წერს: «Что касается возможного варианта мотивации типа: подснежник ← подснежная трава – отпадает, так как имя прилагательное несёт качественный признак, в словах же типа ‘подснежник’ подчёркивается признак конкретной реалии» (Никишаева, 1974, 114).

Подснежник – «Цветок, распускающийся сразу после таяния снега» (Головкин, 1986, 88).

Подсвекольник – «Сорняк, паразитирующий в посевах свекловицы» (Никишаева, 1974, 111).

ქართულში ანალოგიურია: *მუხისძირა, ვერხვისძირა, არყისძირა, ბუჩქისძირა, ვამისძირა, შინდისძირა, ღობისძირა, წიფლისძირა, ნივზისძირა* და სხვ.

მუხისძირა – „გვხვდება წიწვოვან და ფოთლოვან ტყეებში, განსაკუთრებით მუხის ძირებში“ (ხიდაშელი, 1990, 10).

ვერხვისძირა – „იბრდება ზაფხულ-შემოდგომაზე უმეტესად მთრთოლავი

ვერხვის კორომებში“ (ხილაშელი, 1990, 10).

უაღრესად საინგერესოა ნიგვზისძირას გურული სახელწოდება *ქვეშნიგვზისა*, (იხ. მაყაშვილი, 1991, 129). ვინაიდან ქართული ენისათვის მეტად უჩვეულო ფორმაა (გიპიურია ნიგვზისქვეშა) და თანაც ერთადერთი და მეტად ორიგინალური ანალოგი *под-* თავსართიანი რუსული ფიგონიმებისა, ნიგვზისძირას რუსული სახელწოდება კი გახლავთ *гравилат городской*. მაშასადამე თარგმანზე ან კალკირებულ ფორმაზე ლაპარაკი შედგება. უფრო სავარაუდოა, ეს იყოს დამოუკიდებელი, ალბათ, რუსული ფორმების ანალოგიით შექმნილი ფიგონიმი.

- „ღროითი“ ფიგონიმები, ანუ მცენარის აღმოცენების, მრღავანვითარების და ა.შ. ღროის მიხედვით მოგივირებული ფიგონიმები

ეთოლოგიურ ფიგონიმთა მესამე ჯგუფში ვაერთიანებთ ე.წ. „ღროით“ ფიგონიმებს, რომლებსაც ორივე ენაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ ფიგონიმთა მოგივირების სხვა პრინციპებს შორის, თუმცა გაცილებით ნაკლები, ვიდრე „სივრცით“ ფიგონიმებს. ამ პრინციპით მოგივირებულია ქართულში 40-მდე ფიგონიმი და თითქმის ამდენივე რუსულში (მაშინ როცა მარტო ქართულში 500-მდე „სივრცითი“ ფიგონიმია ჩვენს მიერ დაფიქსირებული). მათი საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი სტანდარტული ორკომპონენტიანი მოდელებია, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობაც კალკირებულია უპირატესად ლათინურ-ბერძნული საერთაშორისო ბოგანიკური ნომენკლატურიდან, ან ერთ-ერთი ჩვენს მიერ საკვლევი თუ სხვა ენიდან. ამის მაჩვენებელია ამ სტრუქტურულ-სემანტიკური მოდელის ფიგონიმ-ეკვივალენტთა სრულ იდენტურობა: *ღამის ია – ночная фиалка*, *ღამის დედოფალი – царица ночи*; *ზამთრის სოკო – зимний гриб*; *ზაფხულის მანჭკვალა – летний опёнок* და სხვ. სულ 20 წყვილი. არაჰსტანდარტული მოდელის სახელწოდებებს ვხვდებით უპირატესად, ხალხურ ფიგონიმიაში. ასეთია: *ყინულა*, *სათოვლია*, *თოვლის მახარობელი*, *მეთოვლია*, *თოვლის დედა*, *თოვლის ყვავილი* და სხვ. ქართულში და *дождевик*, *подснежник*, *громовик*, *морозник* და სხვ. რუსულში. საინგერესოა აგრეთვე

ანალოგიური ხერხით მცენარის ზრდა-განვითარების ამა თუ იმ სტადიის სხვადასხვა მოვლენასთან დაკავშირებაც:

ფერისცვალა – „ბალახია, რომლის ქოლგისებრი ყვავილის შუაში მსხვილი ბუტკოა, რომელსაც ფერისცვალება ღღეს სრესდნენ და სახეზე მხვამდნენ“ (მენტეშაშვილი, 1943, 184).

ამაღლების ბალახი – „ძველად იცოდნენ, ამაღლება ღღეს მზის ამოსვლამდე წამოწეულ ბალახს შეაგროვებდნენ, მეტი ძალა აქვსო“ (მაისურაძე, 1947, 48).

ბარბარეს ყვავილი – „კაქტუს-ეპილიუმს სხვანაირად ბარბარეს ყვავილსაც უწოდებენ, რადგან ბარბარობა ღღეს ყვავილობს“ (ვერზილინი 1958, 39).

Купальница – «У славян существовало поверье, что папоротник растёт в ночь накануне праздника Ивана Купала» (Сало, 1975, 209).

Chelidonium – «В прямом переводе означает ‘ласточкина трава’... цветёт одновременно с прилётом ласточек» (Шпилеия 1985, 206).

ორივე ენის „ღროითი“ ფიგონიმების გარკვეულ ნაწილს შეადგენენ აგრეთვე სახელწოდებები, რომელთა შინაფორმებიც მიგვანიშნებენ მცენარის ზრდა-განვითარების სხვადასხვა ვადებზე ან თავისებურებებზე:

Безвременник – «Обратите внимание на одну деталь: в пазухах листьев виднеются семенные коробочки, хотя сейчас весна и пора цветения только начинается. Дело в том, что это странное растение отцвело ещё осенью прошлого года. Такой цикл необычаен для наших растений, поэтому и оно получило меткое название «безвременник»». (Сало, 1975, 5).

Первоцвет – «Большинство примул цветёт очень рано, среди них существуют и предвестники весны». (Головкин, 1986, 89).

ანალოგიურია აგრეთვე *долгоцветка*, *столетник* და სხვ., ხოლო ქართულში: *მვიდკვირეულა*, *ნაადრევი ლობიო*, *საგვიანო ხორბალი* და სხვ.

ამრიგად, ობიექტის საკუთარი ნიშან-თვისებებით სახელწოდების მოტივირება მცენარეთა მოტივირებული ნომინაციის ძირითადი, ბირთვული პრინციპია როგორც ქართულში, ისე რუსულში. საერთოა აგრეთვე ამ მოტივაციური კატეგორიის ცალკეული მოტივაციური ჯგუფები და

ქვეჯგუფები, ყოველივე ეს კი ძირითადად არ არის განპირობებული ჰერმნულ-ლათინური საერთაშორისო ნომენკლატურის მეგავლენით და უპირატესად მოცემული ორი არამონათესავე ენისათვის დამახასიათებელ შოვად კანონზომიერებათა რიგს განეკუთვნება.

§ 3. ქართული და რუსული ფიგონიების მიმართებითი მოტივაცია

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიმართებითად მოტივირებულია სახელწოდება, რომლის „გამჭვირვალე“ შინაფორმაც ასახავს არა ობიექტის ამა თუ იმ ნიშან-თვისებას, არამედ ადამიანის მისადმი დამოკიდებულებას. მცენარე კი უარესამყაროს ის ობიექტია, რომელსაც უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ადამიანის ცხოვრებაში, შესაბამისად, ადამიანის დამოკიდებულებაც მისადმი მკაფიოდ და ნათლად გამოკვეთილი, რაც საინტერესოდ აისახება ნომინაციის პროცესზე.

მოცემული პრინციპით მოტივირებულ ქართულ და რუსულ ფიგონიმებს ზეენ ორ მოტივაციურ ჯგუფად ვყოფთ:

1. ფიგონიმთა ფუნქციონალური მოტივაცია;

2. ფიგონიმთა შეფასებითი მოტივაცია;

განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე.

1) *მცენარის გამოყენების მიხედვით მოტივირებული ქართული და რუსული ფიგონიმები ანუ ფიგონიმთა ფუნქციონალური მოტივაცია ქართულ და რუსულ ენებში*

მოტივირების ნიშანთა ნაირგვარობის მიხედვით მოცემული მოტივაციური ჯგუფის ფიგონიმები თავის მხრივ ორ მოტივაციურ ქვეჯგუფად შეიძლება დაყოფიოს.

ა) ფიგონიმის მოტივირება მცენარის მედიცინაში გამოყენების მიხედვით;

ბ) ფიგონიმის მოტივირება მცენარის საკვებად გამოყენების მიხედვით.

• მცენარის მედიცინაში გამოყენების მიხედვით ფიგონიმის მოგივირება ღება მის „გამჭვირვალე“ შინაფორმაში მცენარის სამკურნალო ღირებულებებზე მითითებით. ასეთ ფიგონიმებს ჩვენ პირობითად 'სამკურნალო' ფიგონიმებს ვუწოდებთ. ⁶ზნაღია, „სამკურნალო“ ფიგონიმები სამკურნალო მცენარეების სახელწოდებია, რაც იმას სულაც არ ნიშნავს, რომ აბსოლუტურად ყველა სამკურნალო მცენარის სახელწოდება მხოლოდ ამ პრინციპითაა მოგივირებული, რისი დასტურიცაა მ. ირემაშვილის ნაშრომებიც, რომლებიც უშუალოდ სამკურნალო მცენარეთა სახელწოდებების კვლევას ეხება (იხ. *Ирёмашвили, 1984; 1985; 1987*) უფრო მეტიც, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სამკურნალო + ფიგონიმი სტანდარტული მოდელის კალკირებულ სახელწოდებებს, აღმოჩნდება, რომ მოგივირებული ნომინაციის ამ პრინციპს ერთ-ერთი პერიფერიული ადგილი უჭირავს მცენარეთა მოგივირებულ ნომინაციის სისტემაში, კერძოდ, ე.წ. „სამკურნალო“ ფიგონიმთა რიცხვი ორივე ენაში ერთად აღებული 50-ს არ აღემატება, მაშინ როცა ასეულობით უპვირფასესი სამკურნალო მცენარეა ცნობილი და შესწავლილი.

საერთოდ, როგორც საკვლევი მასალის ანალიზი ცხადყოფს, როგორც ჩანს, მცენარის სახელდებისას ადამიანისთვის ისეთი ნიშან-თვისებების ხაზგასმა უფრო მნიშვნელოვანია, რომლებიც მიგვანიშნებენ, რომ აღნიშნული მცენარე სახიფათოა ადამიანის ჯანმრთელობისათვის, ვინაიდან არის უკიდურესად მხამიანი, გამოუსადეგარი, მავნე, სარეველად და ა.შ., ამით ეს სახელწოდებები ერთგვარ გამაფრთხილებელ ფუნქციასაც ასრულებენ. მათი მიზანია, ადამიანს არ აერიოს სახელდებული მცენარეები სხვებში და ამით თავიდან აიცილოს ხიფათი. ამ საკითხებზე უფრო დაწვრილებით ცოცა ქვემოთ, ფიგონიმთა შეფასებითი მოგივიაციის ანალიზისას გვექნება საუბარი. აქ კი იმის თქმა გვინდოდა, რომ ორივე ენაში „სამკურნალო“ ფიგონიმთა სიმცირის მიზეზი, როგორც ჩანს, ის გახლავთ, რომ პრაგმატული მოსამრებებიდან გამომდინარე, ადამიანი აღსანიშნი მცენარის ნომინაციისას მის უარყოფით მხარეებს უფრო მეტ ყურადღებას აქცევს,

ედრე დადებითს, რომელთა რიგშიც დგას, უპირველეს ყოვლისა, სამკურნალო თვისებები.

შეფასებითი მოგივაციის ამ ტენდენციას ადგილი აქვს ლექსიკის სხვა თემატურ ჯგუფებშიც, რამდენადაც მიუთითებს არა ერთი ლინგვისტი. ასე მაგალითად, მეგაფორული ნომინაციის ერთ-ერთი მკვლევარი ყ. ვარძელაშვილი წერს: „შეფასების პარამეტრების შედარებამ დაადასტურა მეგაფორულ დახასიათებათა ასიმეტრიულობა: ენა არ იყენებს თავის რესურსებს და საერთოდ არ აწარმოებს მეგაფორულ ნომინაციებს მრავალი დადებითი თვისების აღსანიშნავად, ... მასალამ თვალნათლივ დაადასტურა ადამიანის დახასიათებისას ნომინაციებში პეიორატიული შეფასების სიჭარბე მელიორატიულთან შედარებით“ (Вардзелашვილი, 2002, 25, 26).

„სამკურნალო“ ფიგონიმთა ერთი ნაწილი მოგივირებულია იმ დაავადებების დასახელებით, რომელთა სამკურნალოდაც გამოიყენება სახელდებული მცენარე:

წყლულის ბალახი – „წყლულის წამლად ხმარობენ“ (ჭყონია, 1910, 65).

ნაღველა – „მას ნაღველის დენის გაძლიერებული თვისებაც გააჩნია“ (პაპუნძე, 1987, 159).

Приточник – «Приткою в прежнее время называлось особенное болезненное состояние человека. Отсюда и, по всей вероятности, название ‘приточник’» (Анненков, 1878, 7).

Чамерица, чамерка – «Мотивировано названием болезни ‘чамер’ по применению травы в её лечение» (Никишаева, 1974, 80).

Hernaria – «От Hernia – ‘გრეჯა’, по применению для лечения грыжи» (Каден, 1975, 78).

ანალოგიურია აგრეთვე: *ბაღლაძის წამალი, დაჭრილის წამალი, ნაწყენის ბალახი, მაიასილის ბალახი, თიაქარა, წყლულის ბალახი* – ქართულში და *გუნბა, დონიკ, жабник, желтушник, золотуха, свинуха, чамерица, язвенник, почечуйная трава* და სხვა რუსულში.

„სამკურნალო“ ფიგონიმთა მეორე ნაწილი იმ ორგანოს დასახელებს,

რომლის სამკურნალოდაც გამოიყენება მცენარე:

თუალის ბალახი – „ძველთაგანვე შეადგენს ბალახი ესე თვალების წამალსა“ (ბაგრაგიონი, 1986, 152).

Зубной корень – «Название заставляет думать, что растение полезно от зубных болезней» (Анненков, 1878, 58).

Сердечник – «При помощи лёгочницы, почечной травы, сердечника и др. можно лечить народ от разных болезней» (Скороход, 1936, 522).

Зубная трава – «По употреблению от болезни зубов» (Анненков, 1878, 58).

ანალოგიურია აგრეთვე: *თირკმლის ჩაი* – ქართულში და *очанка, почечный чай, селезёночник, донник* – რუსულში, *cardamine, odontalgica* და სხვ. ლათინურში.

„სამკურნალო“ ფიგონიმთა მესამე ნაწილი კი მოგივირებულია იმ სამკურნალო თვისებების დასახელებით, რაც მათ გააჩნიათ.

Чистец – «Растение, употребляемое в медицине для лечения кожных заболеваний» (Никишаева, 1974, 72).

Живокость – «Служит по народному поверью лечебным средством (Помогает сращению перелома костей)» (Брокгауз, XXII, 915).

Молодило – «Молодень, молодило, молодильная трава – названия отражают тонизирующие свойства растения» (Меркулова, 1967, 66).

ანალოგიურია: *პირწმინდა, ქვაგვეცია* – ქართულში და *нехворощь, чистоуст, очиток, чистотел, камнеломка, бедренец* და სხვ. – რუსულში.

• *ყოფაცხოვრებაში მცენარის გამოყენების მიხედვით მოგივირებულ ფიგონიმებს კი, რომელთაც ჩვენ პირობითად „საყოფაცხოვრებო“ ფიგონიმებს უწოდებთ, „სამკურნალო“ ფიგონიმებთან შედარებით გაცილებით მეტი ადგილი უჭირავთ ფიგონიმთა ფუნქციონალურ მოგივაციაში. და უფრო მრავალფეროვანიც არიან მოგივირების ნიშანთა ნაირგვარობის მიხედვით, რის საფუძველზეც აქაც რამოდენიმე მოგივაციური ქვეჯგუფის გამოყოფაა შესაძლებელი.*

„საყოფაცხოვრებო“ ფიგონიმთა ერთ-ერთ ნაწილს ორივე ენაში წარმოადგენს მცენარის ან მისი ორგანოს საკვებად გამოყენების მიხედვით მოგივირებული ფიგონიმები, როგორცაა:

ამპურა – „მას დათვისპურას, დათვისვაშლას და პურგულასაც ეძახიან. როგორც ხალხის გადმოცემა ამტკიცებს, იგი ხშირად პურის მაგივრობასაც წვედა ტყეში გახიზნულთათვის“ (მირზაშვილი, 1948, 478).

ბაბუსავებალა – „კუნელის მსგავსი მცენარე, აქვს წითელი ფერის ნაყოფები. იჭმევა“ (გაჩეჩილაძე, 1976; 21)

მგზავრიო, მგზავრა – „სოკოა ერთგვარი, გზის პირებზე იცის ამოსვლა. ჭამენ“ (გაჩეჩილაძე, 1976, 16).

Борщевик – «Употребляется в пищу вместо капусты» (Меркулова 1967, 18)

Pastinaca (Пастернак) – «Pastus – ‘корма, пища, вследствие съедобности корня’» (Никишаева, 1974, 86).

ამ მოგივაციურ ქვეჯგუფში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ფიგონიმებს, რომელთა „გამჭვირვალე“ შინაფორმაც ცხოველისა და ფრინველისათვის მცენარის კარგ საკვებ ღირებულებაზე მიგვითითებს, რისი უნობრივი გამოხატვის ძირითადი საშუალებაცაა ჩვენს მიერ უკვე განხილული მოდელი **ზონიმი-ეპითეტი + ფიგონიმი**. ჩვენ უკვე მივუთითეთ ამ მოდელის ფიგონიმთა მოგივაციური მნიშვნელობების ზუსტად დადგენის ხირთულებზე, რასაც არა ერთი ლინგვისტიც აღნიშნავს. ასე მაგ., მერკულოვა წერს: „ხშირად ადგილი აქვს ისეთ ცნებათა შორის ლოგიკური კავშირის დადგენის მცდელობასაც, რომლებიც მანამდე არავითარ კავშირში არ იყვნენ. ასე გაჩნდა განმარტებები: „ეს კომბოსტო უკვართ კურღლებს“ და ა.შ. (Меркулова, 1967, 90). მიუხედავად ამ ხირთულისა, სახეზე გვაქვს უამრავი მაგალითი იმისა, რომ აღნიშნული მოდელის ფიგონიმების დანიშნულება სწორედ რომ მცენარის ცხოველისათვის კარგ საკვებ ღირებულებაზე მითითებაცაა:

დათვის პანგა – „... იმით არ გამოდიან ზამთარ-ზაფხულ დათვები?! დათვის პანგაა, მარა ადამიანიც ჭამს“ (ბეროზაშვილი, 1968, 160).

ორმისმსხალა – „შესანიშნავი საკვებია საქონლისათვის. მას გემრიელად შეეძლება შინაურ ცხოველთა უმრავლესობა“ (ხიდაშელი, 1987, 24).

კაკბის საკენკელა – „ვიითარებს ოთხ პაგარა კაკლისაგან შემდგარ ნაყოფს, რომელსაც ძალიან ეგანებიან ფრინველები, ამიტომაც ამ მცენარეს ზღის კაკალეს, ხობბის საკენკელსა და ჩიგის საკენკელასაც ეძახიან“ (შაყაშვილი, 1962, 21).

ჩიგაეაშლა – „ნაყოფი მცენარეზე რჩება ზამთრამდე, ამიტომ წინშენელოვანი საკვებია გარეული ფრინველებისათვის (ქსე, XI, 139).

Верблюжья колючка – «Распространена в пустынях и полупустынях... Важное кормовое растение, особенно охотно поедаемое верблюдами» (БСЭ, (3) – IV; 525).

Олений мох – «В продолжении суровой и длин^ной зимы олений мох остаётся по существу единственной пищей северного оленя» (Ивченко 1972, 50).

Зубровник – «Травянистое растение семейства злаковых, считается любимой пищей зубров» (Никишаева, 1974, 87).

Avena (შვრია) – «От Avis ‘птица’. По употреблению овса в пищу птицами» (Каден, 1975, 30).

Arktostaphylos uva ursi – «Медведь очень равнодушен к его мелким мучнистым плодам. Ботаники тоже подтвердили это мышинное пристрастие, дав название *Arktostaphylos uva ursi*, что по-русски означает ‘северная медвежья ягода’» (Ивченко, 1972, 67).

ანალოგიურია აგრეთვე: *ჩიგიფეცვა*, *ჩიგის ყურძენი*, *ჩიგიცერცველა*, *ცხვრის სამყურა*, *ფუტკრის მსხალი* და სხვ. ქართულში და *коровий горох*, *бараний горох*, *заячий клевер* და სხვ. რუსულში.

მოცემული მოგივაციური ქვეჯგუფის ფიგონიმთა „გამჭვირვალე“ შინაფორმებში გადმოცემულია აგრეთვე:

- *მცენარის გამოყენება მავნე მწერების მოსასპობად*

ჩიჩქის ბალახი – „ბალახია, ჩიჩქის (ერთგვარი ჭიაა, ქსოვილის მჩეხველი) წინააღმდეგ ხმარობენ“ (მაისურაძე, 1947, 232).

Блоховник – «Прогоняет блох, откуда и название» (Аннекнов 1878, 215).

Pedicularis – «Дословно – ‘вшивица’! Настойка на нём применялась для борьбы с головными вшами» (Каден, 1975, 115).

ანალოგიურია: *სამბგლე*, *სატილია* და სხვ. ქართულში და *блосник*, *блосья смерть*, *блосмор*, *блосогон*, *вшивица*, *мытник*.

• *მცენარის გამოყენება საღებავ მასალად*

საფურავი – „შავად მწიფდება, შავ ღვინოს იძლევა, თეთრი ღვინის საფურავად იხმარება“ (ჯანაშვილი, 1913, 99).

Румянка – «Немало косметических названий в русском языке... Из красных покровных тканей их корней получались первоклассные румяна» (Головкин, 1986, 87).

Belladonna – «Переводится на русский язык как ‘красивая женщина’, что говорит о применении растения в косметических целях» (Сало 1975, 28).

• *სხვადასხვა ნივთების დასამზადებლად ან სხვა საყოფაცხოვრებო მიზნით მცენარის გამოყენების მიხედვით მოგივირებულია*

საგველა – „მცენარეა, მისი თავთავებისაგან ამზადებენ ფქვილისა და შგვრის გაღმოსაწმენდს“ (მენტეშაშვილი, 1943, 150).

Чубушник – «Ветви чубушника идут на чубуки для трубок» (Никишаева, 1974, 58).

ანალოგიურია აგრეთვე: *საპონა*, *ხელსაბანა*, *საპონელა*, *ყველის სოკო*, *ხასგვენა*, *საფანდურა*, *სასუქა*, *ცოცხანა*, *კურდღლისცოცხა*, *სანთელა*, *ეშმაკის მაშხალა* და სხვ. ქართულში, *канатник*, *метла*, *метельник*, *метлика*, *мыльнянка* და სხვ. რუსულში და *Lychnis* (სიგყვასიგყვით - ‘ნათურა’); *Cereus* (სიგყვასიგყვით - ‘სანთელი’).

მოცემული მოგივაციური ჯგუფის ფიგონიმთა კონკრეტული მოგივირების ნიშანთა გამოხატვის საშუალებებია:

1. ფიგონიმ-შესიგყვებები, რომელთა ერთი ნაწილიც სტანდარტული

ორკომპონენტიანი სახელწოდებებია (სამკურნალო აღონისი – Адонис лекарственный, зубной корень), ხოლო მეორე ნაწილი კი ფრაბეოლოგიზმები (баранья трава, ღათვის პანგა);

2. აფიქსაციის ან როულ სიგყვათა წარმოქმნის გზით კომპრესირებული ფიგონიმები (Грыжник, სანთელა; ბაბუსაგბალა, живокость);

3. ომონიმია (სანთელი, золотухა).

უმნიშვნელოა თარგმნისა და კალკირების შემთხვევები, რომლებიც ძირითადად officinalis – სამკურნალო – лекарственный, კომპონენტის შემცველ სახელწოდებებს შეეხება.

2) ქართული და რუსული ფიგონიმების შეფასებითი მოტივაცია

საკვლევი ენების ფიგონიმთა მოტივაციის სისტემებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სახელწოდების მოტივირებას ნომინაციის სუბიექტის მხრიდან მცენარისადმი დამოკიდებულების მიხედვით. ამ შემთხვევაში სახელწოდების „გამჭვირვალე“ შინაფორმა მიგვითითებს არა რომელიმე კონკრეტული ნიშანზე, არამედ იგი თითქოსდა გვკარნახობს, მოცემული მცენარე *კარგია* ადამიანისათვის, თუ ცუდი. ამ მხრივ მეგად საინტერესოა *ვირისგერფას* რუსული სახელწოდება 'мать-и-мачеха', რომელიც ერთდროულად დადებით შეფასებასაც იძლევა და უარყოფითასაც: «Теплая на ощупь, мягкая, словно бы ласкающая нижняя поверхность листа – «мать» противопоставляется у этого растения холодной, гладкой и голой верхней стороне – «мачехе»» (Головкин, 1986, 8). მოცემული მოტივაციური ჯგუფის ფიგონიმები ორ ქვეჯგუფად შეიძლება დავყოთ:

1. ფიგონიმები, რომლებიც მოტივირებულია მცენარისადმი ადამიანის დადებითი დამოკიდებულების მიხედვით;

2. ფიგონიმები, რომლებიც მოტივირებულია მცენარისადმი ადამიანის უარყოფითი დამოკიდებულების მიხედვით.

განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე.

• *მცენარისადმი აღამიანის დადებითი დამოკიდებულების საფუძველი* შეიძლება იყოს მისი გარეგნული სილამაზე (განსაკურთებით ყვავილოვანი მცენარისა), სასიამოვნო გემო ან სურნელი, მერქნის სიმკვრივე, შესანიშნავი სამკურნალო თვისებები, კარგი საკვები ღირებულება და სხვა უამრავი აღამიანისათვის სასარგებლო თვისება. ჩვენ უკვე განვიხილეთ მცენარის შერის, გემოს, სუნის და სხვა ნიშან-თვისებების მიხედვით მოგივირებული ფიგონიმები, რომელთაგან განსხვავებითაც მოცემული მოგივაციურ ქვეჯგუფში ვაერთიანებული სახელწოდებები სტილისტურად ნეიგრალური კი არ არიან. არამედ მცენარის ამა თუ იმ ნიშან-თვისების დადებით შეფასებას იძლევიან, ამიტომაც მათ „გამჭვირვალე“ შინაფორმაში უნდა ვეძიოთ არა რაიმე კონკრეტული ნიშანი, არამედ დადებითი შეფასების გამომხატველი ცნებები: „კარგი“, „მშვენიერი“, „შესანიშნავი“, „მომხიბლავი“ და ა.შ. შესაბამისად, სახეზე გვაქვს ამ ცნებათა მოგივირების ნიშნის სახით გადმოცემის პირდაპირი და გადაგანითი ხერხები.

მცენარის დადებითი შეფასების პირდაპირი გამომხატვის ხერხია ფიგონიმის სტრუქტურაში მითითებულ ცნებათა გამომხატველი სიტყვების ჩართვით მცენარის კარგ თვისებაზე მითითება. ამ პრინციპით მოგივირებულია:

სუნელა – „ვაშლის ერთ-ერთი ჯიშია, სურნელოვანი. მას მოკრეფენ და დააწყობენ. კარგ სუნს უშვებს“ (ძოწენიძე, 1974, 363).

უთხოვარი, ულპობელი – „მისი მერქანი წმინდა აგებულებისაა მაგარი, მიწაში არ ლპება“ (ტატულიშვილი, 1941, 66).

Не-гниой-дерево – «Когда мы говорим о древесине тисса, то как правило, прибегаем к его названию *не-гниой-дерево*, отражающему очень важные для хозяйственного использования её свойства» (Жизнь растений, (IV), 413-414).

Душица – «Растение обладает сильным приятным запахом» (Шпилея, 1985, 76).

ანალოგიურია აგრეთვე: *ლამაზა, მიბილა, პირლამაზა, ქუქუნა, საკადრისა, ჩრდილის ლამაზა, ხასიათა, უხრავი* და სხვ. ქართულში და *красавица*,

маргаритка და სხვ. რუსულში, *Bellis perennis* (მიზილა) და სხვ. ლათინურში (სიცივისგან *Bellis* – ‘საყვარელი’).

ვაცილებით საინგერესო სურათს ქმნის დაღებითი შეფასების გადაგანითი ხერხით გამოხატვა, სადაც ორი ძირითადი გენდენცია იკვეთება. ფიგონიმთა ერთი ჯგუფის სტრუქტურაში ჩართულია ისეთი სტილისტურად ამაღლებული სიტყვები როგორებიცაა: დედოფალი (*დედოფლის კაბა*), ანგელოზი (*ანგელოზა*), სამეფო ვაშლი, ქრისტე (*ქრისტესისხლა, ქრისტეს ცერის დანაბიჯი, ქრისტესბალახა, ქრისტესბეჭედა*), ქალბატონი (*ქალბატონები*), მარგალიტი (*მარგალიტა*) და სხვ. ქართულში და რუსულში: *девица* (*девица в зелени*), *ангел* (*ангелика*), *царь* (*царский гриб*), *кесарь* (*кесарев гриб*), *рай* (*райка*), *князь* (*княженика*) და სხვ.

სამეფო ვაშლი – „ალისფერი დაჰკრავს, ძაან გემრიელია, შემოდის ჭკუნისთვეში და ძლებს იანვრამდის (მასალები, 1978, 54).

Княженика – «Трудно сказать, почему такие предметы носили название княжского», видимо в результате своей незаурядности, необычности» (Меркулова, 1967, 222).

მცენარის დაღებითი შეფასების გადაგანითი ხერხით გამოხატვის მეორე გზაა ფიგონიმის სტრუქტურაში ისეთი ცხოველისა თუ ფრინველის სახელის ჩართვა, რომლებიც ადამიანში დაღებით ემოციებს იწვევენ. ამ შრივ საინგერესოა ლათინური სახელწოდება *Aquilaria*, რომელსაც ანენკოვი შემდეგნაირად განმარტავს: «От латинского ‘Aquila’ → ‘орёл’, потому, что древесина носит своё название по своим превосходным свойствам» (Анненков, 1878, 41). ამასვე აღნიშნავს ე. ვარძელაშვილიც: „Орёл – ღვაცების და დაღებითი შეფასების ემოციით ითქმის ძლიერ და მამაც ადამიანზე, რომლის სახეც ასოცირებულია ძლიერი ფრინველის სახესთან“ (ვარძელაშვილი, 2002, 20).

ანალოგიურად უნდა მივიჩნიოთ: *ხოხბის მკერდა, მგრედა, მგრედო, მწყერი* და სხვ. ქართულში *ястребинник, баранец, барашики* და სხვ. რუსულში.

დაწვრილებით აღარ შევჩერდებით – იო სუფიქსიან სოკოს ქართულ სახელებზე. ისინი საფუძვლიანად აქვს განხილული ქ. ლომთათიძეს, რომელიც მიიჩნევს, რომ აღნიშნული სუფიქსი მომდინარეობს – ილო სუფიქსიდან (მდრ.: ლდილო, მამილო). ამასადაბე, იგი ალერსობით – კნინობითი სუფიქსია (იხ. ლომთათიძე, 1982).

• რაც შეეხება ადამიანის მცენარისადმი უარყოფითი დამოკიდებულების მიხედვით ფიგონიმის მოგივირებას, იგი ეფუძნება მცენარის ისეთ თვისებებს, როგორცაა შხამიანობა, ყოვლად გამოუსადეგრობა, საკვებად უვარგისობა, ჯანმრთელობისათვის მავნეობა, სარეველობა და უამრავი სხვა. ჩვენ გემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ როგორც ქართულში, ისე რუსულში უარყოფითი შეფასების შემცველი ფიგონიმების რიცხვი მნიშვნელოვნად ღლია, ვიდრე დადებითისა.

ამ თვალსაზრისით ამოუწურავ მასალას იძლევა ხალხური ფიგონიმია, როგორც რუსული, ასევე ქართული. ამასვე ადასტურებს სხვა ენების, კერძოდ ლათინურის, ჩრდილო კავკასიის ხალხთა, ბელორუსული, უკრაინული და სხვ. ენების მონაცემებიც (იხ. Каден, 1975; Чепик, 1990; Алироев, 1975; Оздоева, 1975 და სხვ.). არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიგყვით, რომ ნომინაციის პრაგმატული ასპექტები გაცილებით ფართო და საფუძვლიან კვლევას მოითხოვს, განსაკუთრებით შედარებით ასპექტში, რაც ბევრ საინგერესო კანონზომიერებასა და უნივერსალიას გამოავლენდა, უპირველეს ყოვლისა, ამა თუ იმ ცხოველისა თუ ფრინველის მიმართ ადამიანის უარყოფითი დამოკიდებულების გამოყენების თვალსაზრისით ახალი ობიექტის ნომინაციისას. სწორედ ეს გახლავთ ფიგონიმის შინაფორმაში ნომინაციის სუბიექტის შრიდან მცენარისადმი უარყოფითი დამოკიდებულების ასახვის ერთ-ერთი საინგერესო და მრავალფეროვანი გზა. ამ მიმართულებით კვლევის წარმართვისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ორივე ენაში მცენარის უარყოფით მახასიათებლად გამოიყენება იმ ფრინველისა თუ ცხოველის სახელი, რომლებიც მოცემული ენის მაგარებელ ხალხში უარყოფით ემოციებს

(მიმი, გიბლი და ა.შ.) იწვევენ, ასე რომ, ამ პრინციპით მოტივირებული ფიგონიმები თითქოსდა გვკარნახობენ, თუ რომელი ცხოველისა თუ ფრინველისადმი ავლენს მოცემული ენობრივი კოლექტივი უარყოფით დამოკიდებულებას.

ამ თვალსაზრისით ჩვენს საკვლევ მასალაში პირველ ადგილზე დგას ე.წ. „ძალური“ და „მგლური“ ფიგონიმები, ანუ სახელწოდებები, რომელთა სტრუქტურაშიც გამოყენებულია სიგყვები: ‘ძალის’, ‘მგლის’ – ქართულში და ‘волчий’, ‘бирючий’, ‘собачий’, ‘пёсий’ – რუსულში. ესენია: ძალმაყვალა, ძალის პიგნა, ძალის საგაცური, ძალლაქინძა, ძალის ენძელა, ძალის თუთა, ძალის ია და სხვ. – ქართულში; собачий зуб, собачья петрушка, собачий хлеб, собачник, собачья голова, собачья рожа და სხვ. რუსულში; მგლის სოკო, მგლისწარი, მგლის ხორხა, მგლის ყურა (ძალის – ენა) – ქართულში და волчец, волчек, волчник, волчье лыко, бирючина, волчий горох და სხვ. რუსულში.

ძალყურძენა – „ერთი ან მრავალწლოვანი მცენარე, ნაყოფი წვნიანია, შავი, შხამიანი“ (ქეგელი, 1986, 544).

Волчец – «Вообще-то надо сказать, что все эти ‘волчьи’ и ‘бирючьи’ ягоды и им подобные, относятся к вредным растениям» (Головкин, 1986, 62).

ძალისა და მგლის მიმართ საკვლევ ენების მაგარებელი ხალხების უარყოფითი დამოკიდებულების ეთნოფსიქოლოგიური საფუძვლების ძიება შორს წაგვიყვანს, მაგრამ ერთი რამ აუცილებლად ხაზგასასმელია: ძალის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება უამრავი ხალხის ფსიქოლოგიაშია ამკარად გამოკვეთილი, რაზედაც არაერთი მკვლევარი მიგვითითებს: „‘ძალის’ ბერძნულ ენაში ჯერ კიდევ ჰომეროსის დროიდან იყო ცნობილი როგორც სალანძღავი სიგყვა“ – წერს თეოფრასტი. (Феофраст, 1954, 576); «‘Собачий’ – выражение пренебрежительное» – მიგვითითებენ სხვებიც (Минц, 1962, 56). ანალოგიური მდგომარეობაა ქართულსა და რუსულშიც, სადაც ‘ძალის’ მეორე, გადაგანითი მნიშვნელობით სალანძღავი სიგყვაა (იხ. ქეგელი 1986, 544; МАС → IV, 168). ვფიქრობთ, არაა აუცილებელი იმ უამრავი

გამონათქვამისა და ფრაზეოლოგიზმის აქ მოგანა, რაც ამის დასტურია როგორც ქართულში, ისე რუსულში.

ერთი სიგყვით, ძალისაღმი უარყოფითი დამოკიდებულება თითქმის საყოველთაოა, რისი საფუძველიც გახლავთ, ალბათ, ის, რომ ძალდი ადამიანის უახლოესი მეგობარია უხსოვარი დროიდან და ცხოველთა სამყაროს სხვა წარმომადგენლებისაგან იგი ყველაზე ახლოს იცნობს მის უარყოფით თვისებებსაც (სიავე, სიმყრალე, დაუნდობლობა).

რაც შეეხება მგლისაღმი უარყოფით დამოკიდებულებას, აქ სიტუაცია ცოტა სხვანაირია. როგორც ბ. გოლოვკინი წერს: «прозвище 'волчье' относится ко всем несъедобным, даже ядовитым растениям и родилось когда-то в Саратовской губернии» (Головкин, 1986, 62). ცხადია, რუსეთის გაშლილი გრამალებში ხანგრძლივი ზამთრის პირობებში მგელი გაცილებით სახიფათოა ადამიანისათვის და შიშის ზარსა სცემს მას, ვიდრე საქართველოში, სადაც იგი ძალდი მთებისა და უღრანი გყეების ბინადარია და დასახლებულ პუნქტებში იშვიათად თუ გამოჩნდება ხოლმე. ალბათ, ამიტომაც ქართველისათვის სიგყვა 'მგელის' უარყოფითი სტილისტური დაგვირთვა გაცილებით სუსტია, ვიდრე რუსისათვის. ამას ადასტურებს ქართული გამოთქმაც: „კიდევაც დაიბრდებიან, ალგეთს ლეკვები მგლისანი“. რამედაც სრულიად მართებულად მიგვითითებს ჯ. წიბახაშვილი: „ამ ხასიათის გამოთქმები (ე.ი. „ალგეთის მგელი“ – თ.ა.) არის რუსულშიც – тамбовский волк, брянский волк. თითქოს ეკვივალენტი მოძებნილია, მაგრამ – არა. რუსული тамбовский (брянский) волк ადამიანის შეფასებისას ყოველთვის უარყოფითი შეფერილობისაა. „ალგეთის მგლის ლეკვები“ კი ამ კონტექსტში შურისმაძიებლობის, გმირობის აღიარებაა“ (წიბახაშვილი, 2000, 68). ამისავე დასტურია ჩვენი საკვლევი მასალაც. კერძოდ, იგივე ალ. მაყაშვილის „ბოგანიკური ლექსიკონის“ მონაცემების მიხედვით, რომელშიც თავმოყრილია არა მარტო ქართული ლიტერატურული, არამედ ქართული დიალექტური, აგრეთვე მეგრული, სვანური და ჭანური ფიგონიმები, 'მგელთან' დაკავშირებული ოთხად-ოთხი სახელწოდებაა დაფიქსირებული, მაშინ როცა 'ძალთან' დაკავშირებულია 40-ზე მეტი ფიგონიმი.

ანალოგიური მოტივაციური ფუნქცია უნდა ჰქონდეს ფიგონიმის შემადგენლობაში სიგყვა 'ლორსაც', ვინაიდან ღორისადმი ადამიანის უარყოფითი დამოკიდებულებაც ასევე საყოველთაოდ ცნობილია. ამ თვალსაზრისით საინტერესოა შხამიანი მცენარის ლენცოფას ლათინური სახელწოდების მოტივაცია:

Hyoskyamos (სიგყვასიგყვით 'ლორის ცერცვი') – «Слово 'Hyos' (свинья) в греческом употреблялось в пренебрежительном смысле. Очевидно от того, что это растение растёт преимущественно на мусорных местах» (Каден, 1975, 81). უარყოფითი შეფერილობა აქვს ამ სიგყვას როგორც ქართულ, ისე რუსულ გამოთქმებში: «подложить свинью», «метать бисер перед свиньями», «разбираться в апельсинах как свинья», „ლორის შვილი“, „ლორმუცელა“ და სხვ. შესაბამისად, ფიგონიმები: *свиной каштан, свинуха, свинушка, свиной* – რუსულში და *ლორის სოკო, ღორის ბირკა, ღორისხაი, ღორის ხოკა* და სხვ. (სულ 20-მდე სახელწოდება), ქართულში, სახელდებული მცენარეებისადმი ადამიანის უარყოფით დამოკიდებულებას გადმოგვცემენ:

ღორის სოკო – „საჭმელად იხმარება მხოლოდ მღუღარე წყალში ვათუთქვის შემდეგ (წყალი უნდა გაღლივაროს) (ქსე, X, 595).

საყოველთაოა აგრეთვე მიზლი, შიში და სიძულვილი *გველისადმი*. ამიგომაც როგორც ქართულში, ისე რუსულში სიგყვა „გველი“-ზემორე, გადაგანითი მნიშვნელობაა „ბოროტი, გაიძვერა, საზიზღარი ადამიანი“, ამასვე გადმოგვცემენ ორივე ენაში გამოთქმები: «змея подколотная», „გველის წიწილა“ და სხვ. ასე რომ, ამ სიგყვით მოტივირებული ფიგონიმები, გარდა იმათი, რომლებიც მცენარის გველისებრ ფორმას მიგვანიშნებენ, ადამიანის უარყოფითი დამოკიდებულების მაჩვენებელია. ასეთებია *გველის მარწყვი, გველის გვიძრა, გველის ია, გველის ხე* ქართულში და *гадючий лук, змейный подорожник* – რუსულში.

გველის მარწყვი – „მარწყვის მსგავსი სარეველა ბალახია, ისხამს კაშკაშა წითელ ნაყოფებს, რომლებიც არ იჭმევა“ (ქეგლ, 1986, 148).

ორივე ენაში აშკარად უარყოფითი შეფასების ელემენტებს შეიცავენ აგრეთვე ზოონიმები: *თაგვი, ბაღლინჯო, გილი, გკიპა* – ქართულში და *мышь, вошь, клоп* – რუსულში, რომლებითაც მოტივირებულია ფიგონიმები *თაგვის ნუში, თაგვის ცერცველა, თაგვნიორა, ბაღლინჯო, გილჭირი, გკიპა ლობით* და სხვ. ქართულში და *мышиный гуацинт, мышьяк, мышиный порошок, шиввица, клопики* და სხვ. რუსულში.

გკიპა ლობით – „ლობოს ჯიშია, კუტი, წვრილი, მობრტყო, მოწითალო. უხეირო ლობიოდ ითვლება“ (მენტეშაშვილი, 1943, 174).

Мышатник – «Ядовит, поэтому его надо применять с большой осторожностью» (Шпиленя, 1985, 186).

ამავე კონტექსტში შეიძლება იქნეს განხილული აგრეთვე მცენარეზე ამა თუ იმ პიროვნებისადმი უარყოფითი დამოკიდებულების გადაგანაც, რის მიხედვითად უნდა იყოს მოტივირებული *ყაზახა* და *დათიას ხე* ქართულში და *татарник* – რუსულში.

Татарник (ბრტყელეკალა) – «Мотивировка названия уходит глубокими корнями в те времена, когда с племенами татар были связаны горькие страдания русского народа» (Никишаева, 1974, 59).

ყაზახა – სიგყვა ‘ყაზახის’ – ერთ-ერთ, უარყოფითი შეფერილობის მქონე მნიშვნელობასაც რომ თავი გაეანებოთ, ამ ფიგონიმით სახელდებული ეკლებიანი და შხამიანი მცენარის სხვა დანარჩენი სახელწოდებების მოშველიებაც საკმარისი იქნებოდა ‘ყაზახას’ მოტივაციის დასადგენად. ესენია: ლათინური *Muscari* (→ *Musca* – ‘ბუმი’); ქართული: *ძაღლის ია, გველის ია, გუგულის ცარემლები*, რუსული – *мышиный гуацинт, гадючий лук*.

ანალოგიურია ლეჩხუმური ‘დათიას ხეც’ რომლის სხვა ქართული დიალექტური სახელწოდებებაცაა: *ქოთია ხე, ბოთე ხე, მყრალი ხე, გველის ხე, ყროლი, მყრალო, მყრალი კოპიგი, მყრალი ჭანდარი*.

მცენარისადმი უარყოფითი დამოკიდებულებით ფიგონიმის მოტივირების მეორე, ორივე ენისათვის საერთო ხერხია აგრეთვე ფიგონიმის სტრუქტურაში უარყოფითი სტილისტური შეფერილობის მაგარებელი სიგყვების (როგორც

არსებითი სახელების, ისე მდესართავი სახელების) ჩართვა, ესენია: გიჟი (*გიჟანა*), შმაგი (*შმაგა, ღოღოშმაგა*). მყრალი (*მყრალა, მყრალო, ხემყრალი*); ცოფი, ცოფიანი (*ლენცოფა, ღოღორცოფა*), ავი (*აეფეხი ვაში*); ეშმაკი (*ეშმაკის პურნუთი*), ფსელი (*თხიფსელა, ძაღლაფსელა*), ყვერი (*კაგაყვერა ქლიავი, პაყვერა*), დედინაცვალი (*დედინაცვლის ენა*); ჭლექი (*ყანის ჭლექი*), ჭირი (*კალჭირი*) – და სხვ. ქართულში; дурной (*дурнишник, сонная одурь, одурь*); бешеный (*бешеная вишня*), поганый (*поганка*), вонючий (*смородина*), Иуда (*Иудино ухо*); чума (*водяная чума*), сатана (*сатанинский гриб*), чёрт (*чёртовы шапка, чёртов орех*), мачеха (*мать-и-мачеха*).

მოცემულ მოგივაციური ქვეჯგუფის კონკრეტული მოგივირების ნიშნების უნობრივი გამოხატვის საშუალებებზე დაწვრილებით აღარ შევჩერდებით. უნაიდან აქაც იმ სახის კონსტრუქციები გვაქვს, როგორც „ფუნქციონალური“ ფიგონიმების ქვეჯგუფში. თარგმნილი და კალკირებული სახელწოდებების რაოდენობა ამ შემთხვევაშიც უმნიშვნელოა, აბსოლუტური უმრავლესობა კი არასტანდარტული მოდელის კომპრესირებული სახელწოდებებია. ყოველივე ეს იმის ნათელი დადასტურებაა, რომ ფიგონიმთა შეფასებითი მოგივაციის წადაგი ორივე ენაში გამოკვეთილად ეთნოენობრივია.

§ 4. ქართულ და რუსულ ფიტონიმთა პირობითი მოტივაცია

მოგივირებული ნომინაციის პრობლემათა კვლევისას ხაზს უსვამენ იმ ვარემოებას, რომ „არსებობს რეალური მოგივაცია (დენოგაგის „შესაფერი-სი“ სახელის შექმნა) და პირობითი მოგივაცია (მზა სახელის შერჩევა ან ვადაგანა)“ (ცხადაია, 1987, 424). მაშასადამე, პირობით მოგივაციაში მოიაზრება უკვე არსებული, მზა სახელის დარქმევა ახალი დენოგაგისათვის, რასაც ადგილი აქვს საკუთარ სახელთა სისტემაში, პირველ რიგში, ანთროპონიმიაში. როგორც ვ. ნიკონოვი წერს, „არ არსებობს საკუთარი სახელი მოგივაციის ვარემო“ (Никонов, 1974, 95), მაგრამ ნებისმიერ ახალ პიროვნებასთან მიმართებაში მისი მოგივაცია უკვე ან ძნელად ასახსნელი ხდება, ან

სრულიადაც აუხსნელი. შინაურ ცხოველთა სახელების ამ თვალსაზრისით ანალიზისას პ. ცხადაია სრულიად სამართლიანად აღნიშნავს, რომ მიუხედავად სახელის შინაფორმის „გამჭვირვალეობისა“, ხშირად მისმა დამრქვევამც კი შეიძლება ვერ მოგვეცეს სახელდების მოტივაცია ან ახსნას შემდეგნაირად: „პომეწონა ეს სახელი და დავარქვი“, „სადაც გამიგონია“, „ჭკუაში დამიჯდა“ და ა.შ. (ცხადაია, 1987, 422). მაშასადამე, ამ შემთხვევაში ნომინაციის გზა გადის არა ობიექტიდან სახელისაკენ, არამედ, პირიქით, უკვე არსებული სახელიდან ობიექტისაკენ, რის გამოც მათ შორის კავშირი უმრავლეს შემთხვევაში აბსოლუტურად პირობითია.

შეიძლება თუ არა ანალოგიურ სურათს ადგილი ჰქონდეს აპელატივთა, კონკრეტულად, ფიგონიმთა სისტემაში? ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა ვ. კოპოჩევას მიერ შემოგანილი გერმინი „პირობით-სიმბოლური მოტივაცია“, რომლის არსსაც იგი შემდეგნაირად ხსნის: „სახელწოდების გაბუნდოვნებული მოტივირება მას სიმბოლოდ აქცევს. სიმბოლოსათვის კი მთლიანობაში უცხოა საგნობრიობისადმი მისწრაფება, რაც მისი პირობითობის ხარისხს აძლიერებს“ (Копочёва, 1985, 13). ვ. კოპოჩევა მხოლოდ სელექციური ნომენკლატურით იფარგლება, რომელიც ცალკეული ჯიშების სახელწოდებებს აერთიანებს, სადაც იგი გამოჰყოფს ამ ვით მოტივირებული ფიგონიმთა შემდეგ ჯგუფებს:

- 1) მუსიკალურ-ფილოლოგიური ასოციაციის შემცველი ფიგონიმები: გორგინა Увертюра, როზა Былина;
- 2) ქალურობის ასოციაციის შემცველი ფიგონიმები: გლადიოლუს Мария, გორგინა Незнакомка;
- 3) სახელი – გიგული – გლადიოლუს Вождь;
- 4) იდეოლოგიური კონოტაციის მოდელის ფიგონიმები: პიონ Крейсер Аврора; როზა Пионерский галстук და სხვ.

აღარ გავაგრძელებთ ჩამოთვლას, ვინაიდან პრინციპი გასაგებია. ეს პრინციპი კი იმაში მდგომარეობს, რომ რაოდენ პირობითიც არ უნდა იყოს ამ ვით შერქმეული სახელწოდება, იგი გარკვეულწილად მაინც დენოტაციის ამა თუ იმ ნიშან-თვისებიდან ამოდის, ამიგომ პირობითობის ხარისხი გაცილებით ნაკლებ

აა, ვიდრე საკუთარ სახელთა სისგემაში, თუმცა დარწმუნებით იმის თქმაც ძნელია, რომ საქმე გვაქვს რეალურად მოგივირებული სახელწოდებებთან. ეს ვარემოება ყურადღების გარეთ არ რჩება ვ. კოპოჩევასაც: „სიმბოლო, – წერს იგი, – პირდაპირ ანალოგიებს არ შეიცავს, თუმცა მდიდარ შინაარსს აკონსერვებს. მართალია მისი სპეციფიკა დაუსრულებლობასა და რაღაცის ბოლომდე არ თქმაშია, იგი მაინც შეიცავს მინიშნებას აღსანიშნი ობიექტის ამა თუ იმ ნიშან-თვისებაზე, მაგრამ ვერ ჰგუობს იმ ანალიგიზმსა და დაწვრილებით ახსნას, რასაც ცდილობენ ლინგვისტები“ (Копочёва, 1985, 13). ამასთან, თუ ხელექციური ფიგონიმის ფარგლებს გავცდებით და ამ პოზიციიდან შევხედავთ საერთოდ ფიგონიმას, უპირველეს ყოვლისა, ხალხურს, წავაწყდებით უამრავ ისეთ სახელწოდებას, რომლებიც ფორმითაც და შინაარსითაც მოგივირებულნი არიან, თუმცა კონკრეტული მოგივირების ნიშანს ვერ მივუთითებთ. ამ ვარემოებას ხაზს უსვამს, მაგ. გ. ჩაიკო, რომელიც ბუნებრივი ობიექტების სახელწოდებათა ანალიზისას წერს: „ხშირად ნომინაციის გზა გადის არა ობიექტიდან სახელწოდებისაკენ, არამედ მითიდან და ლეგენდიდან ობიექტისაკენ“ (Чайко, 1974, 103). ანალოგიურ შემთხვევებს ვხვდებით ფიგონიმიაშიც. ასე მაგ.:

Богородицины слёзы – «Эта трава произошла от слёз, пролитых Богородицей за Христа» (Марсакова, 1974, 48).

Иудино дерево – «У немцев и на Руси издревне считают, что как раз на осине повесился Иуда» (Головкин, 1986, 110).

მოგივირების რა პრინციპს მოვაკუთვნოთ ისინი?

ერთი სიგყვით, როგორც ქართულ, ისე რუსულ ფიგონიმიაში შეიძლება გამოიყოს „გამჭვირვალე“ შინაფორმის მქონე სახელწოდებები, რომელთა მოგივირების რეალური საფუძვლის დადგენა ძალიან ძნელია. მათ ჩვენ პირობით მოგივაციაში ვაერთიანებთ, რითაც ვაფართოებთ ამ ცნების გაგებას და ვუიქრობთ, რომ მას გერმინ „ხალხური ეტიმოლოგიის“ (Введенская, 1986, 48-56) ანალოგიურად „ხალხური მოგივაცია“ შეიძლება ვუწოდოთ.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ მოგივაციურ კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ, პირველ რიგში, მცენარის აღმომჩენის,

ჯიშის გამოყვანის ან საერთოდ ვინმეს საპატივსაცემოდ პიროვნების გვართ
ან სახელით მოგივირებული ფიგონიმები, როგორებიცაა *ანგონოვკა*,
გიმოთელა, *Павловния*, *Кузьмичова трава* და სხვ:

Павловния – «В цвету это растение произвело большое впечатление на Королеву Нидерландцев – Анну Павловну, ... так получило это дерево своё название в её честь» (Ивченко, 1968, 169).

Кузьмичова трава – «Названо по имени Фёдора Кузьмича Муховникова, лекаря» (Жизнь растений, IV, 300).

ამ მოტივაციური ჯგუფის ფიგონიმებში არ უნდა ავუროთ *аксютина трава*, *андреева трава*, *დათიას ხე* და ამ სტრუქტურული მოდელის სხვა ისეთი ფიგონიმები, რომელთა შესახებაც მარსაკოვა წერს: „საკუთარი სახელით გამოხატული პირველი კომპონენტების სემანტიკა ამ შემთხვევაში განზოგადოებულ-მეგაფორულია. ამ გიპის ფრაზეოლოგიზმები კონკრეტულ პირებთან კი არ არის დაკავშირებული, არამედ წარმოადგენს მცენარის რომელიმე სახეობითი ნიშან-თვისების განზოგადოებულ-გადატანით გამოხატვას“ (Марсакова, 1974, 90).

მოცემულ მოტივაციურ კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ აგრეთვე მითის, ლეგენდის, რწმენის და ა.შ. საფუძველზე მოგივირებული ფიგონიმები:

ქრისტესბალახა (ფუტკრის დედა) – „ფშაველებს სწამთ, რომ ამ ბალახზე უცნაური ასოებით ქრისტეს გირილი წერიაო“ (ჭყონია, 1961, 57).

ფერისცვალა – „ფერისცვალება დღეს მომღურაება სახეზე უნდა წაისვას და ფერს იცვლისო, იცყვიან“ (მენტემაშვილი, 1943, 184).

თხიფსელა – „მისგან სახრეს არ გააკუთებდნენ, რადგან თუ დაარგყეს საქონელს, მომარდვა გაუჭირდება და შეწუხდებაო, იცყვიან“ (როსტიაშვილი 1976, 105).

Разрыв-трава – «Растение, с помощью которого, по местным поверьям, можно отпереть любой замок» (Марсакова, 1974, 42).

Ключ-трава – «Растение назвали так из-за якобы присущей ему способности помогать отыскивать клады» (Жизнь растений, IV, 175).

Распутная трава – «Помогает отнять мужа у жены» (Скорород, 1936, 522).


Прилип-трава – «Этой травой, по преданию, можно приворожить любимого» (Скороход, 1936, 522).

მოცემულ მოგივაციურ კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ აგრეთვე – *ქრისტესთვალა, ქრისტეს ნეკი, ქრისტეს ცერი, ქრისტეს ცრემლები, венерин шамочок, венерин волос, богородицины слёзы* და სხვ. გიპის ფიგონიმები, რომლებიც სგრუქტურულად ფრაბეოლოგიზმებია ან რთული სიტყვები. მათი მეორე კომპონენტები მცენარის ამა თუ იმ ორგანოს ნიშან-თვისებას კი ასახავს, მაგრამ პირველ კომპონენტად ქრისტეს, ადამის, ვენერასა და სხვა რელიგიური თუ მითოლოგიური პერსონაჟის, კულგის, წმინდანის, კერპის და ა.შ. დასახელება, ცხადია, აბსოლუტურად პირობითია, ვინაიდან როგორც ქართული, ისე რუსული ენობრივი კოლექტივის წარმომადგენლებისთვის არც ერთი მათგანი არასოდეს ყოფილა ვიზუალურად ცნობილი, ამიტომ მათთვის დადებითი თუ უარყოფითი შეფასებითი დაგვირთვის მინიჭება გადმოცემით წარმოდგენას ემყარება.

გამოთქმული მოსაზრებები იქნებ საკამათოცაა, მაგრამ, ვფიქრობთ, უდაოა ერთი რამ: ფიგონიმები, რომლებიც განვიხილეთ მოცემულ მოგივაციურ კატეგორიაში, ერთმნიშვნელოვნად შეუძლებელია მიაკუთვნო რეალური მოგივაციის რომელიმე სახეს, ასევე შეუძლებელია ჩათვალო ისინი უმოგივაციო, ანუ მოგივაციის არმქონე სახელწოდებებად.

...

ამრიგად, ქართულ და რუსულ ენებში მცენარეთა მოგივირებული ნომინაციის პრინციპთა შეპირისპირებითა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ლექსიკის მოცემული თემატური ჯგუფი ორივე ენაში მოგივირებულია ძირითადად ეთნოენობრივ ნიადაგზე და ეთნოენობრივი რესურსებით, რაც მას პრინციპულად გამოარჩევს მეცნიერებისა და გექნიკის უამრავი სხვა ინგერნაციონალიზებული თუ კალკირებული ტერმინოსისგემისაგან. რაც შეეხება მოგივირებული ნომინაციის მექანიზმს, იგი საერთოა ამ ორი ენისათვის (ისევე როგორც უამრავი სხვა ენისათვის) და ჩვენი ანალიზის საფუძველზე სქემატურად შემდეგნაირად შეიძლება წარმოვადგინოთ:



ჩვენს მიერ საკვლევი არამონათესავე ენების ფიგონიმთა ერთიანი სისტემის ფარგლებში მოგივირება კი, როგორც ვნახეთ, განპირობებულია არამდენად ენათა ურთიერთმეგავლენით ან საერთაშორისო სამეცნიერო ბერძნულ-ლათინური ბოგანიკური ნომენკლატურის გავლენით, რამდენადაც თავად ნომინაციის პროცესის უნივერსალური ბუნებით. რისი მტკიცების ერთ-ერთ მყარ საფუძველსაც გვაძლევს ის, რომ ორივე ენაში მოგივირებულ ფიგონიმთა აბსოლუტური უმრავლესობა – დაახლოებით 80 % – სტრუქტურულ-სემანტიკური მოგივაციის თვალსაზრისით დამოუკიდებელია თავიანთი ეკვივალენტებისაგან.

ქართულ და რუსულ ფიტონიმთა ეკვივალენტობა
და მცენარის ენობრივი ხელვა

საუკუნეების მანძილზე ურთიერთკონტაქტში მყოფი არამონათესავე ენების მოგივირებული ნომინაციის სისტემების შეპირისპირებითი კვლევა უაღრესად საინტერესო სურათს ქმნის ერთი და იგივე ობიექტის მოგივირებულ სახელდების ანალიზის მიმართულებითაც.

როგორც ბ. სერებრენიკოვი წერს, „სხვადასხვა ენებში ობიექტის სახელდებისას შეიძლება შერჩეულ იქნას სხვადასხვა ნიშან-თვისებები, ... ცალკეულ შემთხვევებში ადგილი აქვს კონვერგენციას, როცა სახელწოდებისათვის შეირჩევა ერთნაირი ან მსგავსი ნიშან-თვისებები“ (Серебренников, 1977, 165). მაშასადამე, ავგორის ამრით, სხვადასხვა ენებში ობიექტის სახელწოდებისათვის ერთნაირი ან მსგავსი ნიშნების შერჩევა გაცილებით იშვიათი მოვლენაა, ვიდრე განსხვავებულისა. ამასვე ადასტურებს ბევრი სხვა ლინგვისტიც. ასე მაგ., ნ. მეჩკოვსკაია წერს: „შინაფორმათა ენათაშორისი განსხვავებანი გაცილებით ჩვეულებრივია, ვიდრე მსგავსება, ამიგომაც ახსნას მოითხოვს სწორედ დამთხვევები“ (Мечковская, 1996, 56).

ვიზიარებთ რა აღნიშნულ თვალსაზრისს, ჩვენი კვლევის ერთ-ერთ მიმართულებად ვირჩევთ სხვადასხვა ენობრივი სუბიექტების როგორც სხვადასხვა ეთნოკულტურულ გარემოში მცხოვრებთა მხრიდან ერთი და იგივე მცენარის სახელწოდებათა საფუძვლად ერთნაირი ან მსგავსი ნიშან-თვისებების შერჩევას, ანუ მცენარის საერთო ენობრივ ხელვას ფიტონიმთა ენათაშორისო ეკვივალენტობის კონტექსტში.

დავაკონკრეტოთ, თუ რას ვგულისხმობთ მცენარის საერთო ენობრივ ხელვაში.

როგორც ბ. ჯორბენაძე შენიშნავს, „შეხედულება ობიექტზე, ის წარმოდგენა, რომელსაც იწვევს ობიექტი, რასაკვირველია, სუბიექტურია. ქედის მონაკვეთი, რომელიც ერთისთვის „ცხენისზურგაა“, მეორისთვის,

შესაძლოა, „თავკვეთილა“ აღმოჩნდეს“ (ჯორბენაძე, 1975, 136). მაშასადამე, ძნელია მოიძებნოს ობიექტის ორი აბსოლუტურად ერთნაირად მოგივირებული სახელწოდება, თუ ისინი თარგმნილი ან კალკირებული არაა. ამასთან, სახელწოდება, უპირველეს ყოვლისა, ობიექტის სახელწოდებაა, ამიგომ სახელდება. მხოლოდ სუბიექტურ ფაქტორთაგან როდია განპირობებული. ობიექტს შეიძლება აღმოაჩნდეს მკაფიოდ გამოკვეთილი ისეთი ნიშან-თვისებაც, რომელიც თვალში საცემი შეიძლება იყოს ზოგადად ადამიანისათვის, ანუ ადამიანისათვის განურჩევლად იმისა, თუ რა სახის ეთნოკულტურული ვარემოს მიეკუთვნება იგი. რაც შეეხება საერთო ნიშან-თვისების ვერბალურ ფიქსაციას, არც ის გახლავთ სრულად თავისუფალი სუბიექტური ფაქტორისაგან, ვინაიდან ფიქსაციას ახდენს სუბიექტი, მაგრამ იმ შემთხვევაში, რაზედაც ზემოთ გვექონდა საუბარი, შეიძლება ადგილი ჰქონდეს ობიექტის ამა თუ იმ მკაფიოდ თვალში საცემი ნიშნის მსგავს, ერთმანეთთან მიახლოებულ ინტერპრეტაციასაც (მაგ. ქალამანა – Башмачки; გველის ია – Гадючий лук).

ერთი სიგყვით, ობიექტის, ჩვენს შემთხვევაში მცენარის საერთო ენობრივი ხედვის გამოვლინებად ჩვენ მივიჩნევთ სხვადასხვა ენებში თუნდაც ორი ისეთი მოგივირებული სახელწოდების არსებობას, რომელთა გამჭვირვალე შინაფორმებს აერთიანებთ:

1. ნომინაციის საერთო ობიექტი;
2. შედარების საერთო ნიშან-თვისება;
3. შედარების საერთო ნიშან-თვისების მსგავსი ან ერთმანეთთან

მიახლოებული აღქმა და ვერბალური ფიქსაცია (ცხადია, ანალიზის ობიექტი არ არის კალკირებული ან თარგმნილი სახელწოდებები). მაშასადამე, ასეთ სახელწოდებებს გააერთიანებს საერთო მოგივირებული ველი, რომელშიც ჩვენ ვგულისხმობთ ფიგონიმ-ეკვივალენტთა ერთობლიობას, შეკავშირებულს მოგივირების საერთო პრინციპითა და მოგივირების მსგავსი ნიშნებით¹.


მივმართოთ კონკრეტულ მაგალითებს

1. გერმინი შემოგვაქვს ვ. კოპოჩევას გერმინის „ნომინაციურ-სახეობითი ველი“-ს ანალოგიურად. იხ. კოპოჩევა, 1987, 125-129.

§ 1. შიშნობი-ეკვივალენტები და მცენარის გარემოში

ნიშან-თვისებების საერთო ენობრივი ხელვა


გარეგნულ ნიშან-თვისებათაგან ყველასათვის თვალში საცემი და განსაკუთრებული შეიძლება იყოს მცენარის ან მისი რომელიმე ორგანოს უჩვეულო ფორმა ან მომა. ასე მაგალითად, უჩვეულოდ დიდი ზომებით გამოირჩევა ერთ-ერთი სოკო – *Lepiota prozera* – ქუდის დიამეტრი 50-სმ აღწევს, ფეხის სიგრძე – 60-სმ, რაც შეუმჩნეველი არ რჩება პირველსავე შეხედვისთანავე და საერთო ენობრივი ხედვის საფუძველია არამარტო ქართულ-რუსულ-ლათინური ეკვივალენტებისათვის, არამედ სხვა ბევრი ქართული ხალხური სახელწოდებისთვისაც:



(ნახ. 1)

შენიშვნა: ერთი წერტილიდან ამომავალი ისრებით მივუთითებთ იმ გარემოებას, რომ სახელწოდებები იძლევიან ერთი და იგივე ნიშნის ინტერპრეტაციას, ანუ ქმნიან საერთო მოგვიაციურ ველს, ჩარჩოებში ვსვამთ ქართულ და რუსულ ლიტერატურულ სახელწოდებებს).


უჩვეულო სიმაღლით გამოირჩევა აგრეთვე ბალახი *კეწეწურა* (*Koeleria*), რაც საინტერესოა ასახული მცენარის შემდეგი სახელწოდებების შინაფორმებში:



(ნახ. 2)


თვალში საცემია აგრეთვე *სავარცხელას* (*Erodium*) გრძელ-გრძელი და წვრილი წანაზარდები ნაყოფებზე, რომლებიც ამ მცენარის არაერთი

საუბუკლად ქცეულია:




შენიშვნა: არ არის გამორიცხული, რუსული 'Аистник' ლათინური 'Erodium'-ის თარგმანი იყოს, რასაც ქართულ-რუსული ეკვივალენტების საერთო ენობრივი ხედვისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

ანალოგიურად ნიშნით გამოირჩევა ნემსიწვერაც (*Pelargonium* ← *Pelargos* – 'წერო'), რომლის დანარჩენი სახელწოდებებაცაა:




შენიშვნა: არც აქაა გამორიცხული ლათინური 'Pelargonium'-ის გავლენა რუსულ 'Журавельник'-ზე და ი. ბაგრატიონისეულ 'წეროსცხვირა'-ზე.



წერილ წანაზარდებიანი და ამასთან ერთად ორად გაყოფილი ნაყოფსხეული აქვს საჩეჩელა სოკოს (*Clavaria*), რაც შემაკავშირებელი ნიშანია შემდეგი სახელწოდებების შინაფორმებისათვის:





ნაყოფზე მოგრძო წანაზარდები აქვს აგრეთვე კუროსთავსაც (*Tribolus*: *Trie* – 'სამი', *bulus* – 'ეკალი'), რაც ორიგინალურადაა ასახული ქართულ-რუსულ-ლათინური ეკვივალენტების შინაფორმებში:




ეკლებიან ორგანოებს ასახელებენ აგრეთვე შემდეგი ეკლიანი მცენარეების სახელწოდებები:




საერთო ენობრივი ხელვის საფუძველი ხდება მცენარის ფოთლის უხვეულო, გამორჩეული ფორმაც, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ადამიანში იწვევს შუბლთან, თათთან, ჩლიქთან, ენასთან და სხვა ორგანოებთან ან საგნებთან ასოციაციებს:







(შენიშვნა: რუსული სახელწოდება ლათინურის კალკაა: ღანარჩენი ეკვივალენტები დამოუკიდებელ ენობრივ ხედვას ავლენენ).




(შენიშვნა: უაღრესად საინტერესოა კორდისკილა ზუბчатკა – ეკვივალენტთა შინაფორმების ფაქტიური დამთხვევა, მითუმეტეს, რომ აქ ლათინური არაფერ შუაშია: Euphrosia ← Euphrosine – ‘სიხარული’).



(შენიშვნა: Cypridium calceolus → ‘ვენერას (კიპრიდას) ქოში’; მაშასადამე ‘ვენერას ქოში – Венерин башмачок’ ლათინურის კალკებია, რასაც, ცხადია, ვერ ვიგყვიოთ ‘ქალამანა’ – ‘ბაშმачკი’ ეკვივალენტთა ენობრივ ხედვაზე).

უაღრესად საინტერესოდ ავლენენ თითქმის იდენტურ ენობრივ ხედვას *ყელიანი გოგრის (Lagenaria ← Lagena* – ‘მუცლიანი, წვრილყელიანი ბოთლი’) ეკვივალენტები:



(ნახ. 15)


(შენიშვნა: საერთო მოტივაციურ ველს ქმნის გოგრის არამარტო წყლის ჭურჭელთან მსგავსება, არამედ წყლის ან ღვინის ჭურჭლად გამოყენებაც, ხოლო ‘ჭურა’ ქართული ენობრივი ხედვის სპეციფიკურ მომენტად უნდა მივიჩნიოთ).

ჭურჭელთან მსგავსება აერთიანებს აგრეთვე ერთ-ერთი სოკოს – *Peziza*-ს ქართულ-რუსული ეკვივალენტების შინაფორმებსაც:



(ნახ. 16)


საერთო ენობრივი ხედვის საფუძველს ქმნის აგრეთვე ერთ-ერთი ბალახოვანი მცენარის დაბამბული ღერო და ყვავილელი, რომელიც ცხოველის თათის ან კუდის ასოციაციებს იწვევს:



(ნახ. 17)

ამ მცენარის სახელწოდებების შესახებ ბ. გოლოვკინი წერს: «Соцветия листьев действительно похожи на кошачьи лапы: белые, пушистые, мягкие... Но чтоб так точно воспроизвести это сравнение!... Разгадка в фармацевтический латыни – *Pes coti*» (Головкин, 1986, 93). ცხადია, ეს არ ეხება *ბუსუსგანა* – *Кошачья лапа* – *Antennaria* ეკვივალენტთა შინაფორმებს.


ანალოგიურია აგრეთვე



(ნახ. 18)


(შენიშვნა: რუსულ სახელწოდება ლათინურის კალკაა)

საერთო ენობრივი ხედვის საფუძველს ქმნის აგრეთვე *დევისპირას* (*Antirrhinum majus*) „პირმოკუმული ორტუჩა ყვავილები“. რაც ასახულია შემდეგი სახელწოდებების შინაფორმებში:




(ნახ. 19)

საინტერესოაა დანახული აგრეთვე ერთ-ერთი სოკოს-*ხარისფაშვა*-
(*Morchella esculenta* ← 'საჭმელად ვარგისი') ქუდის უჩვეულოდ
დანაოჭებული ზედაპირი:




(შენიშვნა: დანაოჭებულ ზედაპირის ხარისფაშვთან შედარება, ცხადია, ქართული
ენობრივი ხედვის სპეციფიკური მომენცია, ვინაიდან გრადიციული ქართული
კერძის - ხაშის წყალობით ხარის ამ ორგანოს ქართველ კაცზე უკეთ არაა
იყნობს).

სოკოს დანაოჭებული ზედაპირი მოგივირების საერთო ნიშანია
აგრეთვე ბებერა სოკოს შემდეგი სახელწოდებებისათვის:




საერთო მოგივაციურ ველს ქმნის აგრეთვე ყვავილოვანი მცენარის -
საყურის მოხდენილი ყვავილების უჩვეულო ფორმა:




ჯინჭრის-დედისათვის კი (*Lamium album*) ჯინჭართან მსგავსება
ამდენად გამორჩეული ნიშანია, რომ იგი ცხოველისთვისაც კი არ რჩება
შეუმჩნეველი: „მისი ფოთლები ძალიანა ჰგავს ჯინჭრის ფოთლებს, ეს

მსგავსება იცავს მას ცხოველებისაგან“ (მაყაშვილი 1962, 78). რა გასაკვირია, რომ ეს მსგავსება საერთო მოტივირების ნიშანია ამ მცენარის არაერთი სახელწოდებისათვის:




(ნახ. 23)

გარეგნულ ნიშან-თვისებათაგან სახელწოდებათა საერთო მოტივაციურ ველს ქმნის აგრეთვე ფერიც, კერძოდ, მცენარის ან მისი ორგანოს (უპირატესად ყვავილის) ფერთა გამორჩეული ჰარმონია, მოხდენილი, თვალში საცემი სილამაზე ან უჩვეულო შეფერილობა. ამ ასპექტში პირველ რიგში აღნიშვნის ღირსია წყვილი *იაქუქუნა – Иван-да-марья*. 'Иван-да-марья'-ს შესახებ ბევრი დაიწერა (Головкин, 1986, 7; Скороход, 1936 № 7), რისი დაწვრილებით განხილვის აუცილებლობაც, ვფიქრობთ, არ არის, ვიგყვით მხოლოდ იმას, რომ მცენარეს აქვს უჩვეულო სილამაზის ორფეროვანი ყვავილები – იისფერი და ყვითელში გარდამავალი თეთრი. ფერთა ასეთი მოხდენილი ჰარმონია ერთიანობისა და განუშორებლობის სიმბოლოდ ქცეულა: «Иван и Марья, он и она, неразлучимые и в тоже время такие разные» (Головкин, 1986, 7). ყოველივე ეს კი შემდეგნაირადაა ასახული მცენარის შემდეგი სახელწოდებების შინაფორმებში:




(ნახ. 22)

ყვავილების ფერთა მიმზიდველი მრავალფეროვნება აერთიანებს ერთ-ერთი ყვავილოვანი მცენარის შემდეგ სახელწოდებათა შინაფორმებს:




(ნახ. 23)

ყვავილთა მრავალფეროვნებითაა მოტივირებული აგრეთვე კიდევ ერთი ყვავილოვანი მცენარის სახელწოდებები:



(ნახ. 24)


მრავალფეროვნება, უფრო სწორად, ფერთა სიჭრელე უჩვეულო და ამდენად, გამორჩეული ნიშანია სოკოსათვის, რის გამოც იგი იოლად ქცეულა *ძერანასა* (*Polyporus squamosus*) და მის ეკვივალენტთა შინაფორმების საერთო მოტივირების ნიშნად:




(ნახ. 25)

ასევე უჩვეულო და გამორჩეული ნიშანია ბალახის შ ა ვ ი ფერიცალბათ, სწორედ ეს გახდა *შაებალახას* (*Brunella*) ქართულ-რუსულ-ლათინური ეკვივალენტების შინაფორმათა ფაქტიური დამთხვევის მიზეზი


Brynella – «Латинизация древнеголандского *Broynella*, указывающего на бурый цвет листьев») (Каден, 1975, 35).




თვალში საცემია აგრეთვე სოკოს შავი ფერიც, რაც ხშირად საერთო ენობრივი ხედვის საფუძველია, კერძოდ:




ნაყოფთა შავი ფერი ქმნის საერთო მოგივაციურ ველს მოცვის შემდეგი ქართული ხალხური და რუსული სახელწოდებებისათვის:




